

# კომპენსაცია

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**  
2014, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)  
2014, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2014, №2

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2014, №2

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298-21-03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

**ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა  
უფლებების დარღვევა  
დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ**

**ბანჩინება**

№ბს-1227-1213(კ-11)

1 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა დავალევა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 4 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ქ. ლ-მ მოპასუხე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ბათილად ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს №05/01-14/1017 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და მოპასუხეს დავალეზოდა 1 თვის ვადაში გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მოსარჩელის დევნილის სტატუსის მანიჭებელ პირად რეგისტრაციისა და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ქ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 31 იანვარს გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის თანახმად, ქ. ლ-ის მისამართის გრაფაში მითითებულია თბილისი, მისამართის გარეშე. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანის სამსახურის მიერ 2008 წლის 30 აპრილს გაცემული ქორწინების მონმობით დასტურდება, რომ ქ. ლ-ე 2008 წლის 30 აპრილიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ჯ. დ-თან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის საა-

გენტოს 2011 წლის 20 აპრილის №06/102674 წერილი ცხადყოფს, რომ ვინაიდან ჯ. დ-ი სასჯელს იხდიდა გლდანის რაიონში მდებარე №8 საპყრობილეში, ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა სრს გლდანის სამსახურში.

სასაზღვრო პოლიციის №10 სამმართველოს (ზემო აფხაზეთი) უფროსის მიერ 2009 წლის 16 დეკემბერს გაცემული №38/2/11-69 ცნობის თანახმად, ქ. ლ-ე 2007 წლიდან დღემდე მსახურობს სასაზღვრო პოლიციის №10 სამმართველოში „ზემო აფხაზეთი“ სპეციალისტად (საწყობის მენეჯერი), საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით ასევე დასტურდება, რომ ქ. ლ-ე არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2009 წლის 29 დეკემბრის №01/12-09-25 168 წერილის თანახმად, ქ. ლ-ე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია მისამართზე ქ. თბილისი, ... №56, ჯ. დ-ის ოჯახში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რეგისტრაციის უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, ქ. ლ-ის მიერ ვერ იქნა წარდგენილი სარწმუნო დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება 2008 წელს, ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში მისი მუდმივი ცხოვრების ფაქტი. „იძულებით გადაადგილებულ პირთა დეენილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლების, „სტატუსის მინიჭების შესახებ“ ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, სამმართველო მიზანშეუწონლად მიიჩნია ქ. ლ-ისათვის დეენილის სტატუსის მინიჭება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 4 მარტის №05/01-14/1017 გადაწყვეტილებით ქ. ლ-ს უარი ეთქვა დეენილის სტატუსის მინიჭებაზე იმ მოტივით, რომ სამინისტროში წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, არ დასტურდება აფხაზეთში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტი, შესაბამისად არ არსებობდა იძულებით გადაადგილებული პირის – დეენილის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ლ-ე 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყებამდე მუდმივად არ ცხოვრობდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში. 2008 წლის 31 იანვარს გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის თანახმად, ქ. ლ-ის მისამართის გრაფაში მითითებულია თბილისი, მისამართის გარეშე, დაბადების ადგილი ზესტაფონი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2009 წლის 29 დეკემბრის №01/12-09-25 168 წერილის თა-

ნახმად, ქ. ლ-ე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია მისამართზე ქ. თბილისი, ... №56, ჯ. დ-ის ოჯახში.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმეში წარმოდგენილ ჯ. დ-ის დევენილის მოწმობაზე, რომლის თანახმად მის დროებით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ....

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის განმარტება მასზე, რომ 2005 წლიდან 2008 წლამდე იგი მუდმივად ცხოვრობდა ზემო აფხაზეთში უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფენ, რომ ქ. ლ-ე 2005 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ჯ. დ-თან, რომელიც დევენილია და მის დროებით საცხოვრებელ ადგილს 2008 წლის მდგომარეობით წარმოადგენდა .... სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით ქ. ლ-ე იგივე მისამართზე რეგისტრირებული მისი მეუღლის ოჯახში, ხოლო მოქალაქის პირადობის მოწმობით ასევე დადასტურებულია, რომ მოსარჩელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი.

სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქ. ლ-ე 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყების დროისათვის არ წარმოადგენდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...-ს მუდმივ მაცხოვრებელს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით და განმარტა, რომ იძულებით გადაადგილებული პირის – დევენილის სტატუსის მისანიჭებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტატუსის მთხოვნელი პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ანუ მას იძულების წესით დატოვებული უნდა ჰქონდეს „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ლ-მ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივნისის განჩინებით ქ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასებები და მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთან აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა შემდეგი: „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტომდე ის იყო ზემო აფხაზეთში სოფელ ...ში მუდმივი მაცხოვრებელი, რომ მან უშუალოდ ამ ომის შედეგად დატოვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რაც „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად ლტოლვილის სტატუსის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე განმარტა, რომ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მისანიჭებლად გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტატუსის მთხოვნელი პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ანუ მას იძულების წესით დატოვებული უნდა ჰქონოდა „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ საქმის მასალეობით არ დასტურდება, რომ ქ. ლ-ე მუდმივად ცხოვრობდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ლ-მ.

კასატორმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი. კასატორის მითითებით თუ-

კი სააპელაციო სასამართლო დაასკვნინდა, რომ თითქოს იგი არ იყო სოფ. ...ს მუდმივი მაცხოვრებელი, იქვე ისიც უნდა დაესაბუთებინა და მიეთითებინა, თუ რა ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს ემყარებოდა ამგვარი დასკვნა.

კასატორის მითითებით საქმის ფაქტობრივი გარემოებების არას-ნორი შეფასების გამო გადანყდა, რომ მის მუდმივ მაცხოვრებელ ადგილს არ წარმოადგენდა სოფ. .... სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობების ნამდვილობა იმასთან მიმართებით, რომ იგი არის დევნილი ზემო აფხაზეთიდან.

კასატორი განმარტავს, რომ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.3 მუხლით რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს მისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ ჯ. დ-ი 2007 წლიდან იმყოფებოდა პატიმრობაში, პირადობის მონმობას გაუვიდა ვადა, მეუღლესთან ქორწინება არ ჰქონდა რეგისტრირებული და არ გააჩნდა დევნილის სტატუსი, იგი იძულებული გახდა, კოდორიდან თბილისში ერთ-ერთი მორიგი სამსახურებრივი მივლინებისას, თბილისში აელო მოქალაქის პირადობის მონმობა მისამართის მითითების გარეშე. საკუთრივ ის ფაქტი, რომ ქ. ლ-ე ქ. ზესტაფონშია დაბადებული და რეგისტრირებული, თბილისში ჯერ დარეგისტრირდა მისამართის გარეშე, შემდეგ კი ...ის ქ. №12-ით ჯ. დ-ის ოჯახში ქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე, ზემო აფხაზეთის სასაზღვრო პოლიციაში მუშაობის ფაქტი და აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ქ. ლ-ის მაცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით გაცემული ცნობები ერთობლიობაში იმაზე მიუთითებს, რომ 2005 წლიდან ქ. ლ-ე ნამდვილად ცხოვრობდა სოფ. ...ში.

კასატორი განმარტავს, რომ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7.1. მუხლის მიხედვით, მისი რეგისტრაცია ჯ. დ-ის მისამართით უნდა განახორციელოს სრს აფხაზეთის სამსახურმა, რომელმაც ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 9.02.2011 №74/1/გ გადაწყვეტილებით უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ არ გააჩნია დევნილის სტატუსი და ამჟამად არ ცხოვრობს აფხაზეთის ტერიტორიაზე. კასატორის მითითებით ზემოაღნიშნულმა ორგანომ ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა მის მიერ წარდგენილი აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 27.05.2010 №310 ცნობა, რომლის მიხედვითაც ქ. ლ-ე 2008 წლის აგ-

ვისტომდე მუდმივად ცხოვრობდა სოფ. ...ში. ამავე დროს რეგიონალური მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 3.06.2010 №8 ბრძანებით დამტკიცებული „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე ცნობის მომზადებისა და გაცემის ერთიანი ინსტრუქციის“ 1.2 „ბ“ მუხლის შესაბამისად, ცნობა არის აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დევნილის მუდმივ და დროებით საცხოვრებელ ადგილს, მუდმივ საცხოვრებელ (აფხაზეთის ტერიტორია) ადგილზე ცხოვრების წლებს, ოჯახის შემადგენლობას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გარემოებებს.

კასატორი მიუთითებს, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2.13 მუხლის შესაბამისად დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების, დევნილთა რეგისტრაციის პროცედურა განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. ამავე კანონის 2.5 და 2.7 მუხლის დანაწესებით, დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის თაობაზე კასატორის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში მოწინააღმდეგე მხარეს უნდა მიეღო გადაწყვეტილება დევნილის სტატუსის მაძიებლად ქ. ლ-ის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო ერთი თვის ვადაში მისი დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა სამინისტრომ განცხადებაზე რეაგირება მოახდინა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. აღნიშნულით კი მან კასატორს შეუზღუდა ზემოაღნიშნული კანონის 3.3. მუხლით გარანტირებული უფლებების რეალიზება, კერძოდ: ესარგებლა უფასო კომუნალური მომსახურებით და მიეღო სხვადასხვა სახის დახმარებები. კასატორი მიუთითებს, რომ ამავე კანონის იმპერატიული ნორმათა დარღვევამ განაპირობა კანონის 2.8 და 2.13 მუხლების დებულებათა შესასრულებლად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 1.11.2007წ. №3124 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის“ მე-2 მუხლის 10-11-ე, 14-ე, 16-19-ე, 21-ე „ა“, 24-25-ე, 28-29-ე პუნქტებით რეგლამენტირებული მოთხოვნების უგულვებელყოფაც.

კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 18.04.2008 №1398 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და ლტოლვილთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის (სამგზავრო პასპორტისა და დოკუმენტის) გაცემის შესახებ ინსტრუქციის 5.4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი სა-



კითხის გადაწყვეტისას ჯეროვნად უნდა განხილულიყო და შეფასებულიყო აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობები, რომლებსაც გასაჩივრებული განჩინება არანაირ სამართლებრივ მნიშვნელობას არ ანიჭებს, თუმცა ამ ნორმის მიხედვით, თუ იძულებით გადაადგილებულ პირს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი, იგი წარადგენს აფხაზეთის მთავრობის შესაბამისი წარმომადგენლობის დასკვნას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე. კასატორის მითითებით აღნიშნული ცნობები შეესაბამება 3.06.2010 წ. №8 ბრძანებით დამტკიცებულ ნორმატიულ აქტს და სამართლებრივად მოაზრებული უნდა იქნას დასკვნად მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე. კასატორი აღნიშნავს, რომ იგი 18.04.2008 წ. №1398 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 8.8 მუხლით, უფლებამოსილი იყო რეგისტრაცია გაეგლო მისამართის მითითების გარეშე თბილისში. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ გაუთვალისწინებიათ, რომ კასატორს №1398 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 9.1. მუხლის დარღვევით ეთქვა უარი რეგისტრაციაში გატარებაზე.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2005 წლიდან ჯ. დ-თან ერთად ზემო აფხაზეთში ცხოვრების ფაქტის უარყოფელი იყო ის გარემოება, რომ 2008 წლის 18 იანვრის მდგომარეობით ჯ. დ-ის დროებით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა თბილისი, ...ის ქ. №12. კასატორი მიუთითებს, რომ მის მეუღლეს, თანახმად „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლისა, დევნილის სტატუსი ვერ მიენიჭებოდა, თუ ამ კანონით განსაზღვრული მიზეზების გამო იძულებით არ ექნებოდა დატოვებული თავისი საცხოვრებელი ადგილი და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არ იქნებოდა გადაადგილებული. ამავე კანონის 5.3. მუხლით კი, სახელმწიფომ უზრუნველყო რა ჯ.ი დ-ი დროებითი საცხოვრებელი ფართობით და განასახლა იგი დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში, მას არ ჩამორთმევია თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას – კოდორის ხეობაში, შემდეგში ზემო აფხაზეთში ცხოვრების უფლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოითხოვა სარჩელის სრული მოცულობით დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრის საფუძვლებს შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონიშნების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ლ-ის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ კასატორი სადავოდ ხდიდა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გადამოწმება, რის შედეგადაც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არასრულყოფილადაა გამოკვლეული და შეფასებული საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც იძლევა გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო არასაკმარისად მიიჩნევს ქ. ლ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას მხოლოდ იმ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომ პირადობის მონმობაში საცხოვრებელ ადგილად მისი მხრიდან მითითებულია ქ. თბილისი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენა და დადასტურება უნდა მოხდეს საქმეში დაცული ყველა მტკიცებულების შეფასებისა და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე. ამასთან არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკანონმდებლო დანაწესს, რომელიც არეგულირებს სადავო საკითხს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირის დევნილად ცნობის, მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ცალსახაა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგება უნდა მოხდეს მოცემული კანონის საფუძველზე და ამ კანონის ფარგლებში.

მითითებული კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რო-

მელიცი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. დასახლებული საკანონმდებლო ნორმა ამომწურავად მიუთითებს იმ აუცილებელი კრიტერიუმების შესახებ, რომელთა არსებობა სავალდებულოა პირისათვის დევნილის სტატუსის მისანიჭებლად.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას და ადასტურებს, რომ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მისანიჭებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტატუსის მთხოვნელი პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ანუ მას იძულების წესით დატოვებული უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან საკასაციო სასამართლო დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ცნებები „საცხოვრებელი ადგილი“, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ და „რეგისტრაციის ადგილი“.

საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ძირითად, კონსტიტუციურ უფლებათა რიგს განეკუთვნება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. მოცემული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირი თვითონ განსაზღვრავს და ირჩევს მისთვის სასურველ საცხოვრებელ ადგილს, მას აქვს სრული თავისუფლება თვითონ გადაწყვიტოს სად იცხოვროს. ამავე დროს პირი არც იმაშია შეზღუდული, რომ ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ცხადია, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ნიშნავს შესაძლებლობას, პირს ჰქონდეს ამ საცხოვრებელ ადგილებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, პირის რეგისტრაცია განიხილება რეჟიმად, რომლის პირო-

ბებშიც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც ატყობინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ატარებს პირს რეგისტრაციაში და აძლევს რეგისტრაციის მონმობას. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი წინ უსწრებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას, რეგისტრაციით ეს უფლება არ იზღუდება, პირიქით, რეგისტრაციის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის მიზანია მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით პირის შესახებ მონაცემების, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის დადგენა.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. ამასთან, აღნიშნული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე, პირს მინიჭებული აქვს უფლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და ასეთ შემთხვევაში, პირი არ არის შეზღუდული, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შემთხვევაში საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაიაროს ერთ-ერთი მათგანის მიხედვით და სარეგისტრაციო მონაცემებში მიუთითოს საკუთარი სურვილით არჩეული საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, რომლის კონკრეტულ სახეებს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს, პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის პირის ნებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ფაქტი. ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან პირის ნება, დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმი-

ვად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მაგალითად, გადასახდის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო. პირი რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან ირჩევს ძირითადად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მიიჩნევა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელია. მუდმივი საცხოვრებელის არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი იქ არა დროებით, არამედ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველი დავის შეთხვევაში აუცილებელია დადგინდეს სად იყო ქ. ლ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რისი განსაზღვრაც ვერ მოხდება მხოლოდ და მხოლოდ პირადობის მონუმობაში მითითებული მონაცემებით. სასამართლო არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომ ქ. ლ-ის პირადობის მონუმობაში, მისამართის გრაფაში მითითებულია თბილისი, მისამართის გარეშე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2009 წლის 29 დეკემბრის №01/12-09-25168 წერილში ქ. ლ-ის რეგისტრაციის ადგილად მითითებულია მისამართი ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ... ოთახი №56, ჯ. დ-ის ოჯახი.

სწორედ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაიაროს ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც სულაც არ წარმოადგენდეს მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. ლ-ის საცხოვრებელ ადგილად თბილისში რეგისტრაცია ცალსახად არ მიუთითებს, რომ სწორედ თბილისი იყო მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რეგიონალური მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის №8 ბრძანებას „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე ცნობის მომზადებისა და გაცემის ერთიანი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის

შესაბამისად, აღნიშნული ინსტრუქცია ანესრიგებს აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდეგში წარმომადგენლობა) მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობების მომზადებისა და გაცემის წესსა და პირობებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ცნობა არის წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მუდმივ და დროებით საცხოვრებელ ადგილს, მუდმივ საცხოვრებელ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია) ადგილზე ცხოვრების წლებს, ოჯახის შემადგენლობას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გარემოებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში მოიპოვება აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 18 მარტს გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ქ. ლ-ე ნამდვილად ცხოვრობდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში 2005 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე და აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის 18 მარტს და 27 მაისს გაცემული ცნობები, რომელთა შესაბამისად ქ. ლ-ე არის დევნილი ზემო აფხაზეთიდან და იგი 2008 წლის აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდა სოფელ ...ში. აღნიშნულის გათვალისწინებით ცხადია, რომ დავის სწორად გადანყვეტისათვის სააპელაციო სასამართლომ ქ. ლ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისას უნდა იხელმძღვანელოს არა მხოლოდ პირადობის მოწმობის მონაცემებით არამედ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საერთოდ გამოირიცხავს ან დაადასტურებს ქ. ლ-ის ცხოვრებას სოფელ ...ში 2005 წლიდან 2008 წლამდე. ასეთი კონკრეტული გარემოებები იქნება ყველა ის მტკიცებულება რაც მიანიშნებს ან უარყოფს ქ. ლ-ის მიერ სოფელ ...ში ისეთი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, რაც მიუთითებს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის ყველა საჭირო გარემოებაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნულის მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს მხარეთა შორის. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებლს. მტკიცების ტვირთი ასევე მოიცავს ფაქტების მითითების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოებების არსებობა. ამასთან ადმინისტრაციულ პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მტკიცების ტვირთი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ეკისრება სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს. თუმცა მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგა-

ნოსათვის დაკისრება არ უნდა განიმარტოს იმდაგვარად, თითქოს პროცესუალური მონინალმდეგე, ამ შემთხვევაში მოსარჩელე, თავისუფალი იყოს სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ცნობებში მითითებულია, რომ იგი 2005 წლიდან 2008 წლამდე ნამდვილად ცხოვრობდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში, ხოლო მოპასუხეს კი აღნიშნულის სანინალმდეგო რაიმე სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რომელმაც საქმის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-17 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დეკონილაციისა და იძულებით გადაადგილებულ  
პირთათვის კომპენსაციის გაცემის წესი**

**იძულებით გადაადგილებულ პირთათვის  
კომპენსაციის გაცემის პირობები**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმთრო**

№ბს-1706-1678(კ-11)

8 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-  
ლად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 6 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-  
ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ვ. ა-მა მოპა-  
სუხეების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებ-  
ით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამი-  
ნისტროს და საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს პრემიერ-მინის-  
ტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანების ბათილად ცნობას; საქარ-  
თველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილე-  
ბულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავალ-  
დებულებას – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში  
შესვლიდან 10 დღის ვადაში გაეცა ვ. ა-ზე საცხოვრებელი ფართის  
სანაცვლო კომპენსაცია 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებ-  
ში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2011 წლის 4 მაისის საოქმო განჩინებით საქმის განხილვა-  
ში ასკ-ს 16.2 მუხლით ჩაება ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.  
ამავე საოქმო განჩინებით საქმის განხილვაში ასკ-ს 16.1 მუხლით ჩა-  
ება სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2011 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სარჩე-  
ლი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ



„რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მიღების დროიდან ვ. ა-ი ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წარდგენილ, საკომპენსაციო თანხის მიმღებთა სიებში შეყვანილი არ ყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ვ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი, ვინაიდან იგი არ იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის წარდგენილ სიაში, რომელშიც აღნიშნული განკარგულებით დადგენილი წესით მიეთითებოდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ (კომპენსაციის მიმღები უფლებამოსილი ოჯახის) პირის სახელი, გვარი პირადობის მონაწილის მონაცემები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლზე, რომლის საფუძველზე სასამართლო იმ შემთხვევაში გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, თუ ამ ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი ამ მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს, ხოლო იმავე კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ქმედება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველ-

ყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება, რომლითაც დადგენილ იქნა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის საკითხები, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული, ან ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე, საკომპენსაციო თანხის მიღებისათვის აუცილებელ წინაპირობად ითვალისწინებდა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ სამინისტროსათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული სიების წარდგენას. კერძოდ, ზემოხსენებული განკარგულების მე-6 ნაწილის თანახმად, ქურთის, ერედვის, თიღვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების გამგეობებს ეთხოვათ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარუდგინონ აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახებისა და ამ ოჯახებიდან, სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღები, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული (ნოტარიულად დამონმებული თანხმობა) უფლებამოსილი პირების (სახელი, გვარი, პირადობის მონუმობის მონაცემები – სახელობითი პირადი კოდის მითითებით) სიები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მიღების დროიდან ვ. ა-ი ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის წარდგენილ, ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა სიაში შეყვანილი არ ყოფილა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების უარმყოფელი რაიმე სახის მტკიცებულება მოსარჩელე მხარის მიერ სასამართლოსათვის წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე. მით უმეტეს, რომ ვ. ა-ის 5-სულიან ოჯახს უკვე მიღებული ჰქონდა 2 წილი საკომპენსაციო თანხა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ უსა-

ფუძვლოა მოთხოვნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზეც, ვინაიდან ხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს, დარღვეული არ არის მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. სასამართლომ ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ შეძლო წარმოედგინა მტკიცებულებები, რომ იგი ირიცხებოდა ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წარდგენილ, საკომპენსაციო თანხის მიმღებთა სიებში და დაედასტურებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ქმედებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანების კანონით დადგენილი ბათილად ცნობის საფუძვლები.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით ვ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ აპელანტის მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე და წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის შესაბამისად მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონის-

ძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-6 მუხლის თანახმად, ეთხოვა ქურთის, ერედვის, თიღვის, ახალგორისა და აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტების გამგეობებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარუდგინონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახებისა და ამ ოჯახებიდან, სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღები, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული (ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა) უფლებამოსილი პირების (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის მონაცემები – სახელობითი პირადი კოდის მითითებით) სიები.

ამავე განკარგულების მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად უნდა დაეზუსტებინა ამ განკარგულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სიები სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში განსახლებულ დაზარალებულ პირთა სიასთან.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ 2008 წლის 22 დეკემბერს გაგზავნილ სიაში მისი ყოფნა საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ მომხდარიყო მისი საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილება, რამდენადაც საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების გამოცემის შემდგომ, ამ განკარგულების მოთხოვნათა შესაბამისად, დაზუსტდა საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა წრე, რომელშიც ვ. ა-ი წარდგენილი არ ყოფილა.

შესაბამისად, პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას, რომ „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობების არ არსებობის გამო, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი ზემოთ ხსენებულ განკარგულებით გათვალისწინებული კომპენსაცია განეკარგა ვ. ა-ის სასარგებლოდ.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-მა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა მტკიცებულებები და დაედგინა, ვ. ა-ი წარმოადგენდა თუ არა დამოუკიდებელ ოჯახს. კასატორის განმარტებით, ვ. ა-ი საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა სიაში არის შეყვა-

ნილი და ეს მონაცემები მოპასუხე სამინისტროს გადაეგზავნა 2008 წლის 22 დეკემბერს. ამასთან, ქურთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა საქმის განხილვისას განმარტა, რომ 22 დეკემბრის სიები სწორედ კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით იქნა გაგზავნილი სამინისტროში.

კასატორის მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც, თუ დადასტურდება, რომ ქურთის მუნიციპალიტეტის სამინისტროსათვის წარდგენილ სახელობით სიაში ვ. ა-ი არ იყო მითითებული, ეს მაინც არ ჩაითვლება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად. მართალია, კომპენსაციის გაცემის წესის მარეგულირებელი ზემოთ დასახელებული განკარგულებები ითვალისწინებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ სამინისტროსათვის სიების წარდგენის პროცედურას, თუმცა ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ოჯახი რამოდენიმე წევრისაგან შედგება და საჭირო ხდება კომპენსაციის მიმღები ოჯახის ერთი წარმომადგენლის განსაზღვრა, რომელსაც უშუალოდ გადაეცემა ოჯახის კუთვნილი თანხა. კასატორმა მიუთითა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-6 პუნქტზე და მისი აზრით, მართალია ტექსტის დასაწყისში საუბარია ზოგადად ოჯახების შესახებ მონაცემების წარდგენაზე, თუმცა შემდგომი ტექსტი ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ ოჯახებზე, სადაც რამოდენიმე პირი ირიცხება. კასატორმა ჩათვალა, რომ სამინისტრო ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა იმის მიუხედავად, იყო თუ არა მოსარჩელე მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებულ სიაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება, საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალება, საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177.2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული

ციულ სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად.

აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე საკასაციო სამართლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ქმედებას განიხილავს როგორც ვ. ა-ის განცხადების და უკმაყოფილებლობის თაობაზე მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და აღნიშნულის კანონიერებას, ისევე როგორც „ვ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს პრემიერ მინისტრის 2011 წ. 2 მარტის №62 ბრძანებას, ამონიშნავს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სპეციალური ნორმატიული აქტებით.

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა ვ. ა-ის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება. მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე.

საქმეში წარმოდგენილია ვ. ა-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების თაობაზე საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაცია საიდანაც იკვეთება, რომ ვ. ა-ისათვის საკომპენსაციო თანხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად იქცა ორი გარემოება: ვინაიდან ვ. ა-ის ორ შვილს აღებული აქვს საკომპენსაციო თანხა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიზანშეუწონლად მიაჩნია განმცხადებელზე დამატებით თანხის გაცემა და მე-2 საფუძველი, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში გამოიკვეთა და საფუძველად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებას არის ის, რომ ვ. ა-ი არ იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილი სიაში, რაც სამინისტროს ართმევდა კომპენსაციის

გაცემის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისათვის გადამწყვეტია აქტის კანონიერება მატერიალური თვალსაზრისით, რაც ნიშნავს იმას, რომ აქტი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს გამოცემის სამართლებრივ საფუძველს. საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილს და აღნიშნავს, აქტის მიზანშეწონილობის გადამოწმება შედის ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რაც შეეხება სასამართლოს, მის ვალდებულებას წარმოადგენს აქტის კანონიერების შემოწმება. ამდენად იმ გარემოებაზე მითითება, რომ ვ. ა-ისათვის თანხის მიცემა არის მიზანშეუწონელი, სასამართლოს არ აძლევს მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტების შემოწმების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს ყურადღებას მიაქცევს იმ სამართლებრივ ნორმებზე, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება და თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დისკრეცია, რაც სამინისტროს მისცემდა არჩევანის განხორციელების შესაძლებლობას და გარკვეულწილად გაამართლებდა პოზიციას მიზანშეწონილობის საკითხთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება განსაზღვრავს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს და იმ პირობებს, რაც ნორმის მოქმედებას მოჰყვება. რამდენადაც სადავო აქტები ემყარება არა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს, არამედ მიზანშეწონილობის საკითხს, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აქტის კანონიერებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოებები ან ფაქტები, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მითითებული ნორმის პარალელურად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს საჯარო სამართალში გამოყენებად იმ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორცაა კანონიერი ნდობის პრინციპი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებაზე ისევე არის გარანტირებული, როგორც უკვე განხორციელებულ ქმე-

დებაზე.

საქმეში წარმოდგენილია როგორც ქურთის მუნიციპალიტეტის, ისე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო) არაერთი პასუხი კასატორისადმი, რომელიც შეიცავს ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ ხორციელდება თითოეული ოჯახის გადამონმება, რის საფუძველზეც დადგინდება მასზე კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა.

საქმეში დაცული წერილობითი პასუხებიდან გამომდინარე, პასუხის ადრესატს გააჩნდა ნდობის საფუძველი, რომ მიმდინარეობს მისი საკითხის შესწავლა, მას არ შეეძლო სტოდნოდა ან ევარაუდა, რომ არ იყო შეყვანილი საკომპენსაციო თანხის მიმღებთა სიაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქმეში წარმოდგენილია ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 22 დეკემბრის მიმართვა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი, რომელიც, მართალია, რამოდენიმე დღით უსწრებს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულებას, მაგრამ მიმართვის შინაარსი ცალსახად ცხადყოფს, რომ სია გადაცემულია კომპენსაციის გაცემის მიზნით.

საკასაციო სასამართლო გამორიცხავს საკითხისადმი იმგვარ მიდგომას, რომ სიები არ ექვემდებარებოდა გადამონმებას, მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულება შეიცავს მითითებას სიების გადამონმების აუცილებლობის თაობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უპირობო ვალდებულებას გასცეს საკომპენსაციო თანხა.

წინამდებარე სარჩელთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ კასატორი შეყვანილი იყო თავდაპირველ სიაში, მას არაერთგზის აქვს მიმართული კომპენსაციის მიღების მოთხოვნით და მისთვის არც ერთ ეტაპზე ცნობილი არ იყო ფაქტი იმის თაობაზე, რომ დაზუსტებულ სიაში არ იმყოფებოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს აქტი უნდა იყოს კონკრეტული და იმდენად ნათლად ჩამოყალიბებული, რომ მის ადრესატს ცალსახად შეეძლოს იმის გაგება, თუ რას მოითხოვენ მისგან. ადმინისტრაციული წარმოების პროცე-



სი არ შემოიფარგლება მხოლოდ აქტის გამოცემით, აქტის გამოცემას წინ უძღვის იმ გარემოების გამოკვლევა, შესწავლა და შეფასება, რაც შემდგომში საფუძვლად უნდა დაედოს წარმოების საბოლოო შედეგს – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ცნობილი იყო იმის თაობაზე, რომ ვ. ა-ი პრეტენზიას აცხადებდა საკომპენსაციო თანხის მიღებაზე, ასეთ პირობებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო განეხორციელებინა ადმინისტრაციული წარმოება, დაედგინა არსებობდა თუ არა პირის დაზუსტებულ სიაში შეყვანისა და კომპენსაციის გაცემის საფუძველი და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ მიეღო აქტი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით დაადასტურებდა ან უარყოფდა მოთხოვნის საფუძვლიანობას. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკითხინადმი იმგვარ მიდგომას, რომ სიაში ყოფნა-არყოფნა არის კომპენსაციის გაცემის მექანიკური საფუძველი, როგორც აღინიშნა სიები ექვემდებარებოდა გადამონებებს, რაც ნიშნავს იმას, რომ პირი შესაძლოა არასწორად მოხვედრილიყო სიაში, ისევე როგორც, არასწორად ყოფილიყო სიაში გამოტოვებული (ამოღებული). იმ პირობებში, როდესაც პირი სადავოდ ხდის კომპენსაციის გაუცემლობის ფაქტს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაადასტუროს იმ გარემოების არსებობა, რაც შესაბამისი ნორმის საფუძველზე გამორიცხავს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების პირველი პუნქტის შინაარსს, რომელშიც საუბარია რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული „ოჯახებისათვის“ საკომპენსაციო თანხის მიცემაზე, ნორმის ამ შემადგენლობის არსებობის პირობებში, საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ მხარის მოთხოვნის უარყოფა ან დადასტურება უნდა მოხდეს არა მიზანშეწონილობის საკითხიდან გამომდინარე, არამედ ზემოაღნიშნულ ნორმებზე მითითებით და მასთან შესაბამისობით. ნორმა, როგორც აღინიშნა, ითვალისწინებს საკომპენსაციო თანხის გაცემას ოჯახზე და არა ცალკეულ ინდივიდზე, რაც ნიშნავს იმას, რომ წარმოების პროცესში სწორედ აღნიშნული გარემოება უნდა იქცეს კვლევის საგნად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახა-

ლი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისთვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულია საქმის გარემოებათა არასრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული აქტების ბათილად ცნობის გზით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უნდა დაევალოს ვ. ა-თან მიმართებაში ახალი აქტის გამოცემა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32.4 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62-ე ბრძანება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალოს ვ. ა-თან მიმართებაში გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**იძულებით გადაადგილებულ პირთათვის  
კომპენსაციის გაცემის პირობები**

**ბანჩინება**

№ბს-637-625(კ-12)

16 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** კომპენსაციის გაცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 26 ოქტომბერს ნ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი არის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი. აღნიშნულ მოვლენებამდე იგი ცხოვრობდა ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ..., მშობლების – ბ. გ-ისა და ლ. ხ-ის კომლისაგან განცალკევებით. როგორც ცალკე კომლს, საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სადაც ამუშავებდა პურის საცხობსა და მაღაზიას. იძულებით გადაადგილებისთანავე გაიარა რეგისტრაცია ცალკე ოჯახად და მიენიჭა ნომერი – ..., ასევე, განცხადებით მიმართა ადგილობრივ (ქურთის) მუნიციპალიტეტს კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით. 2009 წლის 24 ნოემბერს მოსარჩელის, როგორც კომპენსაციის მიმღები უფლებამოსილი პირის შესახებ მონაცემები გაიზავნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2010 წლის 1 დეკემბრის №601/81733 მონაცემებით, ნ. გ-ი ირიცხებოდა დევნილთა ბაზაში, 10 000 დოლარის კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში, თუმცა კომპენსაცია არ მიუღია. ორი წლის შემდეგ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ხელმოკრედ გაიარა გასაუბრება, რის შედეგადაც უარი ეთქვა კომპენსაციით დაკმაყოფილებაზე. სამინისტროს მიერ მოსარჩელეს განემარტა, რომ უნდა მიწოდებოდა მშობლების ოჯახს, რომლებსაც კომპენსაცია მიღებული ჰქონდათ. მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქარ-

თველოს მთავრობას, მაგრამ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით განცხადება დარჩა განუხილველი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის №915, 2009 წლის 24 ივლისის №534, 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებების ყველა მოთხოვნას, შესაბამისად, უკანონოდ ეთქვა უარი თავშესაფრის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემაზე.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის – 10000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე ნ. გ-ს საკუთრებაში ჰქონდა ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე, 0,38 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული სახლით (საცხოვრებელი ფართი – 77,2 კვ.მ, დამხმარე ფართი – 11,8 კვ.მ), თუმიცა – ფიზიკურად ცხოვრობდა მშობლებთან, ერთ ოჯახად, მათი დახმარებით ამუშავებდა სასაურსათო მაღაზიას და პურის საცხობს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ დამონმებული ოჯახის გაყრილობის გადაწყვეტილება, რითაც დასაბუთებოდა ნ. გ-ის ცალკე ოჯახად არსებობის ფაქტი. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-ის მშობლებს მიღებული ჰქონდათ ფულადი კომპენსაცია 10000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. გ-მა 2010 წლის 11 აგვისტოს განცხადებით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილება. მოპასუხეს განცხადებაზე წერილობითი პასუხი არ გაუცია, რაც გასაჩივრდა საქართველოს მთავრობაში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 7 თებერვლის №35 ბრძანებით მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო აღნიშნული ბრძანება არ გასაჩივრებულა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრა-

ხი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებუ-  
ლია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის 1-  
ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან  
უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვა-  
ლეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რო-  
მელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამ-  
დგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მო-  
სამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრო-  
ბის 2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 19 თებერვლის №127,  
2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარ-  
გულებით განისაზღვრა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზა-  
რალებული მოსახლეობის კომპენსირების წესი. აღნიშნული განკარ-  
გულებებით მოპასუხე სამინისტროს დაევალა საკომპენსაციო თან-  
ხით (10000 აშშ დოლარი ერთ ოჯახზე) უზრუნველყო ომის შედეგად  
უსახლკაროდ დარჩენილი ის ოჯახები, რომლებმაც უარი თქვეს სა-  
ხელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენე-  
ბული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე. ამავე განკარგულე-  
ბებით შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებებს ეთხოვათ სამინის-  
ტროსათვის წარედგინათ ასეთი ოჯახების და ამ ოჯახების სახელით  
კომპენსაციის მიმღებ პირთა სიები, რომლებსაც სამინისტრო დაა-  
ზუსტებდა სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახ-  
ლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში განსახლებულ დაზა-  
რალებულ პირთა სიასთან შედარებით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის შემთხვევა-  
ში სახეზე არ იყო მითითებული განკარგულებით გათვალისწინებუ-  
ლი პირობები, რადგან იგი არ ცხოვრობდა ცალკე ოჯახად, შესაბა-  
მისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა ნ. გ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტი-  
ლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვ-  
ნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2012 წლის 23 მაისის განჩინებით ნ. გ-ის სააპელაციო  
საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012  
წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები,  
შეფასებები და დასკვნები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირე-  
ბით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს. მოცემულ შემთხვევაში სადავო-სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მოსარჩელე მხარის მიმართ უკანონო ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის თანახმად, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, რის გამოც, კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სახელმწიფო, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის, კერძოდ, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედება. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სა-

ფუძველზე განმარტა, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშე. აღნიშნული სახეზეა მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება – მმართველობითი ღონისძიების სათანადო წესით და მართლზომიერად გავრცელება, უზრუნველყოფილი არ არის, რაც იწვევს დაინტერესებული პირისათვის არახელსაყრელი ვითარების დადგომას. მოცემულ შემთხვევაში, ნ. გ-ი ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა სამინისტროსგან იმ არგუმენტებით, რომ სამინისტრომ არაკანონიერად არ უზრუნველყო ის, როგორც დევნილი, განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურებით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ყოველთვის უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მმართველობითი ღონისძიების გამოვლენის ან მმართველობითი ღონისძიებით პირის დაცული უფლებების ხელყოფის დადასტურებულ აღიარებას კანონით დადგენილი წესით და ფორმით. განსახილველ შემთხვევაში კი, ნ. გ-ს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 თებერვლის №35 პრძანება არ გაუსაჩივრებია. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მმართველობითი ღონისძიების გამოყენების გამო, ნ. გ-ისადმი მიყენებული ზიანი არ იყო დადგენილი და აღიარებული კანონით განსაზღვრული წესით. ამდენად პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის იურიდიულად დაუსაბუთებელი, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი შეფასება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მის მიერ მოყვანილ არცერთ გარემოებაზე არ გაამახვილა ყურადღება, რომ ის ცხოვრობდა მშობლებისგან განცალკევებით და ეწეოდა ცალკე სამეწარმეო საქმიანობას, იყო კომპენსაციის მიმღებთა სიაში, როგორც 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებილი პირი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩი-

ნების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნეეს, რომ ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნ. გ-ი არის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი. საქმეში წარმოდგენილი ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქურთის ტერიტორიული ორგანოს 2010 წლის 19 ნოემბრის №559 ცნობის თანახმად, აღნიშნულ მოვლენამდე, იგი ცხოვრობდა ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... და პირად საკუთრებაში ერიცხებოდა საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთით. ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ 2010 წლის 1 აგვისტოს გაცემული №341 ცნობის მიხედვით, საკომლო წიგნის ჩანაწერით ნ. გ-ს ეკუთვნოდა 0,38 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული საცხოვრებელი ფართი – 77,2 კვ.მ, დამხმარე ფართი – 11,8 კვ.მ). საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ნ. გ-ის საკუთრებად რეგისტრირებული იყო სოფელ ... მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებული იყო 2008 წლის 23 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2010 წლის 1 დეკემბრის №01/81733 მიმართვის თანახმად, ნ. გ-ი რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში და იმყოფება 10000 დოლარის კომპენსაციის მიღება პირთა სიაში. მოსარჩელის განმარტებით, მან იძულებით გადაადგილების შემდეგ გაიარა რეგისტრაცია ცალკე ოჯახად და მიენიჭა ნომერი – ..., რაც სადავოდ არ გაუხდია მოწინააღმდეგე მხარეს.

ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 24 ნოემბრის №191/4 მიმართვით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარედგინა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების სია სახელმწიფოს მიერ რეაბილიტირებული ან/და ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მისაღებად. აღნიშნულ სიაში ნ. გ-ი შეყვანილი იყო ცალკე, ერთსულიან ოჯახად, ხოლო მშობლები ცალკე – ორსულიან ოჯახად. ასევე, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ნ. გ-ის მშობლებმა კომპენსაცია მიიღეს როგორც ორსულიანმა ოჯახმა, ხოლო ნ. გ-ს კომპენსაცია არ მიუღია.

ნ. გ-მა 2010 წელს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში შექმნილ, დაზარალებულთა ოჯახების შემსწავლელ კომისიაზე გაიარა გასაუბრება, მაგრამ კომპენსაციის გაცემაზე ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ უნდა მიწეროდა მისი მშობლების ოჯახს, რომლებსაც კომპენსაცია მიღებული ჰქონდათ. 2010 წლის 11 აგვისტოს ნ. გ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული



ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, თუმცა აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ ჩატარებულა. ნ. გ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას, მაგრამ 2011 წლის 7 თებერვლის №35 ბრძანებით მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად ნ. გ-ი არ იქნა მიჩნეული ცალკე ოჯახად მცხოვრებ პირად, რამდენადაც ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 27 იანვრის №12/1 წერილით დასტურდებოდა, რომ იგი ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ №35 ბრძანებაში ასევე აღინიშნა, რომ ცალკე ოჯახად არსებობის ფაქტის დასადასტურებლად არ იყო წარდგენილი ოჯახის გაყრილობის გადანყევტილება. ამასთან, ნ. გ-ს არ გაუსაჩივრებია ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 11 აგვისტოს №101/1 წერილი, რომლითაც განემარტა, რომ მუნიციპალიტეტი თანხის დაკმაყოფილების თაობაზე ნ. გ-ის მონაცემებს ვერ მიაწოდებოდა სამინისტროს, რამდენადაც იგი ცალკე ოჯახს არ წარმოადგენდა. მითითებულ №35 ბრძანებაში განიმარტა, რომ სამინისტრო იმ შემთხვევაში იქნებოდა ვალდებული გაეცა ნ. გ-ისათვის კომპენსაცია, თუ სამინისტროს წარედგინებოდა შესაბამისი სია. ამგვარი მონაცემი ნ. გ-თან დაკავშირებით გამგეობას სამინისტროსათვის არ მიუწოდებია.

ნ. გ-მა აღძრული მავალდებულებელი სარჩელით მოითხოვა თავშესაფარის სანაცვლო კომპენსაციით დაკმაყოფილების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოში მომხდარი მოვლენების შედეგად, საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 25 დეკემბერს გამოსცა №915 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“. აღნიშნული განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა საკომპენსაციო თანხით უზრუნველყო 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ის ოჯახები, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე. ანუ მითითებული განკარგულება გამოიცა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა

და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრებული ვალდებულებების – უზრუნველყოს დევნილი საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით, შესრულების მიზნით და დამატებითი ღონისძიების სახით გათვალისწინებულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ოჯახებისათვის თავშესაფარის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემა, რომლებმაც უარი განაცხადეს საცხოვრებელი ფართის მიღებაზე. მითითებული განკარგულების მე-2 პუნქტის მიხედვით, საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვრა ერთ ოჯახზე 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით. განკარგულების მე-6 პუნქტით სამინისტროსათვის კომპენსაციის მიმღებ პირთა სიების წარდგენა დაევალა შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობებს, ხოლო განკარგულების მე-7 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად უნდა დაეზუსტებინა გამგეობის მიერ წარდგენილი სიები სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში განსახლებულ დაზარალებულ პირთა სიასთან. ამავე შინაარსის განკარგულებები იქნა მიღებული საქართველოს მთავრობის მიერ შემდგომ პერიოდებშიც, კერძოდ, 2009 წლის 19 თებერვლის №127, 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №85ნ განკარგულებები.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოებმა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითეს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ ნ. გ-ი არ ცხოვრობდა ცალკე ოჯახად, თუმცა არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებიათ რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით უარყვეს აღნიშნული ფაქტი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს მიზანია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოების მიერ არ შეფასებულა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სასამართლოებს არ მოუხდენიათ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების სათანადო სამართლებრივი შეფასება. სასამართლოებმა გაიზიარეს ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთება, რომ ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი უნდა დადასტურებულიყო ოჯახის გაყრილობის შესახებ გადაწყვეტილებით, რასაც საკასაციო სასამარ-

თლო ვერ დაეთანხმება.

საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულია, რომ ნ. გ-ი 2008 წლის აგვისტოს ომამდე მუდმივად ცხოვრობდა ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... და პირად საკუთრებაში ერიცხებოდა საცხოვრებელი სახლი მინის ნაკვეთით, სადაც ასევე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, ჰქონდა პურის საცხობი და მაღაზია. ნ. გ-მა იძულებით გადაადგილებისთანავე გაიარა რეგისტრაცია და მიენიჭა ცალკე ოჯახის ნომერი – ..., ხოლო სამოქალაქო რეესტრის 2010 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით იგი რეგისტრირებული იყო დევნილთა ბაზაში 10 000 დოლარის კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში. ამასთან, ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ხელმოწერით სამინისტროსათვის 2009 წლის 24 ნოემბერს გაგზავნილ კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში ცალკე ოჯახად იქნა შეყვანილი ნ. გ-ი. აღნიშნულის მიუხედავად, ნ. გ-ზე კომპენსაცია არ გაცემულა, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო უარის კანონიერებას ასაბუთებს იმ ფაქტზე მითითებით, რომ ნ. გ-ი არ ცხოვრობდა ცალკე ოჯახად და ეყრდნობა მხოლოდ ქურთის მუნიციპალიტეტის იმავე გამგებლის მიერ 2011 წლის 27 იანვარს გაცემულ ცნობას, რომლის მიხედვით ნ. გ-ი ერთ ოჯახად ცხოვრობდა მშობლებთან ერთად, რომელმაც გასცა წინამორბედი ცნობები, მათ შორის კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში ცალკე ოჯახად შეიყვანა ნ. გ-ი. აღნიშნულის შესაბამისად, გაურკვეველია რატომ მიანიჭეს სასამართლოებმა უპირატესობა მხოლოდ ერთ დოკუმენტს და არ შეაფასეს იგი საქმეში წარმოდგენილ მთელ რიგ მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერების შედეგად.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლოებმა ნ. გ-ის ცალკე კომლად ცხოვრების ფაქტი დადასტურებულად არ მიიჩნიეს გაყრილობის შესახებ გადანყვეტილების არარსებობის გამო, თუმცა საქმეში წარმოდგენილი ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ 2010 წლის 1 აგვისტოს გაცემული №341 ცნობა, რომლის მიხედვით, ნ. გ-ს ეკუთვნოდა 0,38 კვ.მ. საკარმიდამო მინის ნაკვეთი (მასზე განთავსებული საცხოვრებელი ფართი – 77,2 კვ.მ, დამხმარე ფართი – 11,8 კვ.მ) ემყარებოდა სწორედ საკომლო წიგნის ჩანაწერს. მოცემულ შემთხვევაში მონინალმდევე მხარე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ნ. გ-ს სოფელ ... კერძო საკუთრებად ერიცხებოდა საცხოვრებელი სახლი, მაგრამ მიიჩნევს, რომ მიუხედავად საკუთრებაში ცალკე საცხოვრებელი სახლის არსებობისა, იგი ერთ ოჯახად ცხოვრობდა მშობლებთან ერთად, რის გამოც არ არსებობდა მისი ცალკე ოჯახად მიჩნევის საფუძველი, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. 2009 წლის 24 ნოემბერს სამინისტროში გაგზავნილი კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში ნ. გ-ის მშობლები შეყვანილი იყო როგორც ორ სულიანი ოჯახი (დედ-მამა) და კომპენსაციაც მათზე ამ სახით გაიცა. ნ. გ-ი ამავე სიაში ცალკე – ერთსულიან ოჯახად იქნა შეყვანილი,

თუმცა მასზე კომპენსაცია არ გაცემულა. მონინააღმდეგე მხარის მითითებით, ნ. გ-ს არ გაუსაჩივრებია მისი 2010 წლის სიაში შეყვანაზე გამგეობის უარი, თუმცა გაურკვეველია, იმ პირობებში, როდესაც ნ. გ-ი უკვე შეყვანილი იყო 2009 წლის სიაში, რატომ იყო საჭირო მისი კვლავ შეყვანა სიაში და აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის გავლა, რამდენადაც №915 განკარგულების მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის მიმღებ პირთა სიას ადგენდა შესაბამისი გამგეობა, რომლის მიერაც 2009 წელს უკვე შეყვანილი იყო ნ. გ-ი სიაში და აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სწორედ გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. სამინისტრო ვალდებული იყო გადაემონმებინა ამა თუ იმ პირის სიაში შეყვანის სისწორე მხოლოდ იმ თვალსაზრისით, მას მიღებული ხომ არ ჰქონდა საცხოვრებელი ფართიც, რამდენადაც განკარგულებების მიზანს წარმოადგენდა კომპენსაციით იმ პირთა უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი განაცხადეს სანაცვლო საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე და არჩიეს კომპენსაციის მიღება. ანუ სამინისტრო უფლებამოსილი იყო გადაემონმებინა გამგეობის მიერ წარდგენილი სიები მხოლოდ იმ კუთხით, ხომ არ მოხდა ერთი პირისათვის საცხოვრებელი ფართისა და კომპენსაციის ერთდროულად მიღება. აღნიშნულთან დაკავშირებით მონინააღმდეგე მხარემ მიუთითა, რომ ნ. გ-ი ამორიცხული იქნა სიიდან, რაც ასევე არ გასაჩივრებულა მის მიერ, თუმცა საქმის მასალებით არ დგინდება რომელი აქტით მოხდა მისი სიიდან ამორიცხვა და ასეთ პირობებში გაეცნო თუ არა იგი ადრესატს კანონით დადგენილი წესით.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-51 მუხლის 1-ლი ნაწილის გ) ქვეპუნქტის თანახმად, დევნილს უფლება აქვს ისარგებლოს დროებითი საცხოვრებელი საქართველოს ფარგლებში. შესაბამისად, მთავრობის განკარგულებებით დევნილებს უფლება მიენიჭათ აერჩიათ საცხოვრებელი ფართი, ან მიეღოთ სანაცვლო კომპენსაცია. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების პირველი პუნქტის შინაარსს, რომელშიც საუბარია რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საკომპენსაციო თანხის მიცემაზე, ნორმის შემადგენლობის არსებობის პირობებში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარის მოთხოვნის უარყოფა ან დადასტურება უნდა მოხდეს არა მიზანშეწონილობის საკითხიდან გამომდინარე, არამედ ზემოაღნიშნულ ნორმებზე მითითებით და მასთან შესაბამისად. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2010 წლის 1 დეკემბრის მიმართვის თანახმად, ნ. გ-ი იძულებით გადაადგილებულ

პირთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია მისამართზე – ქ. თბილისი, ... ქ. № 10. კასატორმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე, ასევე, დაადასტურა, რომ იგი დღეისათვის რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობს ქ. თბილისში, ... ქუჩაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებაზე, კერძოდ, იგი დღეისათვის სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია თუ არა თავშესაფარით, რაც გამორიცხავს საქართველოს მთავრობის მითითებული განკარგულებების მასზე გავრცელების წინაპირობას. ამასთან, კასატორმა ასევე გამოთქვა სურვილი უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი თავშესაფარით, რის შედეგადაც იგი უარს იტყვის კომპენსაციის მიღებაზე, რაზეც, ასევე უნდა იმსჯელოს სააპელაციო სასამართლომ.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოების მითითებას, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 თებერვლის №35 ბრძანება, აღნიშნული საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო დახმარებოდა მოსარჩელეს მოთხოვნის ფორმულირებაში და შეეთავაზებინა მისთვის სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება, კერძოდ, კომპენსაციით დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნასთან ერთად ითხოვდა თუ არა მოსარჩელე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობასაც, რაც არ უნდა იქნეს განხილული სასარჩელო მოთხოვნის გაზრდად. ნ. გ-ის მოთხოვნას წარმოადგენს კომპენსაციის ანაზღაურება, რაზეც მისი განცხადება არ იქნა განხილული სამინისტროს მიერ, ხოლო აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობაში. შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ, ახალ მოთხოვნას და იგი დაკავშირებულია კომპენსაციის გაცემის შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებასთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს ასევე არ უმსჯელია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, საქმეში ქურთის მუნიციპალიტეტის მონვევის საკითხზე, რამდენადაც საქართველოს მთავრობის განკარგულებებით სწორედ გამგეობა წარმოადგენდა სიების შედგენაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს, სწორედ მის მიერ გაცემულ ცნობაზე დაყრდნობით ეთქვა უარი ნ. გ-ს კომპენსაციის გაცემაზე და დავას ინ-

ვევდა ის გარემოება, რატომ არ იქნა მიჩნეული ნ. გ-ი ცალკე მცხოვრებ ოჯახად, რისი დაზუსტებაც გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმეში მესამე პირად ჩაბმის საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე, სასამართლომ ისე გაიზიარა წინა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება, რომ სათანადოდ არ შეუმოწმებია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების დასადგენად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უსახლკაროდ დარჩენილ ლტოლვილთა ოჯახების კომპენსაციით უზრუნველყოფა

## ბანჩინება

№ბს-678-664(კ-12)

30 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**ნ. სხირტლაძე**

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების და-  
ვალება და ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ს. მ-მა 2011 წლის 27 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-  
რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და  
ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ, რომლითაც ს. მ-ის განცხადე-  
ბის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოპასუხის 2011 წლის  
11 ნოემბრის №156 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის მო-  
სარჩელის სასარგებლოდ საცხოვრებელი სახლის სანაცვლო კომ-  
პენსაციის – 10 000 აშშ დოლარისა (ეკვივალენტი ლარის) და მიყენე-  
ბული ზიანის – 10 000 დოლარის (ეკვივალენტი ლარის) ანაზღაურე-  
ბის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ  
მისი ოჯახი არის ... დევნილი. 2009 წელს მან ოჯახის სახელით გან-  
ცხადებით მიმართა ... მუნიციპალიტეტის გამგეობას და სახელმწი-  
ფოს მიერ შეთავაზებული ახლად აშენებული, რეაბილიტირებული  
ან შესყიდული ფართების სანაცვლო კომპენსაციის – 10000 აშშ დო-  
ლარის გადახდა მოითხოვა. ... მუნიციპალიტეტის გამგეობამ აცნო-  
ბა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით  
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინის-  
ტროში ს. მ-ის მონაცემები 2009 წლის 16 იანვარს გაიგზავნა, მაგრამ  
მიუხედავად ამისა თანხის ჩარიცხვა არ მოხდა. აღნიშნული პასუხის  
მიღების შემდეგ ს. მ-მა კომპენსაციით დაკმაყოფილების თაობაზე  
განცხადებით მიმართა სამინისტროს, მაგრამ განცხადებას რეაგი-  
რება არ მოჰყოლია, რის გამოც მოსარჩელემ ადმინისტრაციული

საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა მოპასუხე სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალეზა. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 სექტემბრის №412 ბრძანებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სამინისტროს დავალეზა საკითხის შესწავლა. საქართველოს მთავრობის დავალეზის შემდგომ, სამინისტროში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და 2011 წლის 11 ნოემბრის №156 ბრძანებით ს. მ-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ს. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინებით ს. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. მ-ი მის ოჯახთან ერთად 2008 წლის აგვისტოს საომარ მოვლენებამდე მუდმივად ცხოვრობდა ... რაიონის სოფელ ... საკუთარ საცხოვრებელ სახლში. ... მუნიციპალიტეტის 2009 წლის 16 იანვრის №32 მიმართვით მისი ოჯახის მონაცემები 4 პირის შემადგენლობით (ს. მ-ი, ნ. მ-ი, გ. მ-ი და ა. მ-ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში გადაიგზავნა, როგორც კომპენსაციის მიმღები ოჯახი. სა-მოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში, ს. მ-ი რეგისტრირებულია მისამართზე ქ. თბილისი, ... მე-6 მ/რ, კორპ. 27, ბ. №37. მისი მშობლები ა. მ-ი და თ. მ-ი დაკმაყოფილებულები არიან საცხოვრებელი ფართით მდებარე მცხეთის რაიონი, სოფელი ... რიგი ..., სახლი №78. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 1 სექტემბრის №412 ბრძანებით ს. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავალეზა განიხილოს ს. მ-ის, როგორც რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული ოჯახის საკითხი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 11 ნოემბრის №156 ბრძანებით ს. მ-ის მოთხოვნა საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტით ლარებში) ოდენობით კომპენსაციით დაკმაყოფილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.



სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მათზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს საკითხის განხილვას, თუ რამდენად კანონიერია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 11 ნოემბრის №156 ბრძანება ს. მ-ის მოთხოვნის საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტით ლარებში) ოდენობით კომპენსაციით დაკმაყოფილების თაობაზე, რამდენად მართებულია, დაევალოს სამინისტროს ს. მ-ისათვის საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ კომპენსაციით 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტით ლარებში) ოდენობით გადახდა და უკანონო მმართველობითი ღონისძიების განხორციელების გამო ზიანის ანაზღაურება. პალატამ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვრა ერთ ოჯახზე 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტით, თუ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგენლობაში აღმოჩნდება სამსულზე ნაკლები – აღნიშნული ფაქტის სისწორე ხელმონერით უნდა დაადასტურონ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის მისაღებად. ამავე განკარგულების მე-6 პუნქტის თანახმად, ეთხოვა ქურთის, ერედვის, თიღვის, ... და ... (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტების გამგეობებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარუდგინონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახებისა და ამ ოჯახებიდან, სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღები, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული (ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა) უფ-

ლებამოსილი პირების (სახელი, გვარი, პირადობის მონუმობის მონაცემები – სახელობითი პირადი კოდის მითითებით) სიები. იგივე ლონისძიებები იქნა გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებებით. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის, აგრეთვე შესაბამისი გადაამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზიას, რომ ოჯახების კომლექტად აღრიცხვის სიები არ შეიძლება გადაამონუმერულიყო, მაშინ, როცა მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულება შეიცავს მითითებას სიების გადაამონუმერების აუცილებლობის თაობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უპირობო ვალდებულებას გაცეცხს საკომპენსაციო თანხა. სიების გადაამონუმერების ვალდებულება გამომდინარეობს იმ მოვლენებიდან, რომ პირი შესაძლოა არასწორად მოხვედრილიყო სიაში, ისევე როგორც, არასწორად ყოფილიყო სიაში გამოტოვებული (ამოღებული). იმ პირობებში, როდესაც პირი სადავოდ ხდის კომპენსაციის გაუცემლობის ფაქტს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაადასტუროს იმ გარემოების არსებობა, რაც შესაბამისი ნორმის საფუძველზე გამორიცხავს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას. სწორედ ამ გარემოების გამოკვლევა – დადგენას ემსახურება სიების გადაამონუმერების ნორმატიული ვალდებულება. პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დასტურდებოდა, მოსარჩელის, როგორც ცალკე ოჯახის არსებობის ფაქტი. საქმის მასალების თანახმად ს. მ-ი წარმოადგენდა მისი მშობლების ოჯახის წევრს, რომელიც დაკმაყოფილებულია საცხოვრებელი ფართით, შესაბამისად, მისთვის, როგორც დამოუკიდებელი ოჯახისათვის, საკომპენსაციო თანხის გაცემის დავალდებულება არ შესაბამებდა მოქმედ კანონმდებლობას, შესაბამისად არ არსებობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 11 ნოემბრის №156 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არამართლზომიერებაზე და მიუთი-

თა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრული იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო“. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის, კერძოდ, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედება (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) დადგენილი არის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშე. აღნიშნული სახეზეა მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიულ სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება – მმართველობითი ღონისძიების სათანადო წესით და მართლზომიერად გავრცელება, უზრუნველყოფილი არ არის, რაც იწვევს დაინტერესებული პირისთვის არახელსაყრელი ვითარების დადგომას. მოცემულ შემთხვევაში ს. მ-ი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სამინისტროსაგან იმ არგუმენტებით, რომ სამინისტრომ უკანონოდ უთხრა უარი კომპენსაციის ანაზღაურებაზე. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ყოველთვის უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მმართველობითი ღონისძიების გამოვლენის ან მმართველობითი ღონისძიებით პირის დაცული უფლებების ხელყოფის დადასტურებულ აღიარებას კანონით დადგენილი წესით და ფორმით. მოცემულ შემთხვე-

ვაში არ დადასტურდა სამინისტროს მიერ ს. მ-ის მიმართ უკანონო მმართველობითი ღონისძიების განხორციელება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მმართველობითი ღონისძიების გამოყენების გამო ს. მ-ისათვის მიყენებული ზიანი არ იქნა დადგენილი და აღიარებული კანონით განსაზღვრული წესით. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პირობები. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლობის გამო არ იქნა გაზიარებული სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, აპელანტის მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე და არ იქნა წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ სამართლებრივ დასკვნებს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გათვალისწინებითაც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-მა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №195, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებებით, ასევე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით. კასატორის მოსაზრებით სასამართლომ არასწორად განმარტა მთავრობის დადგენილებები, გამოიყენა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონი რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არ გამოიყენა „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ თითქოს ს. მ-ი ცალკე ოჯახად არ ცხოვრობდა.

სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ არის დაფუძნებული შესაბამის მტკიცებულებებზე, რადგან ... თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა გ. ბ-შილმა დაადასტურა ს. მ-ის ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი. მან განაცხადა, რომ ს. მ-ისა და მისი მშობლების სახლებს ცალ-ცალკე შესასვლელი ჰქონდათ, საკომლო წიგნებითაც ცალ-ცალკე კომლებად იყვნენ რეგისტრირებულნი. აღნიშნულს ადასტურებს ასევე ის დოკუმენტებიც, რომლებიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ არის გაცემული სხვადასხვა წლებში. იმის გათვალისწინებით, რომ საომარი მოქმედებების დროს საკომლო წიგნი განადგურდა და მისი წარმოდგენა ან მისი მიხედვით შესაბამისი ამონაწერის გაკეთება ვერ ხერხდება, შეფასებას მოითხოვს საქართველოს მთავრობის ის განკარგულებები, რომლებიც კომპენსაციის გაცემის საკითხს არეგულირებს. მათში აღნიშნულია, რომ კომპენსაცია გაიცემა ოჯახზე. ამიტომ უნდა განისაზღვროს, აღნიშნული აქტები ვის მოიაზრებს ოჯახად და ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი რა მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს.

კასატორმა აღნიშნა, რომ ოჯახის ცნება საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებებით არ არის განმარტებული, რის გამოც სხვა აქტებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ოჯახის ცნების განმარტება. ოჯახში ზოგადად მოიაზრება პირთა გაერთიანება, რომლებიც ერთად ეწევიან საოჯახო-სამეურნეო საქმიანობას და აქვთ საერთო შემოსავალი. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ ოჯახს განმარტავს, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ პირს ან პირთა წრეს, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას. გარდა ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ოჯახად ითვლება „განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას“. აღნიშნულ განმარტებებთან სრულ თანხვედრაშია „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი განსახლების შესახებ“ სახელმძღვანელოში მოცემული ოჯახის ცნება. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტით ოჯახად მიიჩნევა „ქორწინებით, სისხლით ნათესაობით ან მის გარეშე დაკავშირებული, ერთ ქერქვეშ მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ საერთო შემოსავალი და საერთო ხარჯები“. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის განკარგულებების მართებული განმარტებისას, „ოჯახს“ სწორედ მსგავსი დატვირთვა აქვს. ანუ დასახელებული განკარგულებების მიხედვით საკომპენსაციო თანხის მიმღები სუბიექტია პირი, ან პირთა წრე, რომელიც ერთ საც-

ხოვრებელ ფართში ცხოვრობს და ეწევა საერთო შინასამეურნეო საქმიანობას. ზემოაღნიშნული განკარგულებები არ იძლევა იმ მტკიცებულებების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც დაადასტურებდა პირთა წრის ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტს. შესაბამისად, ეს გარემოება შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი მტკიცებულებით – ახსნა-განმარტებით, მონმის ჩვენებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობით და სხვა. აღნიშნულის მიუხედავად სასამართლომ მიუთითა, რომ კომლად რეგისტრაციის ფაქტი მხოლოდ საკომლო წიგნით უნდა დადასტურდეს, რაც კასატორის მოსაზრებით არასწორია, რადგან მთავრობის განკარგულებები ოჯახად ცხოვრების ფაქტის დადგენას ასეთ სტანდარტს არ უყენებს სწორედ იმის გამო, რომ ომის დროს საკომლო წიგნები განადგურებულია. საკომლო წიგნიდან გაცემული ამონაწერი, რომ იყოს აუცილებელი პირობა კომპენსაციის მისაღებად, მაშინ ვერცერთი ოჯახი ვერ შეძლებდა მის მიღებას. სწორედ განსაკუთრებული გარემოებების გამო, მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებები, იმის გათვალისწინებით, რომ საკომლო წიგნები არ არსებობს, ოჯახის შემადგენლობის დადასტურების შესაძლებლობას ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კომპეტენციაში აქცევს. სწორედ ამას გულისხმობს განკარგულების მე-6 მუხლი – „ეთხოვოთ ქურთის, ერედვის, თიღვის და ... მუნიციპალიტეტების გამგეობებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარუდგინონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახებისა და ამ ოჯახებიდან სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად ამენებული საცხოვრებელი ფართობების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღები, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული (ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა) უფლებამოსილი პირების (სახელი, გვარი, პირადობის მონაცემები – სახელობითი პირადი კოდის მითითებით) სიები“. კასატორის მოსაზრებით ზემოაღნიშნული განკარგულებების სწორი განმარტების შემთხვევაში, დგინდება, რომ ოჯახს აქვს უფლება მიიღოს საკომპენსაციო თანხა, ხოლო ოჯახის შემადგენლობის დადასტურება ადგილობრივი გამგეობის კომპეტენციაა, რომლის მიერ გაცემული ცნობები ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია და მათი კანონშესაბამისობის საკითხი სასამართლოში დავის საგანი არ ყოფილა. შესაბამისად, სასამართლოს არ შეეძლო სადავოდ მიეჩნია მათი შინაარსი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობებთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მონაცემები არ არის უტყუარი და ეფუძნება განმცხადებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რაც გადამოწმების შემთხვევაში ხშირად ექვემდებარება გაუქმებას. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს აღნიშნული

განმარტება არ შეესაბამება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის № 141/ნ ბრძანებას, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესს ადგენს. ბრძანების მე-3 მუხლი განსაზღვრავს ოჯახის იდენტიფიკაციის წესს, რომლის თანახმად, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მონაცემები განმცხადებელთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას კი არ ეფუძნება, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს, არამედ, ეს არის მთელი რიგი ინფორმაციის დამუშავების შედეგი, რომელსაც ადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი. კასატორმა აღნიშნა, რომ მათ მიერ წარდგენილი მონობები (სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის შესახებ) გაცემულია არა ერთ წელს, არამედ ეს არის 2006, 2007, 2008 წლებში გაცემული. ამით დასტურდება, რომ როგორც მინიმუმ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამჯერ აქვს გადამოწმებული აღნიშნული მონაცემების უტყუარობა. ამდენად, სასამართლოს შეფასება, რომ „აღნიშნული მონაცემები ხშირ შემთხვევაში ექვემდებარება გაუქმებას“ არ შეიძლება იმ ოჯახის საზიანოდ იქნეს გამოყენებული, რომლის შემთხვევაშიც მსგავსი რამ არ დადასტურებულა. ამასთან, სასამართლოს მითითება „ხშირ შემთხვევაში“ არავითარ ობიექტურ გარემოებაზე არ არის დაფუძნებული.

კასატორმა აღნიშნა რომ სარჩელით ითხოვდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ს. მ-ის სასარგებლოდ საცხოვრებელი სახლის სანაცვლო კომპენსაციის 10 000 აშშ დოლარის, მოსარჩელის ოჯახისათვის მიყენებული ზიანის – 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრებას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2011 წლის 11 ნოემბრის № 156 ბრძანების ბათილად ცნობას. კასატორის მოსაზრებით საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულად აკმაყოფილებდნენ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №91 15 განკარგულებით დადგენილ კომპენსაციის გაცემისათვის საჭირო პირობებს, რის გამოც მას სრული უფლება აქვს მიიღოს საკომპენსაციო თანხა. სამინისტრომ ს. მ-ზე საკომპენსაციო თანხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ ამოწურულია საქართველოს მთავრობის განკარგულებით კომპენსაციის გასაცემად გამოყოფილი თანხები, მაშინ, როცა ს. მ-ს კომპენსაციის მისაღებად განცხადება დაწერილი ჰქონდა 2009 წელს, ჯერ კიდევ პირველი განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხების არსებობის პერიოდში და მომდევნო სამი განკარგულება არ იყო მიღებული. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ... მუნიციპალიტეტის მიერ მოსარ-

ჩელის ოჯახის შესახებ მონაცემები გაგზავნილი იყო 2009 წლის 16 იანვარს. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ საკომპენსაციო თანხების ამონურვის გამო სამინისტროს აღარ დაეკისრება საკომპენსაციო თანხის გაცემის ვალდებულება, სამინისტროს მიერ თანხების არსებობის პერიოდში ს. მ-ის კომპენსაციით დაკმაყოფილების ხელოვნურად და უსაფუძვლო შეფერხებით მოსარჩელეს მიაყენა მატერიალური ზიანი, რადგან მან ვერ მიიღო ის თანხა, რომელსაც მიიღებდა მოპასუხეს, რომ კანონის ფარგლებში ემოქმედა და დროულად მიეცა მისთვის კუთვნილი თანხა. გასაჩივრებულ ბრძანებაში სადავო გარემოებაააა მითითებული ს. მ-ის ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტი, ხოლო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მეორე საფუძვლად დასახელებულია თანხების ამონურვა. განმცხადებელი მოთხოვნის დაკმაყოფილების უმთავრეს ფაქტობრივ გარემოებად უთითებდა ს. მ-ისა და მისი მშობლების ოჯახების ცალ-ცალკე ოჯახებად ცხოვრების ფაქტს. ამ გარემოებას ადასტურებს, როგორც ... თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ასევე ... მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობები, რაზეც სამინისტრომ მიუთითა, რომ ვერც რწმუნებული და ვერც მუნიციპალიტეტი ვერ ადასტურებენ თუ რა გარემოებაზე, რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით ადგენენ ხსენებულ ფაქტს. სამინისტროს მოსაზრებით საკომლო წიგნების არარსებობა და ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან, სხვა შემთხვევებში მის მიერვე გაცემული ცნობების სადავოდ ქცევის ფაქტები არის იმის მიმანიშნებელი, რომ ს. მ-ი თურმე ცალკე ოჯახად არ ცხოვრობდა. სამინისტროს მსჯელობა, რომ „ამგვარი ცნობები უმეტეს შემთხვევაში მცდარი აღმოჩნდარა“ არის სრულიად დაუსაბუთებელი, თუ ჩავთვლით, რომ ეს მართლაც ასეა, ამ ფაქტს მაინც არა აქვს მნიშვნელობა განსახილველი საქმისთვის, რადგან მოცემულ საქმეზე ... მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობების მცდარობა არ დადასტურებულა. კასატორის მოსაზრებით, ასევე, დაუსაბუთებელია მონინალმდეგე მხარის მითითება, რომ სოფელ ... ს. მ-ის მშობლებისათვის გადაცემული კოტეჯი გათვალისწინებულია 5-6 სულიანი ოჯახისათვის და შესაბამისად, ის განკუთვნილია ს. მ-ის ოჯახისათვისაც. კოტეჯის ტიპის დასახლებაში ყველა კოტეჯი სტანდარტულია, შესაბამისად, ზოგიერთ მათგანში ცხოვრობს 2, ზოგან 3 და ა.შ. პირი. ამდენად, სამინისტროს რომც მოეწოდებინა მოსარჩელის მშობლებისათვის უფრო მცირე ზომის კოტეჯის გადაცემა, ეს შეუძლებელი იქნებოდა კოტეჯების სტანდარტულობიდან გამომდინარე. ამასთან, სამინისტრომ ს. მ-ი დევნილის მოწმობის თანახმად, სხვა მისამართზე დაარეგისტრირა ქ. თბილისის ტერიტორიაზე და არა სოფელ ..., რადგან მისი ოჯახი საცხოვრებლით არ არის დაკმაყოფილებული სოფელ .... საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-



ბისა და ლტოლვილთა სამინისტროს განკარგულებებით გათვალისწინებული ვალდებულება იარსებებს იმ დრომდე, სანამ იარსებებს იმ პირთა წრე, ვიზეც განკარგულება ვრცელდება. დაუშვებელია თანხის მიღების უფლების შეზღუდვა თანხების ამონურვის მოტივით. კასატორი თვლის რომ ეს უთანაბრდება პენსიონერისათვის კუთვნილი პენსიის მიღებაზე უარის თქმას იმ საფუძველით, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული საპენსიო თანხები ამოიწურა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლები, რის გამოც ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილად მიიჩნევს, რომ ს.მ-ი მის ოჯახთან ერთად 2008 წლის აგვისტოს საომარ მოვლენებამდე მუდმივად ცხოვრობდა ... რაიონის სოფელ ... საკუთარ საცხოვრებელ სახლში. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ოდენობა განისაზღვრა ერთ ოჯახზე 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით და გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქარ-

თველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის 10 190 000 (ათი მილიონ ას ოთხმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გამოყოფა. ამასთან, ქურთის, ერედვის, თიღვის, ... და ... (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტების გამგებებს ეთხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის წარედგინათ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახებისა და ამ ოჯახებიდან, სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღები, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული (სანოტარო წესით დამონმებული თანხმობა) უფლებამოსილი პირების (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის მონაცემები – სახელოსთითი პირადი კოდის მითითებით) სიები. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებების მე-4 პუნქტების შესაბამისად ლტოლვილთა საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის მიზნით „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოიყო 4 076 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი და „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან 88 920 ლარი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ... მუნიციპალიტეტის 2009 წლის 16 იანვრის №32 მიმართვით ს. მ-ის ოჯახის მონაცემები 4 პირის შემადგენლობით (ს. მ-ი, ნ. მ-ი, გ. მ-ი და ა. მ-ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში გადაიგზავნა, როგორც კომპენსაციის მიმღები ოჯახი. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში, ს. მ-ი რეგისტრირებულია მისამართზე ქ. თბილისი, ... მე-6 მ/რ, კორპ. 27, ბ. №37. მისი მშობლები ა. მ-ი და თ. მ-ი დაკმაყოფილებულნი არიან საცხოვრებელი ფართით მდებარე მცხეთის რაიონი, სოფელი ... რივი ..., სახლი №78. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 1 სექტემბრის №412 ბრძანებით ს. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა განიხილოს ს. მ-ის, როგორც რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული ოჯახის საკითხი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ-

ვილთა სამინისტროს 2011 წლის 11 ნოემბრის №156 ბრძანებით ს. მ-ის მოთხოვნა საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტით ლარებში) ოდენობით კომპენსაციით დაკმაყოფილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“-ე პუნქტზე მითითებით მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი და გამოტანილია გამოუკვეველ გარემოებებზე დაყრდნობით. საქმეში წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, რომლებიც მიუთითებდნენ ს. მ-ის საცხოვრებელ პირობებზე, კერძოდ: ... თემის ტერიტორიული ორგანოსა და ... მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ცნობები, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩატარებული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი და ... თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის გ. ბძის ახსნა-განმარტება, რომლებში მითითებული გარემოებები შეფასების გარეშე დატოვა სააპელაციო სასამართლომ. საკასაციო პალატა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებების საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე, ხოლო საკომპენსაციო თანხის მიმღები ოჯახებიდან უფლებამოსილ პირთა სიების წარდგენა ეთხოვა შესაბამის მუნიციპალიტეტის გამგეობებს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ს. მ-ის ოჯახი არის 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი და უარი თქვა სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართის მიღებაზე, რის შედეგადაც ... მუნიციპალიტეტის 2009 წლის 16 იანვრის №32 მიმართვით ს. მ-ის ოჯახის მონაცემები გადაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში. საყურადღებოა, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებებით ვერ ირკვევა, თუ, რატომ გადაწყვიტა სამინისტრომ ს. მ-ის ოჯახზე კომპენსაციის გაცემის მიზანშეწონილობის შემოწმება, მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული განკარგულების თანახმად კომპენსაციის მიმღებ პირთა სიის შედგენა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობების კომპეტენციას განეკუთვნებოდა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და

ლტოლვილთა სამინისტროს მისთვის გადაგზავნილ სიებში მითითებული ოჯახების უფლებამოსილ პირებზე კომპენსაციის გაცემის უზრუნველყოფა ევალებოდა.

საკასაციო პალატა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის № 124 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით განმარტავს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და მათი შესაბამისი კომისიების მიერ გაცემული ცნობა/დასკვნა ადასტურებს იძულებით გადაადგილებამდე დევნილის და მისი ოჯახის წევრების მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების ფაქტს და ოჯახის შემადგენლობას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის 39-ე პუნქტის თანახმად სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული და საქმეში წარმოდგენილი საოჯახო ანკეტის მონაცემები. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის დასკვნები არ ემყარება საქმის მასალებს, სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ არ გაუბათილებია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გათვალისწინებული ფაქტები. ამასთან, გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის მითითებული მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ს. მ-ის მისი მშობლების ოჯახის წევრად არსებობის ფაქტს და რომელ მოქმედ კანონმდებლობას არ შეესაბამებოდა მოსარჩელის, როგორც დამოუკიდებელი ოჯახისათვის საკომპენსაციო თანხის გაცემის დავალდებულება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მოქმედება ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, ხოლო მე-4 მუხლის რეგულაციის სფეროს წარმოადგენს საკუთრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, რაც გამორიცხავს აღნიშნული ნორმის გამოყენების შესაძლებლობას ს. მ-ის და მისი მშობლების ოჯახების ერთად არსებობის ფაქტის დასადასტურებლად, რადგან ზემოაღნიშნული მთავრობის განკარგულებების თანახმად კომპენსაცია გაცივმა არა მიწის მესაკუთრეზე, არამედ 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ იმ ოჯახებზე, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე, ხოლო ოჯახის არსებობა-არასებობისა და მისი შემადგენ-

ლობის ფაქტის დადგენა ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების ანალიზის შედეგად შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის განსაკუთრებული უფლებასილების სფეროს განეკუთვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ, მატერიალურ და პროცესუალურ წინამძღვრებს, გადანყვეტილება დაუსაბუთებელია, სააპელაციო პალატას არ დაუდგენია საქმის გადანყვეტისათვის საჭირო გარემოებანი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა გამოყენებული ნორმები, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ არის დასაბუთებული, საჭიროა საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულებისა და არსებული ნორმატიული აქტების ერთობლიობაში შეფასება, სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი უარმყოფელი და დამადასტურებელი საქმის ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევა და სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# დევნილებისათვის საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება

## განჩინება

№ბს-781-765(კ-12)

16 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება

### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 23 იანვარს ლ.ძ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ჰქონდა ცალკე საცხოვრებელი ბინა და ცხოვრობდა ცალკე ოჯახად, რაც დასტურდებოდა ქურთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს 2010 წლის 24 მარტის №366 წერილით. 2008 წლის 16 დეკემბერს განცხადებით მიმართა ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობას საცხოვრებელი ბინის სანაცვლო კომპენსაციის – 10000 აშშ დოლარის მიღების მიზნით. 2009 წლის 24 თებერვალს ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაუგზავნა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულთა მეორე ეტაპის სახელობითი სია მათზე კომპენსაციის გაცემის მიზნით, რომლებმაც უარი განაცხადეს მთავრობის მიერ აშენებულ ან/და რეაბილიტირებულ სახლებში (საცხოვრებელ ფართებში) განსახლებაზე. 2009 წლის 3 ნოემბერს ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების საინისტროს კვლავ წარუდგინა ქურთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახკაროდ დარჩენილი ოჯახების სია, რომლებმაც მიმართეს განცხადებით საკომპენსაციო თანხის მისაღებად სახელმწიფოს მიერ რეაბილიტირებული ან/და ახალაშენებული საცხოვრებელი ფართების სანაცვლოდ,

რომელშიც შეყვანილი იყო მოსარჩელეც. ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 25 სექტემბრის №153/7 წერილით მას ეცნობა, რომ დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილება ხდებოდა ეტაპობრივად, რის გამოც ამ დროისათვის ვერ მოხერხდა მოსარჩელის ოჯახის დაკმაყოფილება. ქურთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 21 მაისის №69/4 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ იგი შეყვანილი იყო ფულადი კომპენსაციის მომთხოვნ განმცხადებელთა სიაში, რომელიც გადაეგზავნებოდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ფულადი კომპენსაციის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელეს კომპენსაცია არ მიუღია.

2011 წლის 28 სექტემბერს ლ.ძ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფულადი კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით, რაზეც სამინისტროსაგან პასუხი არ მიუღია. აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობაში, ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №928 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანება, რამდენადაც მასში არ იყო მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა კომპენსაციის სახით 10 000 აშშ დოლარისა (ექვივალენტი ლარში) და მორალური ზიანის – 100 000 ლარის ანაზღაურების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს მთავრობა და ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №928 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ლ.ძ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დავას ინვევდა ის ფაქტი, რომ ლ. ძ-ა 2008 წლის ომამდე ცხოვრობდა ქურ-

თის მუნიციპალიტეტის სოფელ ..., ჰქონდა ცალკე საცხოვრებელი ბინა და ცხოვრობდა ცალკე ოჯახად, რისი დადასტურებაც მოსარჩელემ ვერ შეძლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიითვებით, სადავოდ გამხდარი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №928 ბრძანება შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის განხილვისას უნდა შემომდგეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებებთან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართის ფარგლებში. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია ერთი მხრივ, დევნილის უფლება – იყოს უზრუნველყოფილი დროებითი საცხოვრებელი ფართით, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს იგი აღნიშნული ფართით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით განისაზღვრა დევნილთა განსახლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-



რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ განხორციელა დაზიანებული საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაცია და ახალი სახლების მშენებლობა დაჩქარებულ რეჟიმში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველი შემთხვევის გადანყევტისათვის ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია, 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად შექმნილი სიტუაციისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ განკარგულებათა მიზნობრიობა და მათი სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა. აღნიშნული განკარგულებების, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მიზანი მითითებულია თავად განკარგულების სათაურში – „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების შესახებ“.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებები მიმართული იყო დევნილთა მიმართ და იმავდროულად აწესრიგებდა და შეეხებოდა მათი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებებს. საომარი მოქმედებების შედეგად შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, როდესაც საჭირო იყო უსახლკაროდ დარჩენილი დევნილების თავშესაფარის საკითხის გადაწყვეტა, მითითებული განკარგულებების საფუძველზე კანონისგან განსხვავებული გარკვეული დამატებითი ღონისძიების სახით იქნა გამოყენებული კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების სწრაფად გადანყევტის მიზნით. იდენტური შინაარსის მქონე თითოეული განკარგულების უმთავრესი საკითხი იყო მასში მითითებული თანხების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, მოეხდინა დაზარალებულ ოჯახებზე საცხოვრებელი ფართის უზრუნველსაყოფი დადგენილი კომპენსაციის გაცემა. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 და 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებები ადგენდა სახელმწიფოს მხრიდან ხანგრძლივი მოქმედებებისა და ეტაპობრივად განსახორციელებელი მოქმედებების ჩამონათვალს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებების პირველი პუნქტის თა-

ნახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაეკისრა 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, თუმცა ამავე განკარგულებებით, კერძოდ, №915 განკარგულებით განისაზღვრა, რომ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს 2008 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გამოუყო 10 190 000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარში. ასევე კონკრეტული თანხა განისაზღვრა სხვა განკარგულებებით.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვალდებულება, უზრუნველყო 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები საკომპენსაციო თანხით, შეზღუდული იყო კონკრეტულად გაწერილი თანხის ოდენობით. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული განკარგულებები მიღებული იყო არა კონკრეტული პირების მიმართ, არამედ განისაზღვრა მხოლოდ თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე აღნიშნული განკარგულების უშუალო სუბიექტს არ წარმოადგენდა. თუმცა სასამართლოს მითითებით, კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მას რჩებოდა მსგავსი განკარგულებების გამოცემის შემთხვევაში.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის მითითებული განკარგულებების თანახმად, თუკი ამ განკარგულებით გათვალისწინებული, რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგებლობაში აღმოჩნდებოდა სამ სულზე ნაკლები, აღნიშნული ფაქტის სისწორე უნდა დადასტურებულიყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით, ამ განკარგულებით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის მისაღებად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის

მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტი, რომ ლ. ძ-ა წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებული წესით განსაზღვრულ ერთსულიან ოჯახს. კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარდგენილ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია, რომელთა შესაბამისად, თითქოს მოსარჩელეს ჰქონდა საცხოვრებელი სახლი და ცალკე ოჯახს წარმოადგენდა, თუმცა ამავე დროს წარდგენილი ქუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული 2010 წლის 24 აგვისტოს ცნობის თანახმად, ლ.ძ-ა, მისი დედა და ძმები ნამდვილად ფლობდნენ სამ საცხოვრებელ სახლს სოფელ ..., მაგრამ როგორ ინაწილებდნენ ამ სახლებს, ტერიტორიული ორგანოებისათვის უცნობი იყო. ამასთან, მოსარჩელის ოჯახს (მის დედას ვ. ა-ს და ძმებს: დ. და ზ. ძ-ებს) უკვე მიღებული ჰქონდათ 2 წილი საკომპენსაციო თანხა, თითოეული 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ გამხდარი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №928 ბრძანება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს და მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე და აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის მორალური ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ სახეზე უნდა ყოფილიყო პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. ამასთან, ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს სამსახურრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს ბრალეული, განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ მიზანმიმართულ უმოქმედებაში ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ან პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგენას ან არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად. ამასთანავე, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც, სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძველად ვერ გამოდგებოდა სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. აქედან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებე-

ბის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხები ამონურული იყო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას კი წარმოადგენდა საცხოვრებელი ფართის და არა აღნიშნულის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გაცემა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის – საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით – 10 000 აშშ დოლარის ოდენობით გადახდის დაკისრების დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ.ძ-ამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 15 აგვისტოს განჩინებით ლ.ძ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, არსებითაა 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად შექმნილი სიტუაციისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ განკარგულებათა მიზნობრიობა და მათი სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული განკარგულებები მიმართული იყო დევნილთა მიმართ, იმავდროულად ანეხრივებდა და შეეხებოდა მათი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებებს. საომარი მოქმედებების შედეგად შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, როდესაც საჭირო იყო უსახლკაროდ დარჩენილი დევნილების თავშესაფრის საკითხის გადაწყვეტა, მითითებული განკარგულებების საფუძველზე კანონისგან განსხვავებული გარკვეული დამატებითი ღონისძიების სახით იქნა გამოყენებული კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების სწრაფად გადაწყვეტის მიზნით. იდენტური შინაარსის მქონე თითოეული განკარგულების ამოსავალი იდეა იყო მასში მითითებული თანხების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მოეხდინა დაზარალებულ ოჯახებზე საცხოვრებელი ფართის უზრუნველსა-

ყოფი დადგენილი კომპენსაციის გაცემა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ლ.ძ-ა არ წარმოადგენდა კომპენსაციის მიღების უფლების სუბიექტს, ვინაიდან ის არ აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებებით გათვალისწინებული წესით განსაზღვრულ ერთსულიანი ოჯახის კრიტერიუმებს. კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილი გახლდათ სხვადასხვა დოკუმენტაცია, თუმცა საქმეში არ მოიპოვებოდა განკარგულებებით განსაზღვრულ პირთა მიერ ხელმოწერილ დადასტურებული დოკუმენტები ოჯახის შემადგენლობის სისწორის შესახებ.

პალატამ დამატებით განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ სამ ეტაპიანი გახლდათ, რომლის ფარგლებშიც აპელანტს უფლება ჰქონდა, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოეთხოვა საცხოვრებელი ფართი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემისას, მოპასუხე – საქართველოს მთავრობის მხრიდან არ მომხდარა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა. შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №928 ბრძანება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს.

სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებულიყო ქმედებასა და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, გამომწვეული უნდა ყოფილიყო სამსახურებრივი მოვალეობიდან ან ბრალეული, განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობითი მოქმედებით, რაც გამოიხატებოდა პირის შეგნებულ მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ან პირი შეგნებულად უშვებდა პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგენას და არ ახორციელებდა მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით, სავალდებულო გახლდათ პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგებოდა სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სააპელაციო სამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა, ხოლო აპელანტის მიერ სააპელაციო ინსტანციაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ვერ იქნა წარდგენილი მტკიცებულება, რომელიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 15 აგვისტოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ლ.ძ-ამ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის უკანონო და სამართლებრივად დაუსაბუთებელი, რამდენადაც არ არის გაცემული არგუმენტირებული და დასაბუთებული პასუხი სააპელაციო საჩივარში მითითებულ მოსაზრებებზე. ამასთანავე, ლ.ძ-ას მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ქურთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს 2010 წლის 24 მარტის №366 წერილით დადასტურებულ მტკიცებულებას, რომელშიც ნათლად და მკაფიოდ იყო მითითებული, რომ ქურთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ჰქონდა ცალკე ბინა, რომელშიც ცხოვრობდა და ცალკე ოჯახად და ეწეოდა ცალკე მეურნეობას. ის გარემოება, რომ ცალკე საცხოვრებელი ბინა ჰქონდა და ეწეოდა ცალკე მეურნეობას, დადასტურა სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ნ. ო-მა, რომლის ჩვენების ინტერპრეტაციაც სხვაგვარად მოახდინა სასამართლომ.

კასატორის მითითებით, ის არგუმენტი, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა ამონურული იყო, არ უნდა გამხდარიყო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი.

კასატორმა მიუთითა ევროპული კონვენციის სოციალური ქარტიით განსაზღვრულ სახელმწიფოს ვალდებულებაზე, დაზარალებულს, რომელმაც დაკარგა ქონება, აუნაზღაუროს ზიანი და უზრუნველყოს იგი საცხოვრებელი სადგომით და სხვა სოციალური გარანტიებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ნოემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ლ.ძ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით ლ.ძ-ას საკასაციო

საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ძ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ლ. ძ-ა ცხოვრობდა ქუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ..., რაც დასტურდება ქუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2008 წლის 16 დეკემბერს გაცემული №2260 ცნობით. მან საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართის სანაცვლო კომპენსაციის მიღების მიზნით, 2008 წლის 16 დეკემბერს 2009 წლის 25 სექტემბერს ქუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით ეცნობა, რომ კომპენსაციის მისაღებად წარდგენილი განცხადებების რაოდენობა აღემატებოდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის რაოდენობას, დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილება ხდებოდა ეტაპობრივად, რის გამოც მოსარჩელის ოჯახის დაკმაყოფილება იმ პერიოდისათვის ვერ მოხერხდა. საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ 2009 წლის 24 თებერვალს ქუთის მუნიციპალიტეტის გამგებამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაუგზავნა 2008 წლის ომის შედეგად იმ დაზარალებულთა მეორე ეტაპის სახელობითი სია, რომლებმაც უარი განაცხადეს მთავრობის მიერ აშენებულ ან/და რეაბილიტირებულ სახლებში (საცხოვრებელ ფართებში) განსახლებაზე და სამინისტროს ეთხოვა აღნიშნულ პირებზე კომპენსაციის გაცემა. მითითებულ სიაში შეყვანილი იყო ლ.ძ-ა ერთსულიან ოჯახად. 2009 წლის 3 ნოემბერს ქუთის მუნიციპალიტეტის გამგებამ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №534 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარუდგინა ქუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების სია, რომლებმაც გამგებობას მიმართეს განცხადებით საკომპენსაციო თანხის მისაღებად. აღნიშნულ სიაშიც ლ.ძ-ა შეყვანილი იყო ცალკე ოჯახად.

2010 წლის 21 მაისს ქუთის მუნიციპალიტეტის გამგებამ ლ. ძ-ას აცნობა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სამჯერ იქნა გამოცემული განკარგულება 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნული განკარ-

გულეების საფუძველზე ბოლომდე ვერ მოხერხდა ქურთის მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების დაკმაყოფილება. ლ. დ-ას ასევე ეცნობა, რომ იგი იმყოფებოდა ფულადი კომპენსაციის განმცხადებელთა სიაში და მთავრობის შემდგომი განკარგულების საფუძველზე მოხდებოდა კომისიის მიერ დარჩენილი ოჯახების, მათ შორის მისი ოჯახის მონაცემების – განხილვა და გადაგზავნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ფულადი კომპენსაციით დასაკმაყოფილებლად.

2011 წლის 28 სექტემბერს ლ. დ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკომპენსაციო თანხის გაცემის მოთხოვნით, მაგრამ სამინისტროსაგან პასუხი არ მიუღია, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ითვლება აქტის გამოცემაზე უარის თქმად. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს უარი ლ. დ-ამ 2011 წლის 1 ნოემბერს ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობაში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №928 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2008 წლის აგვისტოში მომხდარი მოვლენების შედეგად, საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 25 დეკემბერს გამოსცა №915 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“. აღნიშნული განკარგულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა საკომპენსაციო თანხით უზრუნველყო 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ის ოჯახები, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე. ანუ მითითებული განკარგულება გამოიცა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დაკისრებული ვალდებულების – უზრუნველყოფის დევნილი საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელი და აუცილებელი პირველადი დახმარებით, შესრულების მიზნით და დამატებითი ღონისძიების სახით გათვალისწინებულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ოჯახებისათვის თავშესაფარის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემა, რომლებმაც უარი განაცხადეს საცხოვრებელი ფართის მიღებაზე. მითითებული განკარგულების მე-2 პუნქტის მიხედვით, საკომპენსაციო თანხის



ოდენობა განისაზღვრა ერთ ოჯახზე 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით. განკარგულების მე-6 პუნქტით სამინისტროსათვის კომპენსაციის მიმღებ პირთა სიების წარდგენა დავალა შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობებს, ხოლო განკარგულების მე-7 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად უნდა დაეზუსტებინა გამგეობის მიერ წარდგენილი სიები სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში განსახლებულ დაზარალებულ პირთა სიასთან. ამავე შინაარსის განკარგულებები იქნა მიღებული საქართველოს მთავრობის მიერ შემდგომ პერიოდებშიც, კერძოდ, 2009 წლის 19 თებერვლის №127, 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №85ნ განკარგულებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა“ შესახებ საქართველოს კანონის (მითითებულ კანონში 2011 წლის 23 დეკემბერს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, კანონის სათაურია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი) მე-5 მუხლი განსაზღვრავდა დევნილთა უფლებებს. კერძოდ, მისი მე-3 პუნქტი დევნილს ანიჭებდა უფლებას, უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმწიფოსგან დროებითი საცხოვრებელი ადგილით. აღნიშნული ნორმის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფდა დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში. იმავე უფლებებს ანიჭებს დევნილს მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აკისრებს ვალდებულებას – უზრუნველყოს დევნილი საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის განმხილველმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ლ.ძ-ა არ განეკუთვნებოდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ კომპენსაციის მიმღებ სუბიექტთა წრეს, ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა განკარგულებით გათვალისწინებული წესით განსაზღვრულ ერთსულიან ოჯახს, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-3 პუნქტის

თანახმად, თუ, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგენლობაში აღმოჩნდება სამსულზე ნაკლები – აღნიშნული ფაქტის სისწორე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის მისაღებად. სასამართლოში საქმის წარმოებისას, ისევე როგორც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას მიჩნეულ იქნა, რომ მითითებული ფაქტის სისწორე არ იყო დადასტურებული განკარგულებით გათვალისწინებული წესით. თუმცა არც სასამართლოებს და არც ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელიათ და შეუფასებიათ ის გარემოება, რომ აღნიშნულზე არასდროს მითითებია ლ.ძ-ას ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმოწერისას, უფრო მეტიც, იგი ერთსულიან ოჯახად შეიყვანა გამგეობამ კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში და აღნიშნული საკითხი არასდროს დასმულა, ანუ მოსარჩელის ოჯახის შემადგენლობა საეჭვოდ არ გაუხდიათ ადმინისტრაციულ ორგანოებს. გამგეობის წერილობითი მიმართევებით ლ.ძ-ას ეცნობებოდა, რომ მისი კომპენსაციით დაუკმაყოფილებლობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ეტაპობრივად ხდებოდა დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილება, იგი იმყოფებოდა ფულადი კომპენსაციის განმცხადებელთა სიაში და მთავრობის შემდგომი განკარგულების საფუძველზე მოხდებოდა კომისიის მიერ დარჩენილი ოჯახების, მათ შორის მისი ოჯახის მონაცემების – განხილვა და გადაგზავნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ფულადი კომპენსაციით დასაკმაყოფილებლად.

ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოებს არასდროს მიუთითებიათ მოსარჩელისათვის, რომ ეჭვქვეშ დგებოდა მისი ერთსულიან ოჯახად მიჩნევის საკითხი და არასდროს განუმარტავთ განმცხადებლისათვის, რომ აღნიშნული ფაქტის დასადგენად საჭირო იყო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან წერილობითი ფორმით დადასტურება და რომ აღნიშნული ფაქტის დადგენა მის ვალდებულებას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების გან-

ხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ, რაც ადმინისტრაციულ ორგანოებს არ განუხორციელებიათ და არ დაუსვამთ საკითხი ერთსულიან ოჯახად მიჩნევის ფაქტის დადასტურების საჭიროების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოებს არ შეუფასებიათ, რამდენად წარმოადგენდა მითითებული ფაქტის დადასტურება განმცხადებლის ვალდებულებას და მისი დაუდასტურებლობის პირობებში, როდესაც არც დადასტურებაზე უარი განუცხადებიათ ადმინისტრაციულ ორგანოებს და უფრო მეტიც, აღნიშნული საკითხი არასდროს დასმულა ან სადავოდ გამხდარა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვამდე, არსებობდა თუ არა ამ მოტივით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველი.

რაც შეეხება ლ. ძ-ას ცალკე ოჯახად ცხოვრების ფაქტს, რაც, ასევე, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად იყო მითითებული, კერძოდ, ბრძანებაში აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოების მასალების თანახმად, ლ. ძ-ას ჰქონდა საკუთარი საცხოვრებელი სახლი და ცალკე ოჯახს წარმოადგენდა, თუმცა ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს 2010 წლის 24 აგვისტოს ცნობის თანახმად, ლ. ძ-ა, მისი დედა და ძმები ნამდვილად ფლობდნენ სამ საცხოვრებელ სახლს სოფელ ..., თუმცა როგორ ინანილებდნენ აღნიშნულ ქონებას, ტერიტორიული ორგანოსათვის უცნობი იყო. სასამართლოებს აღნიშნულ გარემოებაზე საერთოდ არ უმსჯელიათ და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად მიუთითეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული თანხის ამონწურვაზე, რაც სასამართლოთა განმარტებით, გამოორიცხავდა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-4 ნაწილი შეიცავს კონკრეტიზაციას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხის ოდენობაზე, ბინის სანაცვლოდ გასაცემი კომპენსაციის ანაზღაურება შესაძლებელი ხდებოდა მითითებული დაფინანსების ფარგლებში, სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნული წარმოადგენს თუ არა სახელმწიფოს იმ ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს, რაც მან დაზარალებული ოჯახების მიმართ იკისრა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექს-

სის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილების ფარგლებში გამოითხოვოს აღნიშნული მასალები, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი არ არის მითითებული ცნობები, რაზეც აპელირებდა ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო და მათი სათანადო შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების არსებობის შესახებ. სასამართლომ უნდა შეაფასოს, იმის გათვალისწინებით, თუ არსებობდა წინააღმდეგობრივი დოკუმენტები, რომ ლ. ძ-ა ცხოვრობდა ცალკე ოჯახად, ამასთან, ტერიტორიულ ორგანოს არ ჰქონდა მონაცემები როგორ ინაწილებდნენ საკუთრებაში რიცხულ ქონებას ლ. ძ-ა, დედამისი და მისი ძმები, აღნიშნული წარმოდგენდა თუ არა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს მით უფრო, რომ ლ. ძ-ა შეყვანილი იყო გამგეობის მიერ შესაბამის სიაში 2009 წლის 24 თებერვალს და ვნოემბერს და მისი სიიდან ამორიცხვა არ მომხდარა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასრულად შეაფასა და არ გამოიკვლია ფაქტები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდა დავის გადასაწყვეტად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოში მოცემული საქმის განხილვისას კასატორმა გამოთქვა სურვილი, მიიღოს საცხოვრებელი ფართი ... ახლოს. ამასთანავე, იგი რამდენჯერმე დაზარალდა, ვინაიდან გამოსახლებულ იქნა დროებითი საცხოვრებელიდან იმ მიზეზით, რომ თითქოს მიღებული ჰქონდა საკომპენსაციო თანხა, მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან ცნობა ვერ მიიღო არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს არსებობს თუ არა სანაცვლო ფართის შეთავაზების საშუალება და ასეთ ვითარებაში, მოსარჩელე უარს ამბობს თუ არა საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნაზე.

რაც შეეხება ლ. ძ-ას მოთხოვნას საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 100 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტება კანონი და მიაჩნია, რომ არ არსებობდა აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, რომლითაც დაცულია პირადი არაქონებრივი უფლებები, განმარტებულია, რომ ამ მუხლით დაცული სიკეთის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. თუმცა უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში. ამასთან ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს სამსახურებრივი მოვალეობიდან ან უნდა იყოს ბრალეული, უხეში ან განზრახი გაუფრთხილებლობით გამოწვეული, რაც გამოიხატება პირის შეგნებულ მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ან პირი შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას ან არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს მის თავიდან ასაცილებლად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რადროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობი-

ექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ძ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 15 აგვისტოს განჩინება ლ.ძ-ას სასარგებლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ლარში დაკისრება ზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მორალური ზიანის – 100 000 ლარის ლ. ძ-ასათვის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 15 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კომპანსაციის თანხის ჩარიცხვის თაობაზე  
დეკლარაციის ინფორმირება**

**განჩინება**

№ბს-573-563(კ-12)

9 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალეზა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. პ-მა 2011 წლის 2 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე დააკმაყოფილოს მოსარჩელე საცხოვრებელი ფართის სანაცვლო კომპენსაციით 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტით ლარებში) ოდენობით; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოთ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ნ. პ-ის ოჯახისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტით ლარებში) ოდენობით; ასევე, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს №385-ე ბრძანება, რომლითაც ნ. პ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 დეკემბრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით მესამე პირად ჩაბმულ იქნა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ნ. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. პ-ის ოჯახი (ნ. პ-ი, ნი. პ-ი, ნინო პ-ი, დ. ე-ი) წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს, რომელმაც უარი განაცხადა სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართობის მიღებაზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ნ. პ-ის ოჯახი შეყვანილ იქნა საკომპენსაციო თანხის მიღების მსურველთა სიებში. მოსარჩელის ოჯახის კუთვნილი საკომპენსაციო თანხა 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 2009 წლის 8 იანვარს ჩაირიცხა მამის – ნი. პ-ის ანგარიშზე, რომელიც მოგვიანებით, 2009 წლის 6 აპრილს ჩამოიჭრა შესაბამისი საბანკო ანგარიშიდან ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 26 მარტის №888 წერილისა და მისგან გამომდინარე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2009 წლის 3 აპრილის წერილის საფუძველზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 11 აგვისტოს №385 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ნ. პ-ის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის მისი ოჯახის თავშესაფრით უზრუნველსაყოფად საკომპენსაციო თანხის, 10 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარის) ორი კვირის ვადაში გაცემის დავალების თაობაზე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ როგორც საქართველოს მთავრობაში მისი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, ისე საქმის სასამართლო განხილვის პროცესში უარი განაცხადა საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების შესახებ შეთავაზებულ წინადადებაზე.

საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით; საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 19 თებერვლის №127, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, მიეცეს თავშესაფრის სანაცვლო კომპენსაცია 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, ემყარება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იმ განკარგულებებს (2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 19 თებერვლის №127, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010



ნლის 3 ივლისის №856 განკარგულებებს), რომლებითაც განისაზღვრა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საკომპენსაციო თანხების ანაზღაურების წესი. აღნიშნული განკარგულებებით მოპასუხე სამინისტროს დაევალა – უზრუნველყო ამ ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით (10000 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარით ერთ ოჯახზე) უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე. შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობებს ეთხოვათ წარედგინათ სამინისტროსათვის ასეთი ოჯახებისა და ამ ოჯახების სახელით კომპენსაციის მიმღებ პირთა სიები, რომლებსაც მოპასუხე სამინისტრო დააზუსტებდა სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში განსახლებულ დაზარალებულ პირთა სიასთან. ამდენად, საკომპენსაციო თანხის გაცემა სწორედ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ სამინისტროსათვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდებოდა, ვინაიდან ამ თანხების მიმღებ პირთა სიების ფორმირება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პრეროგატივას წარმოადგენდა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ოჯახის ჩანაცვლება საკომპენსაციო თანხის მიღების მსურველი სხვა პირებით განხორციელდა სწორედ უფლებამოსილი ორგანოს – ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილის საფუძველზე, ვინაიდან ოჯახის სახელზე დარიცხული თანხა მოსარჩელის, ან მისი ოჯახის სხვა უფლებამოსილი წევრის მიერ მოპასუხისაგან დამოუკიდებლად არ იქნა ათვისებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მოსარჩელე ნ. პ.-ის ოჯახისათვის საკომპენსაციო თანხის დარიცხვით თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული მიზნის მისაღწევად (უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა) განახორციელა შესაბამისი ქმედება კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ განკარგულებათა მიზნობრიობაზე, რომლითაც გათვალისწინებული თანხების ფარგლებში დამატებითი ღონისძიების სახით იქნა გამოყენებული კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების სწრაფად გადანაცვლების მიზნით. ამასთან, სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისათვის სამინისტრო განაგრძობს განსახლების პროცესს და სთავაზობს მათ რეაბილიტირებულ საცხოვრებელ ფარ-

თებს საქართველოს რეგიონებში. საგულისხმოა, რომ ასეთი შეთავაზება მოსარჩელესაც წარედგინა, თუმცა მან უარი განაცხადა საცხოვრებელი ფართის მიღებაზე. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება მოსარჩელის მიმართ მოპასუხის მიერ რაიმე მოქმედების ან კონკრეტული მოქმედების განხორციელებაზე უარის უკანონობა, რაც ამ ტიპის ადმინისტრაციული სარჩელის დაკამყოფილების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ზემოხსენებულ განკარგულებებში მითითებული იყო საერთო ოდენობის თანხა, რომლის ფარგლებშიც მოპასუხე სამინისტროს უნდა განეხორციელებინა დაზარალებულ პირთა კომპენსირება. ამდენად, განკარგულებები ატარებდა ერთჯერადი ღონისძიების ხასიათს, რომლის მოცულობაც შეზღუდული იყო გარკვეული ოდენობის თანხებით. თვით სამართლებრივი აქტების სახე და მათი შინაარსი მიუთითებს, რომ ისინი წარმოადგენენ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, რამდენადაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის ნორმატიულ აქტს წარმოადგენს დადგენილება და არა განკარგულება, ამასთან, აღნიშნული აქტებით არ დადგენილა ზოგადი ხასიათისა და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესი.

სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული განკარგულებებით გათვალისწინებული საკომპენსაციო ფონდი მთლიანად ათვისებულია მოპასუხე სამინისტროს მიერ, რაც ასევე გამორიცხავს მოსარჩელისათვის, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული (უსახლკაროდ დარჩენილ) პირისათვის, თავშესაფრის სანაცვლო ფულადი კომპენსაციის გაცემის მოპასუხისათვის დავალეების შესაძლებლობას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. პ.-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინებით ნ. პ.-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკამყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და დამატებით აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა აპელანტის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის მის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების დავალეების თაობაზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე, 326-ე და 412-ე

მუხლების დანაწესზე და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში ვერ დგინდებოდა მოპასუხეების მხრიდან მოსარჩელისათვის რაიმე სახის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი და მათი ბრალი ზიანის დადგომაში. მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა, თუ რა სახის მატერიალური ზიანი მიაყენეს მას მოპასუხეებმა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის ჩარიცხული კომპენსაციის სხვა ოჯახისათვის გადარიცხვა, თუნდაც ეს უკანონოდ მომხდარიყო, შეიძლება საფუძვლად დაედებოდა მხოლოდ მოსარჩელის მხრიდან ამ თანხის ანაზღაურების და არა დამატებით რაიმე მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, ვინაიდან მოსარჩელეს მოპასუხეების ქმედებით არანაირი მატერიალური ზიანი არ მისდგომია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც არ არსებობდა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. პ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მოყვანილი სასამართლოს მოსაზრებები სამართლებრივად დაუსაბუთებელია, სასამართლომ არ იმსჯელა იმაზე, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებები, რომლებიც კომპენსაციის გაცემის საკითხს არეგულირებს, ითვალისწინებდა თუ არა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებას, თანხის მიძღვრა სუბიექტისათვის ჩარიცხული თანხის განკარგვაზე მოეხდინა კონტროლი. ამასთან, სასამართლომ არ დაუდგენია, რა ვადაში იყო ნ. პ-ი ვალდებული (თუკი ასეთი ვალდებულება მას საერთოდ ჰქონდა), განეკარგა კუთვნილი თანხა.

კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ, კერძოდ კი ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაარღვია კანონი, როდესაც წერილი მისწერა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა ნ. პ-ის ოჯახისათვის ჩარიცხული თანხა სხვა დაზარალებული ოჯახისათვის გადაერიცხათ. აღნიშნული ქმედებით კასატორი თვლის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ზიანი მიაყენა ნ. პ-ს და მის ოჯახს. ადმინისტრაციული

ორგანო ვალდებული იყო გაერკვია ნ. პ-ის ოჯახმა, რომელმაც მანამდე წერილობითი თანხმობა განაცხადა საკომპენსაციო თანხის მიღებაზე და უარი თქვა ფართით დაკმაყოფილებაზე, შეცვალა თუ არა აღნიშნული მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 მარტის განჩინებით ნ. პ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო პრეტენზია დასაბუთებულია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოები არასრულია, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელის ოჯახის კუთვნილი საკომპენსაციო თანხა 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 2009 წლის 8 იანვარს ჩაირიცხა მამის – ნ. პ-ის მიმდინარე ანგარიშზე, საიდანაც მოგვიანებით, 2009 წლის 6 აპრილს თანხა ჩამოჭრილ იქნა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 26 მარტის №888 წერილისა და მისგან გამომდინარე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2009 წლის 3 აპრილის წერილის საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილია ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 26 მარტის №888 წერილი, რომლის თანახმად, ნი. პ-ის მიერ კომპენსაციის თანხის მიუღებლობის მიზეზი გაურკვეველია. როგორც საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, ისე სასამართლოში განხილვის არცერთ ეტაპზე დადგენილი არ ყოფილა ის გარემოება, რეალურად ცნობილი იყო თუ არა თანხის მიმღები პირისათვის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩაირიცხვის შესახებ იმ პერიოდში, როდესაც თანხა ირიცხებოდა ნი. პ-ის სახელზე გახსნილ ანგარიშზე. ამასთან, საკასაციო

სასამართლოში საქმის განხილვისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დევნილის სახელზე საბანკო დაწესებულებაში იხსნებოდა სპეციალური ანგარიში სამინისტროს მხრიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კონკრეტული თანხის გადარიცხვის მიზნით. საქმის მასალები არ შეიცავს რაიმე მტკიცებულებას იმისა, რომ თუნდაც საბანკო დაწესებულებაში ანგარიშის გახსნა, ცნობილი იყო თუ არა ნ. პ-ის ოჯახისათვის, ანგარიშის მფლობელი პირი (ნი. პ-ი) მონაწილეობდა თუ არა ამ პროცედურაში. საქმის მასალები არ შეიცავს ასევე რაიმე მტკიცებულებას იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა ან სამინისტრომ უზრუნველყვეს თანხის მიმღები პირის ინფორმირება თანხის ჩარიცხვის თაობაზე. ასევე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან შეფასება არ მიეცა იმ ფაქტს, რომ არცერთ ადმინისტრაციულ ორგანოს დევნილი პირისათვის გამოყოფილი კომპენსაციის სხვა პირისათვის გადარიცხვამდე (უკან დაბრუნებამდე) არ გაურკვევია თანხის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან თანხის მიუღებლობის რეალური მიზეზი. გარდა ზოგადი ვალდებულებისა, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლით არის დადგენილი – დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს უზრუნველყოს დაინტერესებული პირის მოსაზრების წარდგენა გადასაწყვეტ საკითხთან მიმართებით, ასევე როგორც „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი, ისე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცებული იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია ემსახურება დევნილთა პრობლემების გადაჭრის დაგეგმვისა და განხორციელების დროს მათი ინტერესებისა და საჭიროებების სათანადოდ გათვალისწინებას. ამდენად, გასაჩივრებული განჩინებით არ არის დადგენილი ფაქტი, რეალურად (დოკუმენტალურად) იყო თუ არა განცხადებული უარი თანხის მიმღები პირის მხრიდან, ასევე, არ არის დადგენილი, საერთოდ ჰქონდა თუ არა მას ინფორმაცია თანხის დარიცხვის ან ანგარიშის გახსნის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე (სზაკ-ის 96-ე მუხ.). ადმინისტრაციულ ორგანოებს საკითხის გადანყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინათ საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ამდენად, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ

2009 წლის 26 მარტის №888 წერილში დაფიქსირებული ფაქტი და შედგომში სამინისტროს მხრიდან თანხის ჩამოსაჭრელად განხორციელებული მოქმედებები (ბანკისადმი გაგზავნილი მოთხოვნა) საჭიროებდა საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევას, რაც არ განხორციელებულა. თავის მხრივ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან შეფასების გარეშე დარჩა ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღებამდე უშუალოდ დაინტერესებული პირის მეშვეობით თანხის მიუღებლობის მიზეზის დაუდგენობის საკითხი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ საკომპენსაციო თანხის მიმღები ოჯახის მხრიდან თანხის აუთენტიციურობის გამო ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება ჰქონდა ნ. პ-ის ოჯახისათვის ჩარიცხული თანხა გადაერიცხა სხვა დაზარალებული (დევნილი) ოჯახისათვის. სააპელაციო პალატის განჩინება არ შეიცავს რაიმე, თუნდაც პროცედურულ ნორმაზე მითითებას აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად. ამის საწინააღმდეგოდ სააპელაციო პალატა შემოიფარგლა მხოლოდ შეფასებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს ნ. პ-ის ოჯახის მიერ საკომპენსაციო თანხის მიუღებლობასთან მიმართებით, არანაირი კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ განუხორციელებიათ. შესაბამისად, მათ მოქმედებას რაიმე ზიანი არ გამოუწვევია. საკასაციო პალატა აღნიშნული მოსაზრების გასაბათილებლად მითითებს ნ. პ-ის მოთხოვნის კანონიერ ინტერესზე, იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იმ განკარგულებებით (2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებებით) დადგენილ პირობებს და განხორციელებული აქვს საჭირო მოქმედება, კერძოდ გამოხატული აქვს თანხმობა კომპენსაციის მიღებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სათანადო ნორმატიული საფუძვლის გარეშე თანხის აუთენტიციურობის მოტივით საკომპენსაციო თანხის დევნილი პირის ანგარიშიდან ჩამოჭრის ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილებაზე მითითება და თანხის მიუღებლობის მიზეზისადმი ფორმალური მიდგომა დევნილი პირის კანონიერი ინტერესისა და ნების გაუთვალისწინებლად, დაუსაბუთებელს ხდის სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებას.

სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემონმების გზით, რაც გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებასაც. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი შედგება მხოლოდ სასამართლოს მიერ

არასრულად დადგენილი ფაქტების ერთობლიობისაგან და ნორმების ციტირებისაგან, რომლებიც დევნილ პირთა საცხოვრებელი ადგილის სანაცვლო კომპენსაციის გაცემის უზრუნველსაყოფად ადგენენ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლება-მოვალეობებს. გასაჩივრებული განჩინებით ასევე დადგენილია, რომ ნ. პ-ის ოჯახის მიერ თანხის დროულად აუთვისებლობის გამო უკვე დარიცხული თანხის სხვა დევნილი ოჯახისათვის გადაარიცხვით კანონით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მითითებას რაიმე ნორმატიულ დანაწესზე, ასევე მითითებას იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამგვარი უფლებამოსილების მართებულობის პირობებში დაადასტურებდა საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვის ფაქტზე მიმღები პირის ინფორმირებულობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებულ განჩინება დაუსაბუთებელია, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“<sup>14</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა ანუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ ნ. პ-ის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა როგორც ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხის მოპასუხეთათვის დაკისრება, ასევე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ საკომპენსაციო თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ერთ-ერთ მოტივად მიუთითა ის, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებაში მოქმედების არეალი განსაზღვრული იყო საკომპენსაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებებით (2008 წლის 25 დეკემბრის №915, 2009 წლის 24 ივლისის №534 და 2010 წლის 3 ივლისის №856 განკარგულებებით) გამოყოფილი თანხები სადღესასწაულის გადახდის გზით, დღემდე ძალაშია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულება, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. ასევე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი ითვლისწინებს დევნილთა ინტეგრაციის შესაბამის ღონისძიებებს. ამდენად, სათანადო ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისა და სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში მათი დადასტურების პირობებში,

შესაძლოა დადგეს სასარჩელო მოთხოვნის სწორად ფორმულირების აუცილებლობა. ამ მიზნით სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, შესთავაზოს მოსარჩელეს სარჩელის ტრანსფორმირება. აღნიშნული საპროცესო დანაწესი საშუალებას მისცემს სასამართლოს პროცესის ეკონომიის ფარგლებში, არსებული სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან ურთიერთშეჯერებით, მისცეს მხარეს ერთი პროცესის ფარგლებში უფლების რეალიზების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოარკვიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადანყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**იძულებით გადაადგილებული პირების  
საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-125-124(კ-12)

12 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალდებულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

08.06.11წ. ნ. მ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ, 05.05.11წ. №60 ბრძანების ბათილად ცნობისა და ნ. მ-ის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხის დავალდებულების მოთხოვნით.

მოსარჩელე 2008 წლის აგვისტომდე ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა დაბა ახალგორში. სამ სულზე მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი 63-858-44-07-06 და აყვანილ იქნა რეგისტრაციაზე ფულადი კომპენსაციის მისაღებად. 2010 წლის სექტემბერში მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კომპენსაციის მისაღებად ან წეროვანთან ახლოს, სადაც მოსარჩელის შვილების დედა ცხოვრობს, ფართით უზრუნველსაყოფად, მაგრამ მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სადავო №60 ბრძანება, რადგან იგი ხელმოუწერელია და გამოცემულია ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმში აღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.09.11წ. გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმა-

ყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. მ-ი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ორ შვილთან ერთად, დამოუკიდებელ ოჯახად ცხოვრობდა დაბა ახალგორში, ... ქ. № 100-ში მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში. 2008 წლის 9 სექტემბრიდან მოსარჩელე რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში. მას რეგისტრაცია გავლილი აქვს ქ. თბილისში, დიღმის მასივში მდებარე ბინის მისამართზე და იმყოფება ფულადი კომპენსაციით დასაკმაყოფილებელ პირთა სიაში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 16.03.11წ. №77 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და სამინისტროს დაევალა განეხილა ნ. მ-ის ოჯახის საკომპენსაციო თანხით ან საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 05.05.11წ. №60 ბრძანებით ნ. მ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 25.12.08წ. №915, 19.02.09წ. № 127 და 24.07.09წ. №534 განკარგულებებით გამოყოფილი საკომპენსაციო თანხები ამოწურულია და მათი გაცემა დასრულებულია. ასევე დადასტურებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლომ, რომ ნ. მ-ის სახელმწიფოსაგან არ მიუღია საცხოვრებელი ფართი და არც ფულადი კომპენსაცია. სამინისტრომ მოსარჩელეს შესთავაზა საცხოვრებელი ფართი, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 02.02.07წ. №47 განკარგულებით, „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 25.12.08წ. №915 განკარგულებით, „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.07.09წ. №534 განკარგულებით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს დევნილთა უფლებებს. 5.3 მუხლის შესაბამისად, დევნილს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოსაგან დროებითი საცხოვრებელი ადგილით. სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო

ტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში. „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 02.02.07წ. №47 განკარგულებით განსაზღვრულია დევნილთა განსახლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებული ვალდებულებების განსახორციელებლად სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა დაზიანებული საცხოვრებელი ფართობის რეაბილიტაცია და ახალი სახლების მშენებლობა დაჩქარებულ რეჟიმში. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვინაიდან შეუძლებელი იყო იძულებით გადაადგილებული ყველა ოჯახის თავშესაფარით მყისიერად უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობამ დამატებითი ღონისძიების სახით გაითვალისწინა ფულადი კომპენსაციის დარიგება ისეთი ოჯახებისათვის, რომლებიც სასწრაფოდ და გადაუდებლად არ საჭიროებდნენ თავშესაფარს, თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად უპირატესობას მიანიჭებდნენ ფულადი სახის კომპენსაციის მიღებას და მიღებული თანხით უზრუნველყოფდნენ თავშესაფარის პრობლემის მოგვარებას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ფულადი სახის კომპენსაციების გაცემის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულებები მიღებულ იქნა არა რუსეთის სამხედრო აგრესიით გამოწვეული ზიანის კომპენსირების მიზნით, არამედ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის თავშესაფარით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, დამატებითი ღონისძიების სახით. მისი გამოყენების მიზეზი იყო მხოლოდ საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობა და სახელმწიფოს მხრიდან უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობით სწრაფი უზრუნველყოფის შეუძლებლობა. თანხის გაცემა მიზნად ისახავდა სახელმწიფოს მხრიდან დროებითი საცხოვრებელი ფართის მიუღებლობის კომპენსირებას.

საქართველოს მთავრობის 25.12.08წ. №915 განკარგულების მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გამოეყო 10 190 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. 24.07.09წ. №534 განკარგულების მე-4 პუნქტის მიხედვით, სამინისტროს 4 076 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი უნდა მიემართა საკომპენსაციო თანხების გასაცემად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნ. მ-ის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სამინისტროსათვის მითითებული განკარგულებების საფუძველზე გადარიცხული საკომპენსაციო თანხები მთლიანად ამონურული იყო, თუმცა სამინისტროს გააჩნდა შესაძლებლობა სრულად უზრუნველყო მოსარჩელე თავშესაფარით და შეთავაზა მას სათანადო პირობებით უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართი, რაც სრულ შესაბამისობაში იყო „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით დადგენილ სახელმწიფოს ვალდებულებასთან.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამინისტროს სადავო აქტის გამოცემისას მოსარჩელის სასარგებლოდ ფულადი კომპენსაციის გაცემის უპირობო ვალდებულება არ ჰქონდა, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა სადავო აქტის ბათილად ცნობისა და ფართის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდის დაავალდებულების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.11წ. განჩინებით ნ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 23.09.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა უარი განაცხადა სამინისტროს შეთავაზებაზე ფულადი კომპენსაციის ნაცვლად საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 25.12.08წ. №915 განკარგულების პირველი პუნქტი და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ მთავრობის განკარგულებები მიღებული იყო კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფო მოკლებული იყო შესაძლებლობას მოეხდინა საცხოვრებელი ფართით ყველა დევნილის უზრუნველყოფა და შესაბამისად გამოიყო კიდევ განსაზღვრული ოდენობის თანხები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-მა, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გათვალისწინებული თანხების ამონურვის გამო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნა, რომ მითითებული განკარგულებების თანხმად მოპასუხეს ევალეზოდა საკომპენსაციო თანხით იმ ოჯახების უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს ფართის მიღებაზე. ნ. მ-ი დროულად იქნა აყვანილი საკომპენსაციო თანხების მისაღებად აღრიცხვაზე, მას სახელმწიფოსაგან არ მიუღია არც საცხოვრებელი ფართი და არც ფულადი კომპენსაცია.

ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს 28.03.12წ. განჩინებით ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის და გასაჩივრებულ განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალება ნ. მ-ის საკითხთან მიმართებაში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა:

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, ნ. მ-ის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება. მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე.

დადგენილია, რომ ნ. მ-ი ორ შვილთან ერთად 2008 წლის 9 სექტემბრიდან რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში და იმყოფება ფულადი კომპენსაციით დასაკმაყოფილებელ პირთა სიაში.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს პრემიერ მინისტრის 2011 წლის 16 მარტის №77 ბრძანება ნ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, რომლის შესაბამისადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა ნოდარ მერაბიშვილის ოჯახის საკომპენსაციო თანხით ან საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებად მიიჩნევს ზემოაღნიშნული ბრძანების არსებობას და აღნიშნავს, გასაჩივრების წესი იძლევა ადმინისტრაციულ სფეროში პრევენციული ზომების მიღების, ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის საშუალებას, იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულმა ორგანომ თავადვე გაასწოროს საკუთარი შეცდომა, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების მთავარ მახასიათებელს, საერთოა მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსთვის და დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული სზაკ-ის 178-ე მუხლის ჩანაწერი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო

ადმინისტრაციული წარმოების იერარქიული ქვემდებარეობის პრინციპიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოსა და პირს შორის ყოველთვის სახეზეა უფლებამოსილებათა დისბალანსი, რის გამოც მათ შორის ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს, რაც გამოვლენას ჰპოვებს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაში ქვემდგომის გადაწყვეტილებასა თუ მოქმედებაზე განახორციელოს კონტროლი.

საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ მიღებული ბრძანება წარმოადგენს სწორედ ამგვარი კონტროლის განხორციელების მექანიზმს, რომელშიც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს რიგ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელთა გამოკვლევასაც არსებითად მიიჩნევს ნ. მ-ის საკომპენსაციო თანხის გაცემისათვის.

საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ იძლევა იმის მტკიცების საკმარის საფუძველს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და

ლტოლვილთა სამინისტრომ საქმის განხილვა ანარმოა ზემოაღნიშნული ორგანოს მითითებების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებამაც ადმინისტრაციული ორგანო მიიყვანა საკითხის ამგვარ გადაწყვეტამდე.

საკასაციო სასამართლო არ გამოორიცხავს სამინისტროს მსჯელობის დაშვებადობას საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების შეფასების ნაწილში და თვლის, იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული განკარგულების მე-4 ნაწილი შეიცავს კონკრეტიზაციას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხის ოდენობაზე, ბინის სანაცვლოდ გასაცემი კომპენსაციის ანაზღაურება შესაძლებელი ხდებოდა მითითებული დაფინანსების ფარგლებში, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს სახელმწიფოს იმ ვალდებულებისაგან გათავისუფლებას, რაც მან ნ. მ-ის მიმართ იკისრა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთარი მოქალაქის უფლების დაცვის აუცილებლობაზე განსაკუთრებით თავს იჩენს იმ პირობებში, როცა ამ მოქალაქეს გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა სწორედ ის გარემოება, როდესაც კასატორის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს იმ მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა, რაც პირს მისცემს ღირსეული არსებობის შესაძლებლობას და რაც პირველ რიგში ვლინდება თავშესაფარის მიცემის აუცილებლობაში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება ყველა ის საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ამ საკითხთან მიმართებაშია მიღებული, ემსახურება მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თანაბარ პირობებში ჩაყენებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ნ. მ-ის საჩივრის განხილვის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებს და თვლის, იმის გათვალისწინებით, რომ კასატორი თავის ორ შვილთან ერთად 2008 წლის 9 სექტემბრიდან რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზაში და იმყოფება ფულადი კომპენსაციით დასაკმაყოფილებელ პირთა სიაში, ის არ შეიძლება გაიგივებულ იქნას „დამატებით სხვა პირებთან“, ანუ იმ პირებთან, რომელთაც აქტის მოქმედების პირობებში არ ჰქონდათ მოპოვებული უფლება ან უფლება მოიპოვეს კანონდარღვევით.

რამდენადაც სახელმწიფოს რიგი ვალდებულებები იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ არსებობს მანამდე, სანამ შესაძლებელი არ გახდება ამ პირთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ფულადი კომპენსაციის გაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოს რჩება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება, რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანო დაუბრუნდეს ნ. მ-ის საკითხის განხილვას, რა დროსაც არსებული შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულ უნდა იყოს ბავშვების ინტერესი, მათი შემდგომი ინტეგრირების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, საქმე ეხება განქორწინებულ ოჯახს, სადაც ბავშვები აღსაზრდელად წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ მამასთან.

საკასაციო სასამართლო კვლავაც ყურადღებას მიაქცევს სახელმწიფოს იმ ვალდებულებაზე, რომელიც მან იკისრა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ და თვლის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დამატებით უნდა განიხილოს ნ. მ-ის საკითხი და მოთხოვნის უარყოფა მოახდინოს მხოლოდ ყველა შესაძლო და არსებული რესურსის განმცხადებლის მხრიდან უარყოფის შემდგომ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 05.05.11წ. №60 ბრძანება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალოს ნ. მ-ის საკითხთან მიმართებაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**იძულებით გადაადგილებული პირების  
საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა**

**ბანჩინება**

№ბს-20-20(კ-12)

28 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

06.06.11წ. ნ. ე-ამ, ა. ლ-ამ, ვ. ა-მა და სხვებმა (სულ 56 პირი) სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ფართის „დევნილთა ხანგრძლივადიანი თავშესაფართ უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, კონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტებთან“ შესაბამისობაში მოყვანა.

მოსარჩელეთა მითითებით, ისინი არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე კომპაქტური განსახლების ობიექტში. 2010 წლის ივნისში მოსარჩელები გამოასახლეს მითითებული ობიექტიდან და საცხოვრებელი ფართი გამოუყვეს ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში. გამოყოფილი საცხოვრებელი ფართი არ შეესაბამება „დევნილთა ხანგრძლივადიანი თავშესაფართ უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, კონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტებს“ და აუარესებს მოსარჩელეთა საცხოვრებელ პირობებს. ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე შენობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად მოსარჩელებმა 08.04.11წ. მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

მოსარჩელეთა მითითებით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევნილთა სოციალური პირობების უზრუნველყოფის ერთ-ერთ გარანტიას

წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს დევნილი დროებითი საცხოვრებელი პირობებით. მითითებული კანონის 5.4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება; გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით; დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილ საცხოვრებელ ფართში. სახელმწიფომ, რომელმაც დევნილის საცხოვრებელი უზრუნველყოფის ვალდებულება იკისრა, დაადგინა მინიმალური სტანდარტები – „დევნილთა ხანგრძლივადიანი თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, კონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები“. აღნიშნული სტანდარტები არ წარმოადგეს სავალდებულოდ შესასრულებელ მოთხოვნებს, თუმცა გამოხატავს სახელმწიფოს შეხედულებას ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნაზე. გარდა აღნიშნულისა, საქართველოში 1994 წლის 3 აგვისტოდან ძალაშია საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, რომლის მე-11 მუხლის თანახმად, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე განუწყვეტილ იუმჯობესებდეს უფლებას საცხოვრებელ ადგილზე“. აღნიშნული მუხლის თანახმად, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, უბინაობის პრობლემების თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხვრის მიზნით. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 25-ე მუხლი ხაზს უსვამს ადეკვატური საცხოვრებელის უფლებას.

ამდენად, მოსარჩელეთა მითითებით, მათთვის გამოყოფილი ფართი არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და აუარესებს მათ საცხოვრებელ პირობებს. მოსარჩელეთა მოსაზრებით, მოპასუხე მხარე ვალდებული იყო შეესწავლა როგორც ძველი, ასევე ახალი შენობის მდგომარეობა პირობების გაუარესების ან გაუმჯობესების დასადგენად, რაც არ განუხორციელებია. შესაბამისად, დევნილთა განსახლების პროცესი წარიმართა კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების დარღვევით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგის 29.09.116. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეები წარმოადგენენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. 2010 წლის ივნისში ისინი გამოსახლებულ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე კომპაქტური განსახლების ობიექტიდან, რომელიც გამოსახლების დროისათვის წარმოადგენდა კერძო სამართლის სუბიექტის საკუთრებას. გამოსახლების შემდეგ მოსარჩელებს საცხოვრებლად გადაეცათ ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ფართი. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელებმა ვერ დაადასტურეს ის გარემოება, რომ მათთვის გადაცემული საცხოვრებელი ფართები საცხოვრებლად უვარგისია. აღნიშნულის დასადასტურებლად სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათები, რამდენადაც საქმეში არ იყო წარმოდგენილი სპეციალური დასკვნა ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ფართის საცხოვრებლად ვარგისიანობის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელები ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე მათ მიერ დაკავებული ობიექტიდან გამოსახლებულ იქნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ გამოყო საცხოვრებელი ფართი ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში, რომელზეც ჩატარდა გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლითაც ფართი გახდა საცხოვრებლად ვარგისი. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით“ რეგლამენტირებულია ქვეყანაში 90-იანი წლების კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი, მდგრადი და საჭიროებას მორგებული ფორმით გადაწყვეტის გზები. აღნიშნული განკარგულების 1.3 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადანაცვლებას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირებას ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე მანამ, სანამ შესაძლებელი გახდება მათი დაბრუნება. ამავე განკარგულების 1.4 პუნქტის მიხედვით, მითითებული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო სტრატეგია ითვალისწინებს ადეკვატური გრძელვადიანი განსახლებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობ სხვადასხვა ღონისძიებებს. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ მოსარჩელეთათვის შემდგომში საკუთრებაში გადაცემის მიზნით გამოიყო საცხოვრებელი ფართი, რომელსაც ჩაუტარდა გარკვეუ-

ლი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რათა მას მიეღო საცხოვრებლად ვარგისი სახე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ განსაზღვრავს დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციისა და საკუთრებაში გადაცემის წესს. მითითებული განკარგულების 2.1.1. პუნქტის მიხედვით, კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია და საკუთრებაში გადაცემა არის ერთიანი პროცესი, რომლის კოორდინირებას ახდენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. შენობა-ნაგებობათა გარემონტების გადანაცვლების შემთხვევაში, კოლექტიური ცენტრების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემამდე უნდა განხორციელდეს ამ ობიექტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ დევნილთა განსახლების, სოციალური პირობების შექმნისა და გაუმჯობესების შესახებ მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებებს და იგი განერილია დროის გრძელვადიან პერიოდში. სამინისტროს მიერ საცხოვრებელი ფართის დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადანაცვლების მიღების შემთხვევაში, სამინისტრომ იმავდროულად უნდა ჩაატაროს ფართის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და სამინისტროს არ მიუღია გადანაცვლება ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ფართის დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რითაც სამინისტროს წარმოემობოდა ვალდებულება ფართის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოპასუხე ვალდებული იყო საცხოვრებელი ფართები მოსარჩევეებისათვის გადაეცა „დევნილთა ხანგრძლივადიანი თავშესაფართი უზრუნველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, კონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტებთან“ შესაბამისობაში არსებული მდგომარეობით. მართალია, სტანდარტები განხილულ და მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე, მაგრამ მას სავალდებულო ძალა არა აქვს და ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩევეთათვის გადაცემული ფართი მართალია საჭიროებდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მაგრამ ის არ არის საცხოვრებლად უვარგისი და სახელმწიფოს მხრიდან ფართზე, დევნილთა საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაწყებასთან ერთად, შესაძლებელია შესაბა-

მისი სარემონტო სამუშაოების ჩატარების განხორციელება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ე-ამ, ა. ლ-ამ, ვ. ა-მა და სხვებმა (სულ 56 პირი), რომლებმაც მოითხოვეს საქალაქო სასამართლოს 12.10.11წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.11.11წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.09.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად და საფუძვლიანად არ მიიჩნია აპელანტების არგუმენტი საცხოვრებელი პირობების გაუარესების შესახებ, რამდენადაც მათ ვერ დაადასტურეს, რომ საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათები ნამდვილად გადაღებული იყო თ-ძისა და ს-ის ქუჩებზე მდებარე ობიექტებში, ხოლო საცხოვრებელი პირობების გაუარესების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები, სპეციალისტის დასკვნა არ იქნა წარმოდგენილი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტების მიერ ვერ იქნა გაბათილებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც არ მიმდინარეობდა აპელანტებისათვის გამოყოფილი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი, მათ არ გააჩნდათ სამართლებრივი საფუძველი მოითხოვონ საცხოვრებელი ფართების იმ კონდიციამდე მიყვანა, რაც №403 განკარგულებითაა გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ე-ამ, ა. ლ-ამ, ვ. ა-მა და სხვებმა (სულ 56 პირი), რომლებმაც მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მიიღო ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელი განჩინება, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა ორ გარემოებას; საყვირის ქუჩაზე გამოყოფილი ფართი აუარესებდა მოსარჩელეთა საცხოვრებელ პირობებს; გამოყოფილი ფართი არ იყო ადეკვატური საცხოვრებელის დადგენილი სტანდარტების. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს არ უმსჯელია საქმისათვის არსებით გარემოებებზე და შემოიფარგლა მხოლოდ იმის განმარტებით, რომ მოსარჩელეთათვის გადაცემული ფართები მართალია, საჭიროებდა სარე-

მონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მაგრამ არ იყო საცხოვრებლად უვარგისი. სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია გაუარესდა თუ არა მოსარჩელეთა საყოფაცხოვრებო პირობები.

კასატორთა მითითებით, სასამართლოს დადგენილად უნდა მიენიხია, რომ ... ქ. №2-ში მდებარე ფართი არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს, რითაც უარესდებოდა მოსარჩელეთა საცხოვრებელი პირობები. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ გამოყოფილ ფართს ჩაუტარდა გარკვეული სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლითაც ფართი საცხოვრებლად ვარგისი გახდა, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს არ წარმოუდგენია. ასევე არასწორად მიიჩნია დადგენილად სასამართლომ, რომ სამინისტროს ფართის დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადანყვეტილება არ მიუღია, რამდენადაც მოპასუხის წერილებით დასტურდება, რომ გამოსახლება და შემდგომში მოსარჩელეთა ს-ის ქუჩაზე არსებულ ფართში გადაყვანა განხორციელდა მათი გრძელვადიანი განსახლების მიზნით.

კასატორების მითითებით, საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათები მხარეთა ახსნა-განმარტებებთან ერთად სასამართლოს უნდა მიენიხია იმის დამადასტურებელ მტკიცებულებებად, რომ ახალი ფართის გამოყოფით გაუარესდა მათი უფლებები, ხოლო თუ აღნიშნული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი, სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, საკუთარი ინიციატივით უნდა შეეგროვებინა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სამინისტროს არ განუხორციელებია ის ქმედება, რაც მათ საცხოვრებელს ადეკვატურობის სტანდარტთან დაახლოვებდა, შესაბამისად, იგი ვალდებულია მოსარჩელეთათვის გადაცემული ფართი მოიყვანოს სტანდარტებთან შესაბამისობაში.

საკასაციო სასამართლოს 19.09.12წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნიეს, რომ ნ. ე-ას, ა. ლ-ას და სხვათა (სულ 56 პირის) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც სარჩელიდან და საქმეზე მხარეთა მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავალებუ-  
ლება, უზრუნველყოს ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მოსარჩელებზე გა-  
ცემული საცხოვრებელი ფართის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამ-  
ტკიცებულ დევნილთა ხანგრძლივადიანი თავშესაფრით უზრუნ-  
ველყოფის მიზნით კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რე-  
კონსტრუქციისა და მშენებლობის, კერძოდ ახლადამშენებული და ცა-  
რიელი შენობებისათვის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა-  
ში მოყვანა.

ამდენად, წინამდებარე დავის საგანს არ წარმოადგენს კასატორ-  
თა (მოსარჩელეთა) ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე ფართიდან  
გამოსახლების ფაქტი, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლე-  
ბულია პროცესუალურ შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნული ქმე-  
დების კანონიერებაზე.

რაც შეეხება მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს კასატორე-  
ბი მიუთითებენ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძუ-  
ლებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს  
კანონის მე-5<sup>ა</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. აღნიშნული მუხ-  
ლის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სა-  
ქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომ-  
პაქტურად განსახლების ობიექტიდან დევნილის გამოსახლება, გარ-  
და იმ შემთხვევისა, როდესაც დევნილს გამოეყოფა შესაბამისი საც-  
ხოვრებელი ფართი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საცხოვრე-  
ბელი პირობები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინა-  
არს და აღნიშნავს, მითითებული ნორმა გამორიცხავს გამოსახლე-  
ბის შესაძლებლობას იმ ვითარებაში, როდესაც უარესდება პირის სა-  
ყოფაცხოვრებო პირობები.

განსახილველი დავა, მართალია ექვემდებარება ადმინისტრაციუ-  
ლი სამართალწარმოების პრინციპებს, რა შემთხვევაშიც სასამართლო,  
სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, აღჭურვილია სა-  
კუთარი ინიციატივის მეტი შესაძლებლობით, მაგრამ აღნიშნული არ ნიშ-  
ნავს მხარეთა გათავისუფლებას მათი საპროცესო ვალდებულებებისა-  
გან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, რომელზე მითითებასაც შეი-  
ცავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 102.1 მუხლის შესაბა-  
მისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელ-  
ზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს.

საქმეში წარმოდგენილი მასალების ანალიზი საკასაციო სასამარ-  
თლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამარ-  
თლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებმა ვერ დაადას-  
ტურეს მათი პირობების გაუარესების ფაქტი, ამდენად, მათ თავი ვერ  
გაართვეს მტკიცების ტვირთს.

ამასთან საკასაციო სასამართლო არასაკმარისად მიიჩნევს სარ-

ჩელის უარყოფას მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მათ ვერ დაადასტურეს საკუთარი საცხოვრებელი პირობების გაუარესების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობები შესაბამისობაში უნდა იყოს იმ მინიმალურ მოთხოვნებთან მაინც, რაც უზრუნველყოფს პირის ღირსეული არსებობის შესაძლებლობას და საფრთხეს არ შეუქმნის მისი და/ან მასთან მცხოვრები სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მართალია, ფაქტიურად არ არსებობს რაიმე სახის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობას და დაანესებდა მათდამი მოპყრობის სტანდარტებს, მაგრამ საგულისხმოა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლის ტერიტორიაზეც მათ მოინაცვლეს ადგილი და რჩებიან ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე. ამდენად მათი დაცვისა და დანაშაულის ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან არის ისეთივე, როგორც ნებისმიერი მოქალაქის მიმართ. უფრო მეტიც, სახელმწიფოს ვალდებულება იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, მათი განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, რაც შემთხვევაში აღემატება იმ ვალდებულებებსაც კი, რომელიც სახელმწიფოს ეკისრება დანარჩენი მოქალაქეების მიმართ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მითითებას საქართველოს კონსტიტუციის ნორმებზე, „აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე“, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საყოველთაო პაქტზე“ და თვლის, რომ მოსარჩელეთათვის (კასატორებისათვის), ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისა თუ მასში მცხოვრები პირისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხოვრების ის პირობები, რომელიც აუცილებელია მათი და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში, როცა ქვეყანაში ადგილი აქვს მასობრივად იძულებით გადაადგილების ფაქტს, ქვეყანას, მისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გააჩნია მოქმედების შედარებითი თავისუფლება, რომელიც, ბუნებრივია, უნდა ექცეოდეს მისივე მოვალეობის ფარგლებში. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მთავარია დადგინდეს, რამდენად კეთილსინდისიერია სახელმწიფო ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში, ვინაიდან მსგავს სიტუაციაში შეუძლებელია დაცვის სრულყოფილი სტანდარტების უზრუნველყოფა.

ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი ორივე ინსტანციის სასა-



მართლოს მიერ დადგენილია, რომ საყვირის ქ. №2-ში მდებარე შენობას სახელმწიფოს მხრიდან ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და წარმოადგენს საცხოვრებლად ვარგის ფართს. აღნიშნული დასკვნის საწარმოადგენოდ კასატორთა მხრიდან წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს არ აძლევს პროცესუალურ შესაძლებლობას, ეჭვქვეშ დააყენოს ფართის საცხოვრებლად ვარგისიანობის ფაქტი. თუმცა, როგორც აღინიშნა, საკასაციო სასამართლო არ გამოორიცხავს ვარაუდს, რომ შენობა საჭიროებდეს დამატებითი სამუშაოების ჩატარებას, მაგრამ კვლავაც ხაზგასმას აკეთებს იმ მოსაზრებაზე, რომ სახელმწიფოს ვალდებულება განსაკუთრებული სტატუსის მქონე პირთა მიმართ არ წარმოადგენს ერთჯერად აქტს, არის დროში განგრძობადი პროცესი, ხოლო ამ ეტაპისათვის მთავარია იმ მინიმალური სტანდარტების დაცვა, რაც უზრუნველყოფს ამ პირთა ღირსეულ არსებობას და მოხსნის განსახლების პრობლემას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავის განხილვის ეტაპზე მოსარჩელეთა (კასატორთა) მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოსაზრებები არ ქმნის სარჩელის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ე-ას, პ. ა-ის, ა. ლ-ას, ვ. ა-ის, ი. ა-ის, ბ. ა-ის, გ. გ-ის, ხ. გ-ის, თ. გ-ის, ი. მ-ის, ლ. დ-ის, ა. მ-ის, ლ. მ-ის, ნ. ჯ-ის, რ. ხ-ის, ი. გ-ას, ლ. ჩ-ის, ბ. ჩ-ის, ნ. ჩ-ის, რ. გ-ას, ვ. გ-ის, ც. ს-ის, ლ. პ-ას, ა. ქ-ის, ი. ქ-ის, ვ. ქ-ის, ი. გ-ას, ნ. ს-ის, ი. ს-ის, ნ. ს-ის, ო. ც-ის, დ. ც-ის, ჯ. ც-ის, თ. გ-ის, ნ. გ-ის, გ. გ-ას, ი. ხ-ის, მ. ვ-ის, ზ. უ-ის, დ. უ-ის, ვ. უ-ის, მ. ხ-ის, გ. ნ-ის, გ. ნ-ის, ლ. ნ-ის, ნ. ს-ის, მ. გ-ის, ე. ჯ-ის, ლ. გ-ის, ნ. ც-ის, ნ. გ-ის, ლ. გ-ის, დ. ს-ას, თ. ს-ას, ნ. ს-ასა და მ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# დევნილების კომპაქტური განსახლების ოპტიტიდან ბამოსახლების საფუძველი

## ბანჩინება

№ბს-504-496(კ-12)

25 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 5 ოქტომბერს თ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლის 24 აგვისტოს მან განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მისი კუთვნილი ბინიდან – ნ. დ-ას, მ. კ-ას და მზ. კ-ას გამოსახლების შესახებ თანხმობის გაცემა მოითხოვა. სამინისტროს მხრიდან მის განცხადებას არანაირი პასუხი არ მოჰყოლია.

მოსარჩელის მითითებით, იგი 1994 წლიდან არის დაბა ..., ქ. №5-ში მდებარე ბინა № 15-ის მესაკუთრე. აღნიშნული კორპუსი 1996 წლიდან წარმოდგენს დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტს. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ბინაში დევნილები 1993 წელს უკანონოდ შეიჭრნენ. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდა ყოფილი კომენდატის მ. ს-ის ნოტარიულად დამონშემული ხელწერილი.

მოსარჩელის განმარტებით, მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში არ იყო არანაირი მითითება ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობის შესახებ, ამდენად, მხარეთა შორის არ არსებობდა რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რითაც შეიძლებოდა მისი, როგორც მესაკუთრის უფლების შეზღუდვა. ამასთან, არ არსებობდა არც კანონისმიერი შეზღუდვის რაიმე საფუძველი და შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა კუთვნილ საცხოვრებელ ბინაზე კანონით გარანტირებული უფლებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის –

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ნ. დ-ას, მ. კ-ას და მზ. კ-ას გამოსახლების შესახებ თანხმობის გაცემის ან მათი გამოსახლების შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით თ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენდნენ, რომლებიც 1993 წლიდან ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში, ბინა №15-ში (ფინანსთა სამინისტროს დ/ს კორპ. №4) ცხოვრობდნენ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ აღნიშნული ობიექტი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს წარმოადგენდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მესამე პირების – ნ. დ-ას, მ. კ-ასა და მზ. კ-ასათვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გამოუყვია.

საქალაქო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისში, დაბა ..., ... ქ. №5-ში (ლიტ „გ“) მდებარე ბინა №15-ზე რეგისტრირებული იყო თ. ს-ის საკუთრების უფლება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (23.12.2011-მდე რედ.) მე-5 მუხლი განსაზღვრავდა დევნილთა უფლებებსა და მათი უზრუნველყოფის საკითხებს დროებით საცხოვრებელ ადგილზე. ხსენებული მუხლის მე-3 პუნქტით სახელმწიფო უზრუნველყოფდა დევნილს დროებითი საცხოვრებელი ადგილით, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტიდან არ ხდებოდა დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც: ა) დევნილებთან იდებოდა წერილობითი შეთანხმება, ბ) გამოიყოფოდა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდებოდა დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდებოდა სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებდა განსაზღვრულ კომპეტენ-

ციებს და რეგულირდებოდა საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული ჰქონდა თვითნებურად, კანონის დარღვევით. იგივე შინაარსის დებულებებს შეიცავდა მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი.

საქალაქო სასამართლომ „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დაადგინა, რომ დევნილთა გამოსახლების კანონით განსაზღვრული არც ერთი პირობა სახეზე არ იყო, ხოლო ისეთ ვითარებაში, როდესაც მესამე პირები დღეისათვის უზრუნველყოფილი არ იყვნენ შესაბამისი საცხოვრებელი ფართით ან ფართის სანაცვლო კანონით გათვალისწინებული კომპენსაციით, უსაფუძვლო იყო მოთხოვნა კომპაქტური განსახლების ობიექტიდან მათი გამოსახლების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ფართი წარმოადგენდა – ნ. დ-ას, მზ. კ-ას და მ. კ-ას დროებით საცხოვრებელ ფართს, მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლზე, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება.

საქმის მასალები ანალიზით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის უარი მოსარჩელის კუთვნილი ბინიდან ნ. დ-ას, მ. კ-ას და მზ. კ-ას გამოსახლების შესახებ არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, ვინაიდან, არსებული მდგომარეობით არ დადასტურდა საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე მესამე პირების მხრიდან უკანონო ხელყოფის ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-ემ. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის განჩინებით თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის დაბა ... 2006 წლის 8 მაისის № 105 ცნობის შესაბამისად, ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენდნენ, რომლებიც 1993 წლის დეკემბრიდან დღემდე დაბა ..., ... ქ. №5, ბინა № 15-ში ცხოვრობდნენ.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ 2010 წლის 16 აპრილს გაცემული ცნობის შესაბამისად, დაბა ..., ... ქუჩის №5-ში არსებული №1, №2, №3, №4 კორპუსები იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს 1996 წლიდან წარმოადგენდა და მათში 106 დევნილი იყო განსახლებული. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მესამე პირები – ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულნი არ ყოფილან.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ 2007 წლის 4 დეკემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, დ. ..., ... ქ. №5, (ლიტ „გ“), ბინა № 15-ზე რეგისტრირებული იყო თ. ს-ის საკუთრების უფლება, (უფლების რეგისტრაციის თარიღი 24.08.2004წ; უფლების დამდგენი დოკუმენტი: 1994 წლის 27 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამონმბებული ნოტარიუს ც. ბ-ის მიერ, რეესტრის №2–1066).

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავდა დევნილთა უფლებებსა და მათი უზრუნველყოფის საკითხებს დროებით საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით სახელმწიფო უზრუნველყოფდა დევნილს დროებითი საცხოვრებელი ადგილით, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდებოდა დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც: ა) დევნილებთან იდებოდა წერილობითი შეთანხმება, ბ) გამოიყოფოდა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდებოდა დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდებოდა სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვა-

ლიწინებდა განსაზღვრულ კომპეტენციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული ჰქონდა თვითნებურად, კანონის დარღვევით. იგივე შინაარსის დებულებებს შეიცავდა მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლიც. კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდებოდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: დევნილებთან იდებოდა წერილობითი შეთანხმება მათ მიერ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების თაობაზე; დევნილს გამოეყოფოდა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდებოდა მისი საყოფაცხოვრებო პირობები; დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით ჰქონდა დაკავებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მესაკუთრეს შეეძლო კანონიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ესარგებლა ქონებით (ნივთით), არ დაეშვა სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განეკარგა იგი, თუკი ამით არ ილახებოდა მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კი, მესაკუთრეს შეეძლო მფლობელისათვის მოეთხოვა ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

აღნიშნულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლება არ იყო აბსოლუტური უფლება. ის შეიძლება შეზღუდულიყო კანონისმიერი ან სახელშეკრულებო შებოჭვით. მოცემულ შემთხვევაში კანონისმიერი შებოჭვის ფარგლებს ადგენდა საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“, რომლის პირველი პრიმა მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი იყო (დევნილის რეგისტრაციის ადგილი) დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი იქნა განსახლებული, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამავე მუხლის „ი“ პუნქტი განმარტავდა დევნილის კომპაქტურად განსახლების ცნებას, კერძოდ, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი იყო დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ად-

გილი, სადაც ისინი ორგანიზებულად იქნენ განსახლებულნი, ამ ობიექტში საცხოვრებელი ფართობების დევნილი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებების დაწყებამდე/შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დაბა ... .. ქუჩა №5-ში ლიტ. „გ“-ში მდებარე ბინა №15 არ წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. საქმეში არსებული საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ 2010 წლის 16 აპრილს გაცემული ცნობის შესაბამისად დასტურდებოდა, რომ დაბა ..., ... ქუჩის №5-ში არსებული №1, №2, №3, №4 კორპუსები 1996 წლიდან წარმოადგენდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს და მათში 106 დევნილი იყო განსახლებული, მათ შორის ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დევნილთა საცხოვრებელი ადგილის ცნებას ითვალისწინებდა ასევე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულების საფუძველზე დამტკიცებული იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კონფლიქტების შედეგად გადაადგილებულ დევნილთა ნაწილი განთავსდა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში, ანუ კოლექტიურ ცენტრებში, ხოლო კოლექტიური ცენტრი განმარტებული იყო, როგორც სახელმწიფოს ან კერძო მფლობელობაში არსებული შენობა, სადაც მოხდა დევნილთა ჯგუფურად ჩასახლება და სადაც ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტ თ. ს-ის საკუთრებაში იყო თბილისში, დ. ..., ... ქ. №5-ში, (ლიტ „გ“) ბინა №15-ში არსებული ფართი, იგი ნ. დ-ას, მზ. კ-ასა და მ. კ-ას დროებით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძ-

ველზე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ იმ ვითარებაში, როდესაც დევნილები უზრუნველყოფილი არ იყვნენ შესაბამისი საცხოვრებელი ფართით ან ფართის სანაცვლო კანონით გათვალისწინებული კომპენსაციით, სახეზე არ იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-ემ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ შეგნებულად არ მიუთითა, რომ თ. ს-ეს აღნიშნული ბინა საკუთრების უფლებით 1994 წლიდან ეკუთვნოდა, ხოლო აღნიშნული კორპუსი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტს 1996 წლიდან წარმოადგენდა.

კასატორის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს დადგენილად ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მესამე პირად ჩართული ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში 1993 წლიდან ცხოვრობდნენ. კასატორმა მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ყოფილი კომენდატის მ. ბ-ის ნოტარიულად დამონმებულ ხელწერილზე, რომლითაც დასტურდება, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები აღნიშნულ ბინაში უკანონოდ შეიჭრნენ.

კასატორმა მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

კასატორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეპოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თა-



ნახმად, მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. აღნიშნული მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

კასატორმა არ გაიზიარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ სადავო შენობა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს წარმოადგენდა, რადგან „იძულებით გადაადგილებულ პირთა – ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი არის დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებული დევნილები. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეები სადავო შენობაში არც სახელმწიფოს მიერ და არც მესაკუთრის თანხმობით განსახლებულნი არ ყოფილან, არამედ მათ შენობა დაკავებული ჰქონდათ თვითნებურად. მოცემულ შემთხვევაში კი კასატორის აზრით, ადგილი ჰქონდა იძულებით გადაადგილებული პირების მიერ სხვისი საკუთრების ხელყოფას, რადგან ქ. თბილისში, დაბა ..., ... ქ. №5-ში, კორპ. „გ“-ში მდებარე ბინა №15-ში მოპასუხეთა შესახლების შესახებ არ არსებობდა კომპეტენტური ორგანოს რაიმე ნებართვა. საქართველოს განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, სიები და დევნილებზე გაცემული მონომობები ადასტურებდნენ მოპასუხეთა სადავო ბინაში ამჟამად ცხოვრების ფაქტს და არა მათი შესახლების საფუძველს.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის არ არსებობდა რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რითაც შეიძლებოდა მისი, როგორც მესაკუთრის უფლების შეზღუდვა. ამასთან, კანონისმიერი შეზღუდვის საფუძველი აღარ არსებობდა, შესაბამისად, კასატორი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა კუთვნილ საცხოვრებელ ბინაზე კანონით გარანტირებული უფლებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებად იქნა ცნობილი თ. ს-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 10 იანვარს 13:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გააჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ თ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს ორი უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ აღიარებული უფლება: საკუთრების უფლება და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა თავშესაფრის უფლება, ამდენად, მოცემული დავის სწორად გადანყევისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტობრივი გარემოებების თანმიმდევრულად და ქრონოლოგიურად დადგენას და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი შეფასების მინიჭებას.

საკასაციო სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადანყევილებითა და მოცემულ საქმეში წარმოდგენილი მასალებით უდავოდ დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც იძულებით გადაადგილების შემდგომ, 1993 წლის დეკემბრიდან დაბა ..., ფინანსთა სამინისტროს კუთვნილ ბინაში განსახლდნენ (დაბა ..., ... ქ. №5-ში ბინა 15-ში), სადაც დღემდე ცხოვრობენ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მესამე პირები – ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა სადავო ბინაში უნებართვოდ შეიჭრნენ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია სახელმწიფოს კუთვნილ ბინაში შესვლის წერილობითი ნებართვა მათ არ გააჩნდათ, მაგრამ 1993-1994 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო სისტემაში არც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და არც შესაბამისი სამინისტრო არ არსებობდა, შეუძლებელი იყო ასიათასობით დევნილი პირის მიმართ სახელმწიფოს ინდივიდუალურად გამოეცა წერილობითი ნებართვა მათი კონკრეტულ ტერიტორიაზე განსახლების თაობაზე, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ექსტრემალური და საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, საკმარისი იყო სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული ზეპირი თანხმობაც. მსგავსი განმარტება გაკეთდა, ადამიანის უფ-

ლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებაში (საქმეზე სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ), სადაც აღინიშნა, რომ ასიათასობით ადამიანის დევნილად ქცევის პირობებში შეუძლებელი იყო ყველა ფორმალობის დაცვა ბინების გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, საერთაშორისო სამართალში აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის გამო იძულებით გადაადგილებულ პირებს, სახელმწიფო უზრუნველყოფდა ინდივიდუალური ან კოლექტიური რეგისტრაციით, საცხოვრებლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით ზედმეტი ფორმალურობის გარეშე, მინიმალური და მარტივი პროცედურებით, წერილობითი საბუთებით ან მათ გარეშე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დევნილთა ბინადრობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ“, საქართველოს 1992 წლის მონვევის პარლამენტის დადგენილება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის შექმნის შესახებ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 დეკემბრის №1124 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის შესახებ“, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1992 წლის 30 დეკემბრის განკარგულება საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციების და სტიქიის შედეგად, აგრეთვე, რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სოციალური დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №535 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ და სხვა. დასახელებული დოკუმენტებით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოფდა დევნილთა განსაკუთრებული და უპირველესი მოთხოვნილება – თავშესაფრის უფლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ის გარემოება, რომ ნ. და, მ. კ.-ა და მზ. კ.-ა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონებაში, სწორედ სახელმწიფოს ნებართვით განსახლდნენ დადასტურდა სახელმწიფოს მხრიდან შემდგომ წლებში განხორციელებული მოქმედებით, კერძოდ, 1996 წელს მას შემდეგ, რაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა დევნილთა საყოველთაო აღწერა, დევნილთა განსახლების სხვადასხვა ობიექტებს, მათ შორის, დაბა ..., ... ქუჩის №5-ში არსებულ №1, №2, №3, №4 კორპუსებს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტის სტატუსი მიენიჭა და დადგინდა,

რომ მასში 106 დევნილი იყო განსახლებული, მათ შორის მესამე პირებიც.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ის ფაქტი, რომ ნ. დ-ა, მ. კ-ა და მზ. კ-ა სადავო უძრავ ქონებაზე მართლზომიერ მფლობელობას ახორციელებდნენ დასტურდება: ოჩამჩირის რაიონული გამგეობის 2006 წლის 3 მაისის №712 ცნობით, წყნეთის რაიონული გამგეობის 2006 წლის 8 მაისის №105 ცნობით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2010 წლის 16 აპრილის №02/02/4668 ცნობით და სხვა დოკუმენტაციით. ამასთან, აღნიშნული გარემოება, ასევე, უდავოდ იქნა დადგენილი კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 25 აპრილის №301 გ განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამშენებლო-საწარმოო სამმართველოს ნება დაერთო იჯარით, შემდგომი გამოსყიდვის უფლებით გაეცა მის ბალანსზე რიცხული დაბა ... მდებარე 15 ბინა, რომელთა შორის აღმოჩნდა დევნილთა განსახლების ობიექტებიც. აღნიშნული გარემოება ცალსახად მიუთითებს სამინისტროებს შორის არაკოორდინირებულ და ურთიერთშეუთანხმებელ მუშაობაზე.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 1994 წლის 24 აპრილს, ანუ მას შემდეგ, რაც დაბა ..., ... ქ. №5-ში ბინა №15-ში უკვე განსახლებულნი იყვნენ დევნილები – ნ. დ-ია, მ. კ-ა და მზ. კ-ა, თ. ს-ესა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამშენებლო-საწარმოო სამმართველოს უფროსს შორის გაფორმდა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, ამავე წლის 28 ივლისს კი გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, თ. ს-ემ შეიძინა სადავო უძრავი ქონება. აღნიშნული ქონება 2004 წლის 24 აგვისტოს საჯარო რეესტრში აღირიცხა თ. ს-ის საკუთრებად.

მართალია, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ არც იჯარა-გამოსყიდვისა და არც ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ იყო არანაირი მითითება ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობის შესახებ, თუმცა საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც, სადავო ბინაში დევნილები 1993 წლიდან იყვნენ განსახლებულნი და ხელშეკრულებების გაფორმების ეტაპზეც იქცხოვრობდნენ, თ. ს-ეს 1994 წლის 24 აპრილიდან, ანუ იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტიდან უდავოდ უნდა სცოდნოდა უძრავ ნივთზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ თ. ს-ე, როგორც ფინანსთა სა-

მინისტროს თანამშრომელი 1986 წლიდან შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე, ყოველწლიურად სარგებლობდა დაბა ... მდებარე აღნიშნული აგარაკით. შესაბამისად, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო 1993 წელს აღნიშნულ აგარაკებზე დევნილთა ჩასახლების ფაქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, თ. ს-ეს უძრავი ნივთი გადაეცა იმ უფლებრივი მდგომარეობით, რაც ეს ხელშეკრულების დადებამდე არსებობდა (რაც მისთვის მისაღები აღმოჩნდა) და ხელშეკრულების დადების შემდგომ ნივთის უფლებრივი მდგომარეობა არ გაუარესებულა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს ის გარემოება, არსებულ ვითარებაში რამდენად არის დასაშვები სადავო უძრავი ქონებიდან მესამე პირების გამოსახლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს დევნილთა უფლებებსა და მათი უზრუნველყოფის საკითხებს დროებით საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ადგილით, ხოლო იმავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც, ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება, ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპეტენციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით. იგივე შინაარსის დებულებებს შეიცავს მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კა-

ნონის 53-ე მუხლიც. კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება მათ მიერ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული ფართობის სასაცვლოდ საკომპენსაციო თანხის ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების თაობაზე; დევნილს გამოეყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საყოფაცხოვრებო პირობები; დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია კანონიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კი, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს აქვს ამ ნივთის ფლობის უფლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მართალია სასამართლო უდავოდ აღიარებს სადავო უძრავ ქონებაზე თ. ს-ის საკუთრების უფლებას, მაგრამ საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. ის შეიძლება შეიზღუდოს კანონისმიერი ან სახელშეკრულებო შებოჭვით. მოცემულ შემთხვევაში კანონისმიერი შებოჭვის ფარგლებს ადგენს საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“, რომლის პირველი პრიმა მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი არის (დევნილის რეგისტრაციის ადგილი) დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი იქნა განსახლებული, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. ამავე მუხლის „ი“ პუნქტი კი განმარტავს დევნილის კომპაქტურად განსახლების ცნებას. კერძოდ, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი არის დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ისინი ორგანიზებულად იქნენ განსახლებულნი, ამ ობიექტში საცხოვრებელი ფართობების დევნილი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებების დაწყებამდე/შესა-

ბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემაზე.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით თ. ს-ის სარჩელი, მოპასუხეების – ნ. დ-ას, მ. კ-ას და მზ. კ-ას მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულის საფუძველად მითითებულ იქნა სწორედ ის გარემოება, რომ არსებობდა კანონისმიერი შეზღუდვა, რომელიც მოსარჩელეს ართმევდა შეაძლებლობას კუთვლილი ბინიდან გამოესახლებინა მოპასუხეები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმებისა და ფაქტების ურთიერთმიჯვრების საფუძველზე განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც სადავო უძრავ ქონებაში დევნილთა განსახლება 1993 წელს ანუ თ. ს-ის კერძო საკუთრებაში გადასვლამდე განხორციელდა და აღნიშნულ უძრავ ქონებას დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტის სტატუსი აქვს მინიჭებული, აღნიშნული ობიექტიდან დევნილთა გამოსახლება, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა) დევნილთან იდება წერილობითი შეთანხმება, ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპეტენციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

ამდენად, იმ ვითარებაში, როდესაც დევნილები უზრუნველყოფილი არ არიან შესაბამისი საცხოვრებელი ფართით ან ფართის სანაცვლო კანონით გათვალისწინებული კომპენსაციით, სახეზე არ არის კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს – უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. შესაბამისად, უსაფუძლოა კასატორის მოთხოვნა მონინააღმდეგე მხარისათვის ნ. დ-ას, მ. კ-ას და მზ. კ-ას გამოსახლების დავალების თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ თ. ს-ეს აღძრული აქვს სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ – ნ. დ-ას, მ. კ-ას და მზ. კ-ას სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე, რაც შესაძლებელია გახდეს თ. ს-ის კანონიერი მიზნის მიღწევის სწორი სამართლებრივი საშუალება.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოება-

ზეც, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“, ამდენად 2009-2012 წლამდე არსებულმა სტრატეგიულმა გეგმამ, რომელიც დევნილთა (რომლებიც ცხოვრობენ ისეთ კოლექტიურ ცენტრებში, რომლებიც არ გარემონტდება და/ან საკუთრებაში არ გადაეცემათ) სხვა ალტერნატიული გრძელვადიანი საცხოვრებელით დაკმაყოფილებას განსაზღვრავდა 2014 წლამდე გადაინია.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია არსებულ ვითარებაში (იმ პირობებში, როდესაც დევნილები უზრუნველყოფილნი არ არიან შესაბამისი საცხოვრებელი ფართით ან სათანადო კომპენსაციით) თ. ს-ის კერძო საკუთრებიდან დევნილთა გამოსახლება შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ ყოვლად დაუშვებელია მესაკუთრისათვის მუდმივად მიუწვდომელი და შეუძლებელი იყოს საკუთრებით სათანადოდ სარგებლობა. ერთი უფლების დაცვამ არ შეიძლება გამოიწვიოს მეორე უფლების მუდმივი, თუნდაც დასაბუთებული ხელყოფა. ამდენად, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკისრებათ ვალდებულება შექმნან შესაბამისი პირობები, რათა დაუსრულებელი ხასიათი არ ჰქონდეს მესაკუთრის მიერ საკუთრებით სარგებლობის შეუძლებლობას და შესაბამისად, საყოველთაოდ აღიარებული საკუთრების უფლების დარღვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ მ ი ნ ა:**

1. თ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**დევნილების დროებითი საცხოვრებელი ადგილიდან  
გამოსახლების წესი და საფუძველი**

**ბანჩინება**

№ბს-717-702(კ-12)

25 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** მატერიალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 15 ნოემბერს შ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „...“ მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის იძულებით გადაადგილებული პირი. 1991 წლის იანვრიდან 2011 წლის 15 აგვისტომდე არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე სასტუმრო „ა...“, რომელიც წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს.

2011 წლის 26 ივლისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „...“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. მითითებული ხელშეკრულებით შპს „...“ იკისრა ვალდებულება დაეფინანსებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი დევნილთა განსახლების ღონისძიებები. ამასთან, ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დევნილებთან შეთანხმებით, მათთვის საკომპენსაციო თანხის ან საცხოვრებელი ფართის გადაცემის ვალდებულება.

2011 წლის 15 აგვისტოს შპს „...“ წერილობითი განცხადების სა-

ფუძველზე პოლიციის მიერ უკანონოდ განხორციელდა სასტუმრო „ა...“ შენობიდან დევნილთა გამოსახლება, რის შედეგადაც მოსარჩელე დარჩა საცხოვრებელი ფართის გარეშე.

მოსარჩელის მითითებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენამდე კომპაქტური განსახლების ობიექტიდან დევნილთა გამოსახლებას, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებსაც ადგილი არ ჰქონია მოცემულ შემთხვევაში. ამასთან, „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება ასევე განსაზღვრულ პირობებს ითვალისწინებს დევნილთა დაუსაბუთებელი გამოსახლებისაგან დაცვის მიზნით. მითითებული ბრძანების თანახმად, დევნილთა გამოსახლება უნდა შეთანხმდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გასცა წერილობითი თანხმობა დევნილთა გამოსახლების მიზანშეწონილობის თაობაზე, რაც პოლიციის მხრიდან უკანონო გამოსახლების განხორციელების საფუძველი გახდა. სამინისტროსათვის ცნობილი იყო, რომ გამოსახლებისას არ მომხდარა შეთანხმება მოსარჩელესა და შენობის მესაკუთრეს – შპს „...“ შორის საკომპენსაციო თანხის გადახდის ან სანაცვლო ფართით უზრუნველყოფის შესახებ. ამასთან, სადავო საკითხის გადაწყვეტა არა პოლიციის, არამედ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა. შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ვალდებული იყო ემოქმედა დევნილთა ინტერესების დასაცავად და არ დაეშვა მოსარჩელის გამოსახლება კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვის გარეშე.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ცნობილი იყო, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა შენობის მართლზომიერ მფლობელს. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონაგობა. ამავე ბრძანების მე-8 მუხლის თანახმად, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შენ-

ყვეტის საფუძველია აღკვეთის ღონისძიებების დასრულებამდე უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. ასეთ ვითარებაში, მოსარჩელის მოსაზრებით, უნდა შეფასდეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსაგან თანხმობის პირობებშიც კი, პოლიცია უფლებამოსილი იყო თუ არა განეხორციელებინა დევნილთა გამოსახლება.

ამდენად, მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებებით ზიანი მიადგა მოსარჩელეს, რაც წარმოშობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „...“ მოსარჩელე შ. გ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 35000 აშშ დოლარის, ასევე ზიანის ანაზღაურებამდე მოსარჩელის მიერ ყოველთვიურად გადახდილი ბინის ქირის – 300 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით შ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შ. გ-ს მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი, გააჩნია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონშობა და როგორც დევნილი რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე სასტუმრო „ა...“. მას ჰყავს ერთი მცირეწლოვანი შვილი, რომელიც ასევე რეგისტრირებულია მითითებულ მისამართზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 ივლისის №19/07/05 განკარგულებით ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში გადაეცა შპს „...“. ამავვე განკარგულებით შპს „...“ დაევალა 3 985 239,8 აშშ დოლარის ფარგლებში განეხორციელებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი დევნილთა განსახლების ღონისძიებების დაფინანსება. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 ივლისის №19/07/05 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...“ შორის 2011 წლის 26 ივლისს გაფორმდა უძრავი ნივთი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს

„...“ საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე სასტუმრო „ა...“ შპს „...“ იკისრა ვალდებულება 3 985 239,8 აშშ დოლარის ფარგლებში დაეფინანსებინა ერთდროულად ან ეტაპობრივად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი დევნილთა განსახლების ღონისძიებები სამინისტროს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა შპს „...“ საკუთრებად.

2011 წლის 27 ივლისს შპს „...“ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე სასტუმრო „ა...“ შენობაში მცხოვრები დევნილებისა და არადევნილი პირების გამოსახლების მოთხოვნით.

ქ. თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს მე-7 განყოფილებამ 2011 წლის 28 ივლისს წერილობით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რათა ამ უკანასკნელს გამოეხატა თავისი პოზიცია დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2011 წლის 12 აგვისტოს №05/02-12/5787 წერილით მიზანშეწონილად მიიჩნია სასტუმრო „ა...“ შენობიდან დევნილთა გამოსახლება. წერილთან ერთად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ პოლიციას გადასცა სასტუმრო „ა...“ რეგისტრირებულ დევნილთა სია, რომელშიც, ასევე, მითითებული იყო მოსარჩელე თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად.

ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონის სამმართველოს მე-7 განყოფილებამ 2011 წლის 13 აგვისტოს მოსარჩელე შ. გ-ის მიმართ გამოსცა №988381 გაფრთხილება საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის შესახებ, თუმცა მოსარჩელემ უარი განაცხადა გაფრთხილების ჩაბარებაზე.

საქალაქო სასამართლომ სადავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია გამოსახლებამდე და გამოსახლების მომენტში მოსარჩელე შ. გ-ის სასტუმრო „ა...“ ცხოვრების ფაქტი. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელის მიერ წარდგენილი მონემთა ჩვენებები საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა, მიიჩნია, რომ აღნიშნული ჩვენებები ეწინააღმდეგებოდა მოსარჩელის განმარტებებს, ხოლო სხვა მტკიცებულებები იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ შ. გ-ი

მუდმივად ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“, მოსარჩელეს სასამართლო-სათვის არ წარუდგენია.

საქალაქო სასამართლო დაეყრდნო მოპასუხე მხარის მტკიცებებს, რომ შ. გ-ი მიუხედავად რეგისტრაციისა, არ ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“. დევნილთა გამოსახლების პროცესის დაწყებამდე, სამინისტროს მხრიდან ჩატარდა სასტუმრო „ა...“ რეალურად მცხოვრები დევნილების აღწერა, რის შედეგად სამინისტროში შეიქმნა იმ დევნილთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა, რომლებიც რეალურად ცხოვრობდნენ სასტუმრო „ა...“. მითითებულ ბაზაში არ აისახა მონაცემები მოსარჩელისა და მისი შვილის შესახებ იმის გამო, რომ ისინი რეალურად არ ცხოვრობდნენ სასტუმროში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ დაადასტურა, რომ ორჯერ განხორციელდა დევნილების რეგისტრაციის აღწერა მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. პირველად – 2008 წლის აგვისტოში, ხოლო მეორედ – 2008 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში აღწერა ხორციელდებოდა თავად სააგენტოს მიერ, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დახმარებით შექმნილი მობილური ჯგუფების მეშვეობით. სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შ. გ-ი არ ფიქსირდებოდა, რამდენადაც იგი რეალურად არ ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით, ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტით და აღნიშნა, რომ შპს „ა...“ მოიპოვა რა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, იგი უფლებამოსილი იყო მიემართა პოლიციისათვის საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, რითაც არ შელახულა მოსარჩელის უფლება. აღნიშნულის მტკიცების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის 2011 წლის ივლის-აგვისტოში მოქმედი რედაქციის თანახმად, საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდებოდა სასამართლო წესით. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის უფლებამოსილების სამართალდამცავი ორგანოებისათვის დაკისრება, ანუ გამოსახლების საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიული წესის შემოღება პირველ ეტაპზე განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2006 წლის 8 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით, ხოლო შემდეგ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში 2007 წლის 4 ივლისს შეტანილი ცვლილებით.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებულ ნორმებში შეტანილი ცვლილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელს არ

გაუკეთებია რაიმე დათქმა დევნილებთან დაკავშირებული საბინაო დავების მხოლოდ სასამართლო წესით გადაწყვეტის შესახებ. ზემოთ მითითებულ ნორმებში წინააღმდეგობის არსებობის პირობებშიც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო გვიან მიღებულ ნორმატიულ აქტს. ამასთან, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 23 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად, ზემოთ მითითებულ საკანონმდებლო აქტებს შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრის მიზნით, დევნილთა საბინაო დავების გადაწყვეტის წესი სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი იმ წესთან, რასაც ადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და „პოლიციის შესახებ“ კანონი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ფულადი კომპენსაციის მიუღებლობა არ წარმოშობდა შპს „...“ პასუხისმგებლობას, რამდენადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „...“ იკისრა ვალდებულება დაეფინანსებინა დევნილთა განსახლების ღონისძიებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. დევნილისათვის საკომპენსაციო თანხის გადაცემა წარმოადგენდა დევნილთა განსახლების ღონისძიებების დაფინანსების ერთ-ერთ სახეს, რაც უნდა განხორციელებულიყო ორ სუბიექტს – შპს „...“ და სამინისტროს შორის კოორდინირებული მოქმედებების ხარჯზე. შპს „...“ არ იყო უფლებამოსილი დამოუკიდებლად, მხოლოდ თავისი შეხედულებით გადაენწყვიტა დაფინანსების საკითხი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსაგან თანხმობის არსებობის მიუხედავად, არ იყო უფლებამოსილი სასტუმრო „ა...“ გამოესახლებინა დევნილები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დევნილების გამოსახლება განახორციელა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მართლზომიერი

მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა ლტოლვილის ან დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მხოლოდ ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებისათვის). გამოსახლების პროცესის დაწყებამდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა როგორც წერილობითი თანხმობა სასტუმრო „ა...“ შენობიდან დევნილების გამოსახლების თაობაზე, ასევე სასტუმრო „ა...“ რეგისტრირებული დევნილების სრული სია. ვინაიდან შპს „...“ განცხადება სრულად აკმაყოფილებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული წესის ყველა მოთხოვნას და შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილობითი თანხმობა დევნილების გამოსახლების თაობაზე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული იყო განეხორციელებინა მისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობა და უზრუნველყო დევნილთა გამოსახლება.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ დევნილის მოწმობის არსებობის პირობებში, რომელიც წარმოადგენს მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტს, აღნიშნული გამორიცხავდა დევნილის გამოსახლების შესაძლებლობას. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დევნილის მოწმობის არსებობა არ ზღუდავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გასცეს წერილობითი თანხმობა დევნილის მოწმობის მქონე პირის გამოსახლების თაობაზე, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო არაა უფლებამოსილი შეამომოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული თანხმობის მიზანშეწონილობა, მართლზომიერება ან კანონიერება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან დადასტურდა, რომ შ. გ-ს არ შეეთავაზა დაკავებული ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია ან სხვა საცხოვრებელი ფართი იმის გამო, რომ იგი

ფაქტობრივად არ ცხოვრობდა სასტუმრო აფხაზეთში. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2011 წლის ივლის-აგვისტოში მოქმედი რედაქცია) მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის სუბიექტს და სამინისტრო არ იყო ვალდებული დაეცვა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც დევნილი მუდმივად და ფაქტობრივად არ ცხოვრობს კომპაქტური ჩასახლების ობიექტში, იგულისხმება, რომ მას გააჩნია სხვა, ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შ. გ-ი მუდმივად არ ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“, იგულისხმება, რომ სასტუმრო „ა...“ მისთვის არ წარმოადგენდა ერთადერთ საცხოვრებელ ადგილს. „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი ნიშნავს დევნილის მიერ ფართის ფაქტობრივად ფლობას, ფართში ფაქტობრივად, მუდმივად, უწყვეტად ცხოვრებას. თუ დევნილის მიერ ფართის ფაქტობრივად ფლობა არ გამოიხატება ამ ფართში ფაქტობრივად, მუდმივი ცხოვრებით, აღნიშნული ნიშნავს, რომ ფართის გამოყენება ხდება არაღანიშნულებისამებრ, კანონის მიზნის საწინააღმდეგოდ. შ. გ-ი სასტუმრო „ა...“ არსებულ ფართს არ იყენებდა თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად, რის გამოც იგი არ წარმოადგენდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს არ ევალდებოდა მასთან მიმართებაში მითითებული კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნის დაცვა. ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს რაიონის სამმართველოს მე-7 განყოფილების მიერ მოსარჩელის მიმართ გამოიცა გაფრთხილება, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გამოსახლების მომენტში მოსარჩელე ნამდვილად ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარად ხელშეშლა არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ამ უძრავ ნივთში ცხოვრების ფაქტს. თუნდაც ის, რომ მოსარჩელე ახორციელებდა ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას მასში ფაქტობრივად ცხოვრების გარეშე, საკმარის წინაპირობას წარმოადგენს გაფრთხილების გამოსაცემად.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების საფუძველი.



საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო ბინის ქირის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში აპელანტს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. აპელანტმა ასევე მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობები საკომპენსაციო თანხით ან სხვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული, სასტუმრო „ა...“ გამოსახლებულ პირთა სახელობითი სიის წარმოდგენის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალების, ასევე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან სასტუმრო „ა...“ აღწერილ დევნილთა სრული სიის გამოთხოვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით და აღნიშნა, რომ მითითებული კანონით დადგენილია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სახელმიფოს დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლების უფლება აქვს. მითითებული კანონის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება მათ მიერ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების თაობაზე. დევნილს გამოეყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საყოფაცხოვრებო პირობები. დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრე-

ბა იმის თაობაზე, რომ გამოსახლების მომენტში და გამოსახლებამდე იგი ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მოწმეთა ჩვენებების არ გაზიარების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და სხვა უფლებამოსილ უწყებათა მხარდაჭერით განახორციელა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში რეალურად მცხოვრები დევნილების აღწერა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის №01/12515 წერილის თანახმად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდებოდა ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში შ. გ-ის რეგისტრაცია. აღნიშნულის გამაბათილებელი მტკიცებულება მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი ვერ იქნა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ სამინისტრო არ იყო ვალდებული დაეცვა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები იმ პირთა მიმართ, რომლებიც თუმცა რეგისტრირებულნი იყვნენ სასტუმრო „ა...“, მაგრამ ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ ამ კომპაქტურად განსახლების ადგილზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ფაქტობრივი წინამძღვრები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. კასატორმა ასევე მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობები საკომპენსაციო თანხით ან სხვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული, სასტუმრო „ა...“ გამოსახლებულ პირთა სახელობითი სიის წარმოდგენის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის დავალების, ასევე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან სასტუმრო „ა...“ აღწერილ დევნილთა სრული სიის გამოთხოვის თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი განჩინება იქნა მიღებული.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ შ. გ-ი არც გამოსახლებამდე და არც გამოსახლების მომენტში არ ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“.

კასატორმა აღნიშნა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი, ანუ დევნილის რეგისტრაციის ადგილი განმარტებულია, როგორც დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი იქნა განსახლებული, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124 ბრძანების თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი. დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ერთეულს, სადაც იგი დროებით არის განსახლებული. დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება სამინისტროს დევნილთა რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე.

ამდენად, კასატორის მითითებით, შ. გ-ის რეგისტრაციის, ანუ დროებითი საცხოვრებელი ადგილია სასტუმრო „ა...“.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის დროებითი საცხოვრებელი ადგილი არ წარმოადგენდა მის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილსამყოფელს. სასამართლო დაეყრდნო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 17 იანვრის №01/12515 წერილს, რომლის თანახმად, შ. გ-ი რეესტრის ბაზაში არ იყო რეგისტრირებული როგორც სასტუმრო „ა...“ მცხოვრები. თუმცა, სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, შესაძლოა აღნიშნული ბაზა არ ყოფილიყო სრულყოფილი, გამორიცხული არ იყო მასში ცდომილებების არსებობა. ამასთან, სამინისტრო ეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ და არა სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო ასევე დაეყრდნო სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებას, რომ სამინისტრომ აღწერა ჩაატარა სასტუმრო „ა...“, რომლის დროსაც შ. გ-ი სასტუმროში ვერ ნახეს. მონმის სახით დაკითხულმა სამინისტროს თანამშრომელმა აღნიშნა, რომ იგი აღწერას ატარებდა მე-2 და მე-5 სართულებზე, შესაბამისად, მე-6 სართულთან დაკავშირებით, სადაც მოსარჩელე ცხოვრობდა, მას სრულყოფილი ინფორმაცია ვერ ექნებოდა.

კასატორის მითითებით, შ. გ-ის დროებითი საცხოვრებელი, ანუ რეგისტრაციის ადგილი იყო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რაც დადასტურდა მოწმეთა ჩვენებებით. ასევე, აღნიშნული ფაქტი დასტურდებოდა სამინისტროს 2011 წლის 12 აგვისტოს წერილით, რომლის თანახმად, სამინისტრომ პოლიციას მიანოდა სასტუმროში მცხოვრებ და არა რეგისტრირებულ პირთა სია.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა შპს „...“ მიმართ და მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან მოსარჩელის გამოსახლება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომ მესაკუთრეს საშუალება ეძლევა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა.

მითითებული ნორმა ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც სამართალდამცავი ორგანო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს გამოსახლება, კერძოდ, სავარაუდო ხელმოყვის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რასაც წარმოადგენს დევნილის მოწმობა. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტი. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არასწორად მიუთითა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილზე, რომელიც ცალსახად ადგენს, რომ საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით.

ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ შ. გ-ის გამოსახლებისას შპს „...“ მიერ დაირღვა კანონის მოთხოვნა. ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ცნობილი იყო, რომ შ. გ-ი წარმოადგენდა მართლზომიერ მფლობელს და მას გააჩნდა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი – დევნილის მოწმობა. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო დევნილის გამოსახლება სამინისტროს წერილობითი თანხმობის არსებობის პირობებშიც კი და სამინისტროს ავალდებულებდა შეენწყვიტა გამოსახლების პროცედურა მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას.

კასატორის მითითებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და

ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად, უნდა შეფასდეს ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იყო თუ არა გაეცა წერილობითი თანხმობა დევნილთა გამოსახლებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ სადავოდ გახადა შ. გ-ის სასტუმროში ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტი, რის გამოც მიიჩნია, რომ სამინისტროს მის მიმართ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნის დაცვის ვალდებულება არ ეკისრებოდა. ამდენად, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ შ. გ-ი ცხოვრობდა სასტუმროში, სამინისტროს ქმედება უკანონოდ შეფასდებოდა და მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრებოდა. კასატორის განმარტებით, შ. გ-ს სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა. საჯარო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 4 და 5 აპრილის ცნობებით დასტურდება, რომ მას არავითარი საკუთრება არ გააჩნდა, ხოლო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 4 აპრილის წერილით დასტურდება, რომ როგორც დევნილი, შ. გ-ი არსად არ არის დაფიქსირებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით შ. გ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის განჩინებით შ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორმა შეამცირა მოთხოვნა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, სასტუმრო „ა...“ გამოსახლებულ ოჯახებისათვის გაცემული საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა ხორციელდებოდა სულაღობის მიხედვით, მოპასუხეებისათვის ზიანის სახით 28000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის გადახდის დაკისრება მოითხოვა. თავის მხრივ, შპს „...“ მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2011 წლის 26 ივლისს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია 3 687 335,28 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო გადასახდელად დარჩენილი 28904,52 აშშ დოლარი შპს „...“ მიერ გადარიცხულია ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

კასატორმა ასევე დააზუსტა საკასაციო განაცხადი და მოხსნა მოთხოვნა მოსარჩელის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე შ. გ-ი არის იძულებით გადაადგილებული პირი. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის თანახმად, იგი რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე სასტუმრო „ა...“, რომელიც წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. მასთან ერთად მითითებულ მისამართზე რეგისტრირებული იყო მისი მცირეწლოვანი შვილიც.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 ივლისის №19/07/05 განკარგულების თანახმად, ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა შპს „...“. ამავე განკარგულების თანახმად, საპრივატიზებო პირობად შპს „...“ განესაზღვრა 3 985 239,8 აშშ დოლარის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი დევნილთა განსახლების ღონისძიებების დაფინანსება.

მითითებული განკარგულების საფუძველზე, 2011 წლის 26 ივლისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...“ შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, შპს „...“ იკისრა ვალდებულება უზრუნველყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი დევნილთა განსახლების ღონისძიებების დაფინანსება, რაც ამავე ხელშეკრულების 3.2.3. პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელებულიყო სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მითითებული უძრავი ქონება 2011 წლის 26 ივლისვე საჯარო რეესტრში აღირიცხა შპს „...“ საკუთრებად.

2011 წლის 27 ივლისს შპს „...“ წერილობით მიმართა ქ. თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს მის საკუთრებაში არსებული ობიექტიდან იქ მაცხოვრებელი პირების გამოსახლების მოთხოვნით.

ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისში, ... გამზ. №25-ში მდებარე სასტუმრო „ა...“ შენობაში მაცხოვრებელ პირთა მიმართ უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება. ამასთან, სამინისტრომ ქ. თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს მიანოდა სასტუმრო „ა...“ შენობაში მაცხოვრებელ პირთა სია, რომელშიც ასევე შეყვანილი იყო შ. გ-ი თავის შვილთან ერთად.

აღნიშნულის შესაბამისად, განხორციელდა დევნილების გამოსახლება სასტუმრო „ა...“ შენობიდან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 1 სექტემბრის №06-06/6268 მიმართვის თანახმად, სასტუმროდან გამოსახლებული ოჯახების გარკვეულმა ნაწილმა მიიღო კომპენსაცია, ხოლო ნაწილი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით.

2011 წლის 13 აგვისტოს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილების მიერ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილება გაიცა შ. გ-ის სახელზე, რომლის ჩაბარებაზეც შ. გ-მა განაცხადა უარი.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია სასტუმრო „ა...“ გამოსახლება და წარმოდგენილი სარჩელით მოითხოვა აღნიშნულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „...“, რომელთა ქმედებების შედეგადაც მას მიადგა ზიანი.

საქმის განმხილველმა სასამართლოებმა სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის ძირითად არგუმენტად მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ შ. გ-ი რეგისტრაციის მიუხედავად, არც გამოსახლებამდე და არც გამოსახლების მომენტში არ ცხოვრობდა სასტუმრო „ა...“, რის გამოც არ არსებობს მისთვის ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული გარემოება სასამართლოებმა დადასტურებულად მიიჩნიეს ადმინისტრაციული ორგანოების განმარტებებზე დაყრდნობით, რომ სასტუმრო „ა...“ განხორციელებული დევნილთა აღწერის დროს შ. გ-ი არ იმყოფებოდა რეგისტრაციის ადგილას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოებს სრულყოფილად არ გამოუკვლევიათ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და არ მოუხდენიათ მათი სა-

თანადო სამართლებრივი შეფასება. დავის გადაწყვეტისათვის არსებითა დადგინდეს, იმ ვითარებაში, როდესაც დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ შ. გ-ი როგორც დევნილი, რეგისტრირებული იყო სასტუმრო „ა...“, რომელიც წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს, ამასთან, დევნილთა გამოსახლების შედეგად შ. გ-ს არც კომპენსაცია მიუღია და არც სანაცვლო ფართი გამოჰყოფია, აღნიშნულის შემდეგ იგი როგორც დევნილი, რეგისტრირებული არ არის. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მას საკუთრებაში რაიმე უძრავი ქონება არ ერიცხება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, დევნილის მონმობა ადასტურებს პირის დევნილად ცნობასა და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებას. ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი, ანუ დევნილის რეგისტრაციის ადგილი განმარტებულია, როგორც დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი იქნა განსახლებული, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა. მითითებული მუხლის „ლ“ პუნქტის შესაბამისად, დევნილთა რეგისტრაცია წარმოადგენს დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციასა და დევნილის ახალი მონმობის გაცემის პროცედურას.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადასტურებულია, რომ შ. გ-ის რეგისტრაციის, საცხოვრებელ ადგილს სწორედ სასტუმრო „ა...“ წარმოადგენდა, რომელიც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი იყო შპს „...“ შენობის საკუთრებაში გადაცემამდე.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>4</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს დევნილი საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელით. ამავე კანონის 5<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება მათ მიერ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის



ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების თაობაზე; ბ) დევნილს გამოეყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან ტექნოგენური მოვლენები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; დ) დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილიდან გამოსახლება კანონით განსაზღვრული სათანადო პირობების დაცვის გარეშე. კანონმდებლობა გარკვეულ გარანტიებს აწესებს და სამინისტროს ვალდებულებას აკისრებს სწორედ დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რაც განიმარტება, როგორც დევნილის რეგისტრაციის ადგილი.

სასამართლოებმა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შ. გ-ის გამოსახლების კანონიერების დასაბუთებისათვის საკმარის საფუძვლად მიიჩნიეს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შ. გ-ი შემონმებისას რეგისტრაციის ადგილას არ იმყოფებოდა და მხოლოდ ამ არგუმენტზე დაყრდნობით არ განიხილეს იგი სასამართლოებმა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად და მის მიმართ მითითებული კანონის მოთხოვნის დაცვა არ მიიჩნიეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კანონისმიერ ვალდებულებად, რადგან მიიჩნიეს, რომ იგი ფაქტობრივად არ ცხოვრობდა მითითებულ ადგილას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულების ძალა არ მიანიჭეს საქმეზე დაკითხულ, სასტუმრო „ა...“ მაცხოვრებელთა ჩვენებებს, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ შ. გ-ი ცხოვრობდა სასტუმრო აფხაზეთში. აღნიშნულის უარყოფა სასამართლოების მხრიდან მოხდა მხოლოდ იმის გამო, რომ მოწმეთა ჩვენებები და მოსარჩელის ახსნა-განმარტება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ გარემოებასთან მიმართებაში, შ. გ-ი სასტუმროში გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა თუ არა ბებიასთან ერთად. სასამართლოები დაეყრდნენ მხოლოდ დევნილთა აღწერებთან დაკავშირებით მოწმეთა ჩვენებებსა და მოპასუხეთა განმარტებებს, რომ 2008 წელს ჩატარებული აღწერის დროს შ. გ-ი არ იმყოფებოდა სასტუმროში. აღნიშნულზე დაყრდნობით სასამართლოებმა უდავოდ დადასტურებულად მიიჩნიეს, რომ შ. გ-ს ჰქონდა სხვა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, თუმცა ასეთ ვითარებაში სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ და დაუდგენიათ რეალურად სად ცხოვრობდა მო-

სარჩელე, ანუ მას გააჩნდა სხვა ფაქტობრივი საცხოვრებელი, თუ გარკვეული დროის განმავლობაში არ იმყოფებოდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული კომპეტენციის მიუხედავად, არ გამოუქველევიათ და უდგენიათ მითითებული გარემოება.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლოებს სათანადო სამართლებრი, შეფასება არ მოუხდენიათ იმ გარემოების, რომ დევნილთა აღწერა-რეგისტრაცია, დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტის აღწერა და მისი მიზნობრივად გამოყენების მონიტორინგი წარმოადგენს რა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კომპეტენციას და იმ ვითარებაში, თუ დევნილთა აღწერის შედეგად დგინდებოდა, რომ შ. გ-ი რეგისტრაციის მიუხედავად არ ცხოვრობდა დროებით საცხოვრებელ ადგილას, რაც არსებითი იყო დევნილის მიმართ კანონით გათვალისწინებული გარანტიების განსახორციელებლად, რატომ იქნა მოსარჩელე შეყვანილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიწოდებულ დევნილთა სიაში თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად, რატომ არ განხორციელდა სიების კორექტირება და შესაბამისად, „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშემშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების საფუძველზე, შ. გ-ის მიმართ ფართის გამოთავისუფლების თაობაზე რატომ გამოიცა მის მიმართ გაფრთხილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოებს უნდა ემსჯელათ მითითებულ გარემოებებზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლოებმა მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკლევისა და მათი სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა იმსჯელონ თითოეული მოპასუხის მიმართ დამოუკიდებლად ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში საქმე არ ეხება მოპასუხეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას. უნდა შეფასდეს თითოეული მოპასუხის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი, რაც შეიძლება გახდეს მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგე-

ნილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას უძრავი ქონების ახალი მესაკუთრის – შპს „...“ მიმართ ამყარებს იმ არგუმენტზე, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მოსარჩელესთან შეთანხმების არარსებობის პირობებში იგი უფლებამოსილი არ იყო მიემართა სამართალდამცავი ორგანოსათვის დევნილთა გამოსახლების მოთხოვნით.

შპს „...“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით უძრავი ქონების გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 ივლისის №19/07/05 განკარგულებითა და მასთან 2011 წლის 26 ივლისის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მართალია შენობის ახალ მესაკუთრეს დაევალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი დევნილთა განსახლების ღონისძიებების დაფინანსება, მაგრამ ხელშეკრულების 3.2.3 პუნქტის თანახმად, შპს „...“ მიერ ნაკისრი ვალდებულების განხორციელება და დევნილთა კომპაქტური დასახლების ობიექტში მაცხოვრებელ დევნილთა სანაცვლო კომპენსაციითა თუ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, შპს „...“ უფლებამოსილებას არ განეკუთვნებოდა დევნილეთან დამოუკიდებლად, სამინისტროს მოთხოვნის გარეშე შეთანხმების წარმოება. შესაბამისად, ამ უკანასკნელმა მიმართა რა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების გამოთავისუფლების მოთხოვნით, არც მის ვალდებულებას და მით უფრო მის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა იმ საკითხის გადან-

ყველა, მოხდა თუ არა შენობაში მცხოვრები ყველა დევნილის სათანადო უზრუნველყოფა.

მოცემულ შემთხვევაში კი, საქმის მასალებით დასტურდება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებიც მოწმობს, რომ სამინისტროს შპს „...“ მოსარჩელის კომპენსაციით უზრუნველყოფის მოთხოვნით არ მიუმართავს. შესაბამისად, ამგვარი მოთხოვნის არარსებობის პირობებში სახეზე არ არის შპს „...“ მხრიდან კანონის ან ხელშეკრულების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი. მით უფრო, რომ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „...“ მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 2011 წლის 26 ივლისს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია 3 687 335,28 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო გადასახდელად დარჩენილი 28904,52 აშშ დოლარი შპს „...“ მიერ გადარიცხულია ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილობითი თანხმობის მიუხედავად არ იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა დევნილთა გამოსახლება, რამდენადაც მოსარჩელეს გააჩნდა დევნილის მოწმობა, რაც „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, განიხილება მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

„საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დევნილთა მიმართ უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც მოცემულ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არ დარღვეულა და მან დევნილთა გამოსახლების ღონისძიებები აწარმოა მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსაგან მიღებული წერილობითი თანხმობის შემდეგ, ხო-

ლო რაც შეეხება დევნილის მონუმობის არსებობას, სწორედ იმ პირობებში, როდესაც ხორციელდება ხელშეშლის ალკვეთის ღონისძიებები ამა თუ იმ პირის მიმართ, დევნილის მონუმობის არსებობის შემთხვევაშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული ალკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად მიმართოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მისი დასტურის გარეშე არ განახორციელოს ამგვარი ღონისძიებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირს და მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არ ექნებოდა დევნილის მონუმობა, რაც ადასტურებდა მის სტატუსს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოემობოდა ვალდებულება თანხმობის მისაღებად მიემართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისევე როგორც უძრავი ქონების ახალი მესაკუთრის, უფლებამოსილებას და კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა მოსახლების ღონისძიებების წარმოებისას, როდესაც მის მიერ დაცულ იქნა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმების შესახებ, გამოეკვლია მოსარჩელის მიეცა თუ არა შესაძლებლობა ესარგებლა კანონით მინიჭებული გარანტიით – უზრუნველყოფილი ყოფილიყო სათანადო კომპენსაციით ან სანაცვლო ფართით, რამდენადაც დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს და მის კომპეტენციაში შედის საკითხის გადანყვეტა, თუ რა ფორმით და ოდენობით უნდა მოხდეს დევნილის უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ დევნილის მონუმობის – ფართის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის პირობებში მის მიმართ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული სათანადო პირობების დაცვის – წერილობითი შეთანხმებისა და კომპენსაციის ან სანაცვლო ადეკვატური ფართის შეთავაზების გარეშე გამოსახლება და საცხოვრებელის გარეშე დატოვება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ კანონმდებლობა, კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი საცხოვრებელ ფართთან და საბი-

ნაო საკითხებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის კომპეტენციას მხოლოდ სასამართლოს ანიჭებს და ამგვარად უნდა იქნეს განმარტებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 23 დეკემბერს შეტანილი ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული რედაქცია, რომლის მიხედვით, საცხოვრებელ ფართთან/საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს მითითებული ნორმათა შინაარსიდან და აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს სასამართლოთა შეფასებას, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი (2011 წლის ივლის-აგვისტოში მოქმედი რედაქცია) მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაზე მითითება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საკუთრების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება არ განეკუთვნებოდა სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციას, ხოლო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე შესაძლებელი გახდა საკუთრების უფლების დაცვა სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით, აღნიშნული კომპეტენცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დევნილთა მიმართებაშიც მიენიჭა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციის 5<sup>მ</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის ჩანაწერი გულისხმობს არა სამართალდამცავი ორგანოების მიერ დევნილთა გამოსახლების შესაძლებლობას, არამედ აღნიშნულმა ცვლილებამ დაადგინა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადად გასაჩივრების პროცედურა მსგავს დავებთან მიმართებაშიც. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში თანამდებობის პირთა მოქმედებების გასაჩივრების შესაძლებლობას და დევნილთათვის დამატებითი გარანტიების მინიჭებას არეგულირებს არა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>მ</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი, არამედ ამავე კანონის მე-9 მუხლი.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა შეფასდეს სწორედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეასრულა თუ არა კანონით მისთვის დაკისრებული ვალდებულება მოეხდინა მოსარჩელის სა-

თანადო უზრუნველყოფა და რამდენად ათავისუფლებდა სამინისტროს ამ ვალდებულებისაგან მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ შ. გ-ი ფაქტობრივად არ ცხოვრობდა რეგისტრაციის ადგილას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სათანადოდ არ არის გამოკვლეული და შეფასებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის შედეგადაც სასამართლომ უნდა იმსჯელოს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელესთან მიმართებაში კანონის მოთხოვნათა დარღვევას და შესაბამისად, არსებობს თუ არა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები. შესაძლებელია, მხარეები შეთანხმდნენ სანაცვლო ფართის გადაცემაზეც, რაზეც კასატორი შ. გ-ი თანახმა იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურება**  
**ზიანის ანაზღაურება დავნილის უფლების**  
**დარღვევის გამო**

**გადაწყვეტილება**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-81-76(კ-13)

19 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ**  
**საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 5 მაისს ე. ქ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და კომპანია „...“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის აფხაზეთიდან დევნილი, მარტოხელა პენსიონერი, 1994 წლიდან ცხოვრობდა ქ. ბათუმში, სასტუმრო „მ...“. 2006 წლის 17 თებერვალს სასტუმრო „მ...“ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გასხვისებულ იქნა კომპანია „...“. მათ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ სასტუმროში კომპაქტურად ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს გადაუხდოდა 7000 აშშ დოლარს.

მოსარჩელის მითითებით, იგი სასტუმროში ცხოვრობდა დასთან ლ. ქ-ასთან ერთად, მაგრამ ისინი ცალ-ცალკე ოჯახებს წარმოადგენდნენ. ვინაიდან ცალკე საცხოვრებელი ფართით არ დააკმაყოფილეს დევნილობის პერიდში იძულებულნი გახდნენ ეცხოვრათ ერთად 12 კვ.მ. ფართში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ ოჯახს არ წარმოადგენდნენ მათ მიიღეს ერთ ოჯახზე დადგენილი საკომპენსაციო თანხა, იმ საფუძველით, რომ მათ გააჩნდათ ერთი საოჯახო ნომერი.

მოსარჩელის მითითებით, მან სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და დამოუკიდებელ ოჯახად აღიარება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და აღიარებულ



იქნა ის ფაქტი, რომ ე. ქ-ა და ლ. ქ-ა წარმოადგენენ დამოუკიდებელ ოჯახებს.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია მისი ცალკე, დამოუკიდებელ ოჯახად არსებობა და მას ეკუთვნის ცალკე საკომპენსაციო თანხა – 7000 აშშ დოლარის ოდენობით.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხეებისათვის 7000 აშშ დოლარის ოდენობით საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის განჩინებით განსახილველ საქმეში თანამოპასუხედ ჩაება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინებით ე. ქ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 „გ“ მუხლის საფუძველზე დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ ე. ქ-ა არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი და 1994 წლიდან 2006 წლამდე ცხოვრობდა ე. ბათუმში, სასტუმრო მ....

დადგენილია, რომ ე. ქ-ა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ცნობილია დევნილად და 2007 წლის 21 სექტემბერს მასზე გაცემულია დევნილის მონუმბა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2006 წლის 14 თებერვლის № 15 ბრძანებით განისაზღვრა აჭარის ა/რ საკუთრებაში არსებული – სს „ა...“ 100% და სს „მ...“ 52,83% წილი აქციათა პაკეტის კომპანია „...“ პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზაცია. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და კომპანია „...“ შორის 2006 წლის 17 თებერვალს დაიდო აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება და შემდგომ აიღო ვალდებულება სასტუმროდან გამოსახლების სანაცვლოდ თითოეულ ოჯახზე კომპენსაციის სახით – 7000

აშშ დოლარი გაეცა, რაც უნდა განხორციელებულიყო სამინისტროს მიერ წარდგენილი დევნილთა ოჯახების სიის შესაბამისად. ამავე ხელშეკრულებით ოჯახი განმარტებულ იქნა როგორც პირთა ჯგუფი, რომლებსაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მინიჭებული ჰქონდა ერთიანი საოჯახო სარეგისტრაციო ნომერი.

დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა – 7000 აშშ დოლარი კომპანიის მიერ გაცემულ იქნა მოსარჩელე ე. ქ-ასა და მის დაზე ლ. ქ-აზე, როგორც ერთ ოჯახზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტები მისთვის, როგორც ცალკე ოჯახისთვის, სასტუმრო „მ...“ პრივატიზაციის შედეგად შესაბამისი კომპენსაციის გაცემის დავალების შესახებ და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ე. ქ-ა დევნილობამდე და მის შემდეგაც, წარმოადგენდა დამოუკიდებელ ოჯახს, იმის გათვალისწინებით, რომ დევნილობის პერიოდში იგი ცალკე ოჯახად არ აღრიცხულა და სასტუმრო „მ...“ ცხოვრობდა დასთან ერთად, ერთ ოჯახად, სამინისტროს მიერ მინიჭებული ერთი საოჯახო ნომრით, სასტუმრო „მ...“ პრივატიზაციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არ არსებობდა მასზე, როგორც დამოუკიდებელ ოჯახზე კომპენსაციის გაცემის სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო (საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში) იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დევნილად ცნობის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. დევნილად ცნობილ პირს ეძლევა მონმობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 29 მაისი №43 დადგენილების თანახმად, სამინისტრო ხელმძღვანელობს ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, რეპატრიანტთა, სტიქიით დაზარალებულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროს; პასუხს აგებს მინდობილი სფეროს მდგომარეობისა და განვითარებისათვის. იგი სახელმწიფო

დავალებათა შესრულებისა და დასახულ სხვა ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით შეიმუშავებს და ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს თავის ძირითად ამოცანათა ფარგლებში საქმიანობის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება, საქართველოს მთავრობისათვის წინადადებებისა და პროექტების წარდგენა, მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველყოფა.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №80 განკარგულებით შეიქმნა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებული სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით წინადადების მომზადება და ორგანიზება გაენია შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, რომლის 2.1 პუნქტის თანახმად, დევნილთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის უმთავრესი წინაპირობად მიჩნეულ იქნა მათი წარმატებული განსახლება. ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად უვარგისი კოლექტიური ჩასახლების ცენტრების არსებობა მიჩნეულ იქნა არა მხოლოდ საფრთხეს მატარებლად იქმცხოვრებთათვის, არამედ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკური წინსვლის შემაფერხებელ გარემოებად. შესაბამისად, კოლექტიური ცენტრების საკითხის გადაჭრა მიჩნეულ იქნა დევნილთა საბინაო პირობების გაუმჯობესების ხელის შეწყობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხების მოგვარების წინაპირობად, რითაც საზოგადოებრივი მნიშვნელობის კოლექტიურ ცენტრებს დაუზრუნდებოდათ თავიანთი პირვანდელი – სოციალური ინსტიტუციების (საავადმყოფოები, სკოლები და ა.შ.) ფუნქცია, ხოლო კომერციული დატვირთვის მქონე კოლექტიური ცენტრები გამოთავისუფლდებოდა კერძო ინვესტიციებისათვის. ამასთან, საცხოვრებლების სანაცვლოდ დევნილთათვის გასაცემი ფულადი დახმარება უნდა ყოფილიყო საბაზრო ფასების შესაბამისი და ადეკვატური.

აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2006 წლის 14 თებერვლის № 15 ბრძანებით განისაზღვრა აჭარის ა/რ საკუთრებაში არსებული – სს „ა...“ 100% და სს „მ...“ 52,83% წილი აქციათა პაკეტის კომპანია „...“-სათვის პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზაცია. ამასთან, სასტუმროდან გამოსახლებული დევნილების თითოეულ ოჯახს კომპანია გადაუხადიდა კომპენსაციის სახით – 7000 აშშ დოლარს, რაც უნდა განხორციელებულიყო სამი-

ნისტროს მიერ წარდგენილი დევნილთა ოჯახების სიის შესაბამისად. აღნიშნულ პირობაზე თანხმობას აცხადებდა სამინისტროს ბაზის მიხედვით სასტუმროში რეგისტრირებული 1921 ოჯახი. ამავე ხელშეკრულებით, ოჯახი განმარტებული იქნა, როგორც პირთა ჯგუფი, რომლებსაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მინიჭებული ჰქონდა ერთიანი საოჯახო სარეგისტრაციო ნომერი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილია და სადავო არ არის, რომ დევნილობის პერიოდში ე. ქ-ა და მისი და ცხოვრობდნენ სასტუმრო „მ...“ 12 კვ.მ ფართობის ოთახში ერთად და ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. სარეგისტრაციო ნომერი (ე.წ. საოჯახო ნომერი) სწორედ ამ ფაქტების გათვალისწინებით იქნა მინიჭებული ამ ოჯახისათვის, რაც სადავო არ გამხდარა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასტუმროში მცხოვრებ დევნილთათვის საცხოვრებელი ფართობის სანაცვლოდ კომპენსაციის შეთავაზება განხორციელდა სწორედ დევნილთა ოჯახების მიხედვით და არა ცალკეულ იძულებით გადაადგილებულ პირზე და დევნილობამდე არსებული ვითარების მიხედვით, რაც მისაღები იყო სასტუმროში რეგისტრირებული 1921 ოჯახისთვის და მიიღეს კიდევაც შესაბამისი კომპენსაციები.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა 2006 წლის 17 თებერვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სასტუმრო „მ...“ გამოსახლების სანაცვლოდ ე. ქ-ასთვის, როგორც დამოუკიდებელი ოჯახისთვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაციის – 7000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დარღვეულია მისი კანონიერი უფლება – იყოს ბინით უზრუნველყოფილი და მიეცეს ნორმალურად ცხოვრების შესაძლებლობა. კასატორის მითითებით, კანონი პირდაპირ ავალდებულებს სამინისტროს, რომ არცერთი დევნილი უბინაოდ არ დატოვოს.

კასატორის განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მისი და მისი დის – ლ. ქ-ას ოჯახი, მათი რეალური ნების საწინააღმდეგოდ, სახელმწიფოს მწირი შესაძლებლობების გამო 12 კვ.მ. ფართის ოთახში ცხოვრობდნენ და ისინი დევნილობამდეც და დევნილობის შემდგომაც დამოუკიდებელ ოჯახებს

წარმოდგენდნენ. კასატორის მითითებით, მისი სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის ერთადერთი მოტივი – ერთიანი საოჯახო ნომრის არსებობა უარყოფილ იქნა საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით. სასამართლომ კი პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 266-ე მუხლის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ სადავოდ გახადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ე. ქ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის განჩინებით ე. ქ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 13 ივნისს, 12:00 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ქ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლომ იმის ნაცვლად, რომ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არსებითად განეხილა საქმე, დამატებით გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სამართლებრივი შეფასება მიეცა სადავო საკითხისათვის და მიეღო სათანადო გადაწყვეტილება, სრულად გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადავო საკითხს და ისე მიიღეს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ სრულად გაიზიარეს მოპასუხეების პოზიცია და არ იმსჯელებს მოსარჩელის არგუმენტებზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ე. ქ-ა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ცნობილია დევნილად

და 2007 წლის 21 სექტემბერს მასზე გაცემულია დევნილის მონმობა. აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის 2006 წლის 14 თებერვლის № 15 ბრძანებით განისაზღვრა აჭარის ა/რ საკუთრებაში არსებული – სს „ა...“ 100% და სს „მ...“ 52,83% წილი აქციათა პაკეტის კომპანია „...“ პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზაცია. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე 2006 წლის 17 თებერვალს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და კომპანია „...“ შორის დაიდო აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება და შემდგომ აიღო ვალდებულება სასტუმროდან გამოსახლების სანაცვლოდ თითოეულ ოჯახზე კომპენსაციის სახით – 7000 აშშ დოლარი გაეცა, რაც სამინისტროს მიერ წარდგენილი დევნილთა ოჯახების სიის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო. ამასთან, დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა – 7000 აშშ დოლარი კომპანიის მიერ გაცემულ იქნა მოსარჩელე ე. ქ-ასა და მის დაზელ. ქ-აზე, როგორც ერთ ოჯახზე.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე ე. ქ-ა სარჩელით მოპასუხეებისათვის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და კომპანია „...“ 7000 აშშ დოლარის ოდენობით საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების დაკისრებას მოითხოვდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარში ე. ქ-ამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბრალის საკითხი დასვა; ხოლო საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე კასატორმა დააზუსტა მოთხოვნა და საბოლოოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის ზიანის სახით – 7000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კომპანია „...“ აიღო ვალდებულება სასტუმრო „მ...“ გამოსახლებული დევნილების თითოეული ოჯახისათვის გადაეხადა კომპენსაცია – 7000 აშშ დოლარის ოდენობით. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას – წარმოადგენს თუ არა ე. ქ-ა დამოუკიდებელ ოჯახს. მხარეთა შორის დავას სწორედ აღნიშნული საკითხი იწვევს და სადავოა უნდა მიეღო თუ არა ე. ქ-ას, როგორც დამოუკიდებელ ოჯახს, კომპენსაციის სახით 7000 აშშ დოლარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ე. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; აღიარებულ იქნა სამარ-

თლებრივი ურთიერთობა მასზედ, რომ ე. ქ-ა და მისი და – ლ. ქ-ა წარმოადგენენ დამოუკიდებელ ოჯახებს. გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელისა და მისი დის დამოუკიდებელ ოჯახებად აღიარების საკითხი უნდა შეფასდეს დევნილობამდე აფხაზეთის რეგიონში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად, ვინაიდან, დევნილობის შემდგომ პერიოდში მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ არსებული მხირი რესურსების შესაბამისად და აქედან გამომდინარე, მოსარჩელის და მისი დის ურთიერთთანაცხოვრებისადმი რეალური ნების გამოვლენის შეფასება შეუძლებელია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. და ლ. ქ-ები ქ. სოხუმში რეგისტრირებულნი იყვნენ და ცხოვრობდნენ სხვადასხვა მისამართებზე და შესაბამისად, წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოჯახებს. აღსანიშნავია, რომ აღიარებითი სარჩელი ე. ქ-ამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ წარადგინა, ხოლო სამინისტროს აღნიშნული გადანყვეტილება არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ე. ქ-ა განსახილველ სარჩელს სწორედ კანონიერ ძალაში შესულ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის გადანყვეტილებაზე აფუძნებს და სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებში მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით აღიარებულია, რომ ე. ქ-ა და ლ. ქ-ა წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოჯახებს. აღნიშნულის მიუხედავად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე მიიღეს საქმეზე გადანყვეტილება, რომ არ უმსჯელიათ კანონიერ ძალაში შესულ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის გადანყვეტილებაზე. უფრო მეტიც, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების იგნორირებით, რომელიც აღიარებს ე. და ლ. ქ-ების დამოუკიდებელ ოჯახებად ცხოვრების ფაქტს, მოსარჩელეს უარი უთხრეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივად უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ დევნილობის პერიოდში ე. ქ-ა და მისი და ლ. ქ-ა ერთად ცხოვრობდნენ სასტუმრო „მ...“ 12 კვ.მ. ფართის ოთახში და მათ ერთიანი ე.წ. საოჯახო ნომერი აქვთ მინიჭებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ე. ქ-ამ იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელით მიმართა სასამართლოს და დამოუკიდებელ ოჯახად ცნობა მოითხოვა. აღიარებითი სარჩელი სხვა სახის სარჩელებისაგან (შეცილებითი და მავალდებულებელი) სწორედ იმით განსხვავდება, რომ უფლებისა

თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის სასამართლო წესით დადგენისას მხარის მიზანი – იურიდიული ინტერესი – გამოწვეულია მისი სადავოდ ქცეული უფლების სამომავლოდ დაცვით და სასამართლოს მიერ აღიარებული ესა თუ ის ფაქტი სამომავლოდ მხარის სადავოდ ქცეული სხვა უფლების დაცვის უდავო წინაპირობადაა მიჩნეული. აღიარებითი სარჩელი ყოველთვის მიმართულია მხარის უფლების არსებობა-არარსებობის დადგენისა და სამომავლოდ რელიზაციისაკენ. განსახილველ შემთხვევაში კი ე. ქ-ას საბოლოო მიზანს მისთვის 7000 აშშ დოლარის ანაზღაურება წარმოადგენდა და აღიარებითი სარჩელი – დამოუკიდებელ ოჯახად ცნობის მოთხოვნით სწორედ ამ მიზნით იქნა წარდგენილი.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ე. ქ-ამ უფლება, როგორც ცალკე ოჯახმა, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოიპოვა. შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული, აღიარებულია ის ფაქტი, რომ ე. და ლ. ქ-ები წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოჯახებს. განსახილველი დავის ფარგლებში კი (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში) სასამართლო ვერ შეაფასებს აღნიშნულ გარემოებას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავო გახდა პრეიუდიციული მნიშვნელობის, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, იმ პირობებში, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით უნდა მიეღოთ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ე. ქ-ა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის 7000 აშშ დოლარის დაკისრებას მოითხოვს როგორც ზიანს, ვინაიდან, სწორედ სამინისტროს ბრალით ვერ მიიღო კუთვნილი 7000 აშშ დოლარი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კომპანია „...“ სია დევნილთა ოჯახების შესახებ სამინისტრომ წარადგინა. კომპანია სამინისტროს მიერ წარდგენილი სიით ხელმძღვანელობდა და მის შესაბამისად გასცემდა კომპენსაციებს. ოჯახებად განსაზღვრის კომპეტენცია კი ცალსახად სამინისტროს ჰქონდა. შესაბამისად, თითოეული პირის მიერ კომპენსაციის მიღება სწორედ სამინისტროს ქმედებაზე (ოჯახებად განსაზღვრაზე) იყო დამოკიდებული. სამინისტროს კანონიერი ქმედების პირობებში ე. ქ-ა, როგორც დამოუკიდებელი ოჯახი, 7000 აშშ დოლარს მიიღებდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევ-



ნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, დევნილის უფლებებს იცავს სახელმწიფო. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი; ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ე. ქ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით უნდა დაეკისროს სამინისტროს უკანონო ქმედებით მიუღებელი – 7000 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და ე. ქ-ას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ე. ქ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ე. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მისთვის მიყენებული ზიანის – 7000 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის უფლებების დარღვევა

## ბანჩინება

№ბს-1576-1555(კ-11)

5 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 25 მარტს გ. კ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისი-დიდგორის მომსახურების ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი დედა – ა. მ-ის ასული ა-ი ქ. თბილისის მთანმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, იმ მოტივით, რომ იგი 1949-1956 წლებში მშობლებთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში და იმყოფებოდა სპეცკო-მენდატურაში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გ. კ-ა (გ. ა-ი 1973 წლის 2 სექტემბრიდან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში ტ. კ-თან, ქორწინების შემდეგ მან მიიღო ქმრის გვარი და გახდა კ-ა) დაიბადა 1955 წლის 17 იანვარს, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც დედა – ა. ა-ი გადასახლებაში იმყოფებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად და რეაბილიტირებულ პირად აღიარება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით გ. კ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. მ-ის ასული ა-ი (მოსარჩელის დედა) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ და რეაბილიტირებულ პირს წარმოადგენდა, იმ მოტი-

ვით, რომ იგი გადასახლებული იყო ყაზახეთში. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ა-ი (კ-ა) 1955 წლის 17 იანვარს დაიბადა ყაზახეთში. 1973 წელს მან იქორწინა ტ. კ-ზე და მიიღო ქმრის გვარი – კ-ა.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის დედა – ა. მ-ის ასული კ-ი სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1007-430 დადგენილების საფუძველზე მოიხსნა სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან. შესაბამისად, მოსარჩელის დაბადების მომენტი სათვის მის მშობლებს უფლება ჰქონდათ დაუბრკოლებლად დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, რაც 1956 წლამდე არ განხორციელებულა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნეოდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შვილი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. ამდენად, მშობლებთან ერთად შვილი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ მშობელს ეკრძალებოდა მიეტოვებინა გადასახლების ადგილი და დაბრუნებულიყო სამშობლოში.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. კ-ა ვერ ჩაითვლებოდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, რადგან მისი დაბადების მონეტში მის მშობლებზე გადასახლების სამართლებრივი რეჟიმი აღარ მოქმედებდა და მათ შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ამ. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 სექტემბრის განჩინებით გ. კ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამარ-

თლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ამ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მისი დედა – ა. მ-ის ასული ა-ი ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რადგან იგი 1949-1956 წლებში მშობლებთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში და იმყოფებოდა სპეცკომენდატურაში.

კასატორმა აღნიშნა, რომ გ. კ-ა (გ. ა-ი 1973 წლის 2 სექტემბრიდან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში ტ. კ-თან, ქორწინების შემდეგ მან მიიღო ქმრის გვარი და გახდა კ-ა) დაიბადა 1955 წლის 17 იანვარს, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც დედა – ა. ა-ი იმყოფებოდა გადასახლებაში.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, ის გარემოება, რომ გ. კ-ს დედა – ა. ა-ი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ და რეაბილიტირებულ პირს წარმოადგენდა, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა ამავდროულად გადაწყვეტილებით უდავოდ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ა. ა-ი 1949 წლიდან გადასახლებული იყო ყაზახეთში და 1956 წლამდე იმყოფებოდა სპეცკომენდატურაში. გ. კ-ა კი სწორედ მშობლების გადასახლებაში ყოფნის პერიოდში 1955 წლის 17 იანვარს დაიბადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. კ-ს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინებით გ. კ-ს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 9 თებერვალს 12:00 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მარტის საოქმო განჩინებით გ. კ-ს საკასაციო საჩივრის განხილვა გადაინიშნა 2012 წლის 5 აპრილს მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. მის ასული ა-ი (კასატორის დედა) მიჩნეულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ და რეაბილიტირებულ პირად, იმ მოტივით, რომ იგი 1949 წლიდან გადასახლებული იყო ყაზახეთში და 1956 წლამდე იმყოფებოდა სპეცკომენდატურაში.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კასატორი – გ. კ-ა (1973 წელს გ. ა-მა იქორწინა ტ. კ-ზე და მიიღო ქმრის გვარი – კ-ა) 1955 წლის 17 იანვარს დაიბადა ყაზახეთში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გ. კ-ა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის შვილი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შვილი იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუკი იგი მშობელთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში. ამდენად, მშობლებთან ერთად შვილი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ მშობლებს ბავშვის დაბადების მომენტისათვის ეკრძალებოდათ მიეწოვებინათ გადასახლების ადგილი და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებების დადგენას თუ როდის და რომელი დადგენილების საფუძველზე გადასახლდნენ გ. კ-ს მშობლები ყაზახეთში, როდის განხორციელდა მათი სპეცკომენდატურიდან მოხსნა და სპეცკომენდატურიდან მოხსნის შემდგომ, გ. კ-ს დაბადების მომენტისათვის შეეძლოთ თუ არა მათ სამშობლოში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაბრუნება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ გარემოების დადგენა თუ რა საფუძვლით გადაასახლეს კასატორის მშობლები ყაზახეთში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომ არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. სააპელაციო სასამართლო ისე მიიჩნევს დადგენილად 1955 წელს (გ. კ-ს დაბადების პერიოდში) კასატორის მშობლებზე იძულებითი შეზღუდვების არარსებობის ფაქტს, რომ ამის დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო, კერძოდ, დაუდგენელია გ. კ-ს დედა – ა. ა-ი ყაზახეთში გადასახლდა 1949 წელს მშობლებთან ერთად თუ 1951 წელს მეუღლესთან – მ. ა-თან ერთად. ამასთან, იგი სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან მოიხსნა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის №1007-430 დადგენილების თუ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 22 სექტემბრის №144/29 დადგენილების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს 2010 წლის 9 ივნისის №121219-გ-30 ცნობაზე, რომლის თანახმადაც, კასატორის დედა – ა. ა-ი სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, 1951 წელს გადასახლებული იყო საქართველოს სსრ-დან ყაზახეთის სსრ-ში და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის №1007-430 დადგენილების საფუძველზე მოიხსნა სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს 2009 წლის 21 სექტემბრის №12/2/29-ა-55 ცნობის თანახმად, მ. ა-ი გ-ის ძე (გ. კ-ს მამა) სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, 1951 წელს გადასახლებული იყო საქართველოს სსრ-დან ყაზახეთის სსრ-ში და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის №1007-430 დადგენილების საფუძველზე მოიხსნა სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან. მასთან ერთად გადასახლებული იყო და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდა მისი მეუღლე – ა. მ-ის ასული კ-ი-ა-ი. კანონიერ ძალაში შესული ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით კი ა. მ-ის ასული ა-ი (კასატორის დედა) მიჩნეულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ და რეაბილიტირებულ პირად, იმ მოტივით, რომ იგი 1949 წლიდან მშობლებთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში და 1956 წლამდე იმყოფებოდა სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს 2012 წლის 3 აპრილს კასატორის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ სისპო შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის 2012 წლის

1 მარტის №276800 ცნობაზე (რომლის თანახმად, ა. მ-ის ასული კ-ი საქართველოდან გადასახლდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 29 მაისის №2214-856 დადგენილების საფუძველზე) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1998 წლის 17 დეკემბრის 7/6/2-ა-405 საარქივო ცნობაზე (რომლის თანახმად, ა. მ-ის ასული კ-ი საქართველოდან ყაზახეთში გადასახლდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 29 მაისის №2214-856 დადგენილების საფუძველზე. სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე 1956 წლამდე იმყოფებოდა. სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან მოიხსნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 22 სექტემბრის №144/29 დადგენილების საფუძველზე).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს თუ როდის და რომელი დადგენილების საფუძველზე გადასახლდა გ. კ-ს დედა – ა. ა-ი ყაზახეთში, როდის მოიხსნა იგი სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან და ვრცელდებოდა თუ არა მასზე იძულებითი შეზღუდვები, რომლითაც გარკვეულ პირებს სპეცკომენდატურიდან მოხსნის მიუხედავად არ ჰქონდათ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავ კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭე-

ბული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემონმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.



### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

### **განჩინება**

№ბს-436-431(კ-12)

17 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 17 ოქტომბერს რ. ლ-ემ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოში მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის განყოფილების მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი ოჯახი 1951-1953 წლებში გადასახლებული იყო ყაზახეთში, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ 1953 წლამდე. ოჯახის შემადგენლობაში შედიოდნენ დედ-მამა და შვიდი შვილი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1998 წელს ის და მისი დედმამიშვილე-

ბი აღიარებულ იყვნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ხოლო მშობლების აღიარება ვერ მოახერხეს, რადგან იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილები იყვნენ. დედა – ა. ლ-ე გარდაიცვალა 1990 წელს, ხოლო მამა – ო. ლ-ე – 1966 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდაცვლილი მშობლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად და რეაბილიტირებულ პირებად აღიარება მოითხოვა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით რ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ლ-ე არის ო. დ. ძე ლ-ისა და ა. ლ-ის შვილი. გარდაცვალების მოწმობებით დასტურდება ო. ლ-ისა და ა. ლ-ის გარდაცვალების ფაქტები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ 22.09.2011წ. გაცემულ AA2011034036-03 და AA2011034037-03 ცნობებზე დაყრდნობით რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია აღნიშნული პირების 1951-1953 წლებში ყაზახეთის სსრკ-ში გადასახლების ფაქტი.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; მე-7 მუხლის თანახმად განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ წარადგენს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის მიხედვით, პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმები მათ შორის გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან სოციალურ, ნოდებრივ ან რე-

ლიგიურ კუთვნილებასთან.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი, ამომწურავი გამოკვლევითა და შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მშობლების სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური მოტივი. სასამართლოს განმარტებით, პოლიტიკურ მსხვერპლად ასაღიარებელი პირის გადასახლება, გასახლება უნდა ფუნქციონირდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ მოტივს სასამართლოების ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი მშობლები სპეცგადასახლებაში იმყოფებოდნენ პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, რაც სასამართლოს მითითებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ლ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და მიიჩნია, რომ ო. ლ-ისა და ა. ლ-ის გადასახლების მოტივი იყო პოლიტიკური. გადასახლების შესახებ გაცემულ ცნობაში მითითებულია 1951 წლიდან ო. ლ-ისა და მისი ოჯახის ყოფნის ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში სპეცდასახლების აღრიცხვაზე, კომენდატურაში. აპელანტის მითითებით, იმ დროისათვის „სპეცდასახლება“ შეეხებოდა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერაცხულ იყვნენ სამშობლოს მტრებად, რაც საკმარისი გარემოება უნდა ყოფილიყო რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინებით რ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა ო. ლ-ისა და ა. ლ-ის მიმართ იძულების სხვადასხვა ფორმის გამოყენება პოლიტიკური მოტივით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება საკასაციო წესით გააჩივრა რ. ლ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მისი მშობლები რეპრესიების შედეგად 1951 წლიდან იმყოფებოდნენ სპეცდასახლებაში ყაზახეთის კომუნდატურაში. იმ დროისათვის „სპეცდასახლება“ შეეხებოდა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერაცხულ იყვნენ სამშობლოს მტრებად. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ საარქივო ცნობაში არ იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივი, კასატორის მითითებით, იმ დროისათვის პოლიტიკური მოტივი არ იყო გამოკვეთილი და ძირითადი დასაბუთება ემყარებოდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლზე მითითებას.

კასატორის მითითებით, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა მსხვერპლის მეუღლე, მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, გადასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა მისი მშობლების რეპრესიის მსხვერპლად აღიარება, რადგან თავად რ. ლ-ე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ხოლო მისი დედ-მამა მასთან ერთად იმყოფებოდნენ გადასახლებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს იუსტიციის სა-

მინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ 22.09.2011 წლის თარიღით გაცემული ცნობებით AA2011034036-03 და AA2011034037-03 დასტურდება ო. ლ-ისა და ა. ლ-ის გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე 1953 წლამდე. ამავე ცნობების თანახმად, აღნიშნული პირები სპეცკომინდატურის აღრიცხვიდან მოიხსნენ 1953 წლის 11 აპრილის №1007-430 დადგენილების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ო. ლ-ისა და ა. ლ-ის გარდაცვალების ფაქტს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობებით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილებით რ. ლ-ე აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და აღიარებულ იქნა თავის უფლებებში, ვინაიდან სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია საქმეში წარმოდგენილი მასალებით რ. ლ-ისა და მისი ოჯახის წევრების გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რ. ლ-ე თავისი მშობლების: ო. ლ-ისა და ა. ლ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოცემული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ უდავო გარემოების შეფასებას, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილებით თავად რ. ლ-ე აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ ის იმყოფებოდა მშობლებთან ერთად ყაზახეთის სსრ-ში გადასახლებაში 1951-1953 წლებში. მოცემულ შემთხვევაში კი, არც პირველმა ინსტანციამ და არც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელეს მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით და არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომ არ გამოუკვლევიან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად და არასრულად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-4 მუხლები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად: „პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დაწესებულების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები“. კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „ВЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახდელი, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი“.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად დასაბუთებულად მიიჩნია და უცვლელად დატოვა. რაიონული სასამართლოს შეფასებით კი ვერ დადგინდა რ. ლ-ის მშობლების სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური საფუძველი. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ო. და ა. ლ-ების აღიარება არ მოხდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გაზიარებული რაიონული სასამართლოს მსჯელობა, ვინაიდან უნდა მომხდარიყო ნორმის სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ მიიჩნევა ო. და ა. ლ-ების გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში, მათი გამწესება სპეციალური დასახლე-

ბის ადგილზე. ეს გარემოება კი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ იძულების ფორმადაა აღიარებული საქართველოს კანონის მე-2 მუხლით „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“. ამავც კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალურ დასახლების ადგილას“. მოცემულ დავაში კი, რ. ლ-ე ითხოვს მშობლების აღიარებას პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რომლებთან ერთადაც იმყოფებოდა გადასახლებაში 1951-1953 წლებში. თავად შვილი კი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყევტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადანყევტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავც კოდექსის მე-19 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და



## დაადგინა:

1. რ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### განჩინება

№ბს-518-509(კ-12)

4 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შ. თ-ემ 2011 წლის 14 სექტემბერს სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოში მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის განყოფილების მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მშობლები 1944-1956 წლებში გადასახლებულები იყვნენ ყაზახეთში, სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის №6279 დადგენილების საფუძველზე, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ 1956 წლამდე. მ. გ-ესთან (მამა) ერთად გადასახლებული იყო და იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში დედა, ე. გ-ე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მამამისი, რომელიც დედამისთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებული ყაზახეთში, 2003 წელს აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. ის და ე. გ-ე ერთად იყვნენ გადასახლებაში, რომლის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაც არ ხდება. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ იმ პერიოდში როცა დაიწყო რეპრესირებულთა რეაბილიტაცია ვერ მო-

ახერხა მისი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება რადგან იმ დროისათვის დედა-ე. გ-ე უკვე გარდაცვლილი იყო. ე. გ-ე გარდაცვალა 1972 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდაცვლილი მშობლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება მოითხოვა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. თ-ე არის მ. გ-ისა და ე. გ-ის შვილი. გარდაცვალების მოწმობით დასტურდება ე. გ-ის გარდაცვალების ფაქტი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 19.09.1998წ. გაცემულ 7/6/1-1298 საარქივო ცნობაზე დაყრდნობით რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია აღნიშნული პირების 1944-1956 წლებში ყაზახეთის სსრკ-ში გადასახლების ფაქტი.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; მე-7 მუხლის თანახმად, განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ წარადგენს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის მიხედვით, პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმები მათ შორის გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ პირი მხოლოდ მაშინ

შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი, ამომწურავი გამოკვლევითა და შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელის დედის სპეცგადასახლებას ყაზახეთის სსრ-ში საფუძვლად დაედო პოლიტიკური მოტივი, რადგან პოლიტიკური მსხვერპლად ასაღიარებელი პირის გადასახლება, გასახლება უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ მოტივს სასამართლოების ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი დედა გადასახლებული იყო პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, რაც სასამართლოს მითითებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. თ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინებით შ. თ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა ე. გ-ის მიმართ იძულების სხვადასხვა ფორმის გამოყენება პოლიტიკური მოტივით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. თ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მისი მშობლები რეპრესიების შედეგად 1944 წლიდან იმყოფებოდნენ სპეცდასახლებაში ყაზახეთის კომენდატურაში. იმ დროისათვის „სპეცდასახლება“ შეეხებოდა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერაცხულ იყვნენ სამშობლოს მტრებად. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ საარქივო

ცნობაში არ იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივი, კასატორის მითითებით, იმ დროისათვის პოლიტიკური მოტივი არ იყო გამოკვეთილი და ძირითადი დასაბუთება ემყარებოდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლზე მითითებას.

კასატორის მითითებით, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა მსხვერპლის მეუღლე, მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა მისი მშობლის-ე. გ-ის რეპრესიის მსხვერპლად აღიარება, რადგან მამამისი – მ. გ-ე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ხოლო ე. გ-ე მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1998 წლის 19 სექტემბრის №7/6/1-1298 საარქივო ცნობით დასტურდება მ. გ-ისა და ე. გ-ის გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრკ-ში 1944 წლის 31 ივლისის №6279 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე 1956 წლამდე. ამავე ცნობის თანახმად, აღნიშნული პირები სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან მოიხსნენ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის №135/42 დადგენილების საფუძველზე.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს ე. გ-ის გარდაცვალების ფაქტს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელვაჩაურის სამსახურის მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. მ. ძე გ-ე აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და აღდგენილ იქნა მისი დარღვეული უფლებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მ. თ-ე თავისი დედის ე.

გ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოცემული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ უდავო გარემოების შეფასებას, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით თავად მ. გ-ე აღიარებული იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ ის იმყოფებოდა ყაზახეთის სსრ-ში გადასახლებაში 1944-1956 წლებში. მოცემულ შემთხვევაში კი, არც პირველმა ინსტანციამ და არც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელეს მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით და არ მისცეს მას სათანადო სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომ არ გამოუკვლევიან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად და არასრულად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-4 მუხლები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად: „პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დაწესებულების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო

ნო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან მშვიდობიანი სა-  
შუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებას-  
თან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს  
მიერ განხორციელებული იძულების ფორმები“. კანონის მე-4 მუხ-  
ლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად  
ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „БЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-  
ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სა-  
მეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანა-  
შაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებუ-  
ლი ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს იმ გარემოებას, რომ სააპე-  
ლაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადან-  
ყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუ-  
თებულად მიიჩნია და უცვლელად დატოვა. რაიონული სასამართლოს  
შეფასებით კი ვერ დადგინდა ე. გ-ის სპეცგადასახლებაში ყოფნის  
პოლიტიკური საფუძველი. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილე-  
ბით, არ მოხდა მისი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარ-  
ება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს  
მიერ არასწორად იქნა გაზიარებული რაიონული სასამართლოს მსჯე-  
ლობა, ვინაიდან უნდა მომხდარიყო ნორმის სხვაგვარი სამართლებ-  
რივი შეფასება, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებე-  
ბით უდავოდ მიიჩნევა მ. და ე. გ-ეების გადასახლების ფაქტი ყაზახე-  
თის სსრ-ში, მათი გამწესება სპეციალური დასახლების ადგილზე. ეს  
გარემოება კი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ იძულების ფორ-  
მადაა აღიარებული „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების  
მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაც-  
ვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით. ამავე კანონის მე-  
3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერ-  
პლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვი-  
ლი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომე-  
ლიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგი-  
ლებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალურ დასახლების ად-  
გილას. მოცემულ დავაში კი, შ. თ-ე ითხოვს დედის - ე. გ-ის აღიარე-  
ბას პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რომელიც მეუღლეს-  
თან - მ. გ-ესთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში 1944-1956  
წლებში. თავად მ. გ-ე კი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების  
მსხვერპლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამო-  
ქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახ-  
მად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-  
განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტი-

ლებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ

დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე!“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. თ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 5 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

## ბანჩინება

№ბს-384-379(კ-12)

4 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

### აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-ემ 2011 წლის 27 სექტემბერს სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი ბაბუა გ. გ-ე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა წყალტუბოს რაიონის სოფ. .... იგი 1942 წლის 11 იანვარს განვეული იქნა სამამულო ომში წყალტუბოს რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ ქ..... იგი 1943 წელს მონიანალმდეგე მხარეს ჩაუვარდა ტყვედ; 1944 წელს ბებია კ. გ-ე თავის 4 მცირეწლოვან შვილთან (ერთ-ერთი ვ. გ-ე) ერთად უსაფუძვლოდ ყოველგვარი გადანყვეტილების და ახსნა-განმარტების გარეშე გადაასახლეს წყალტუბოს რაიონის სოფ. ... ადიგენის რაიონში. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ მოქალაქეები, რომლებიც 1944 წელს ჩასახლდნენ ადიგენის რაიონში იმყოფებოდნენ სპეც კომენდატურის აღრიცხვაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2001 წლის 14 სექტემბერს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საქმე №2/160, მისი ბიძა-მამის ძმა ა. გ-ე აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. ასევე 2001 წლის 15 მარტს წყალტუბოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე №2/196 მისი მამიდა – მამის და – ქ. გ-ე-ქ-ე აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. აგრეთვე 2001 წლის 15 მარტის წყალტუბოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმე №2/135 მისი მამიდა – მამის და – ნ. გ-ე-კ.ი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ხოლო მოსარჩელის მამის ვ. გ.ის აღიარება ვერ მოხერხდა, რადგან იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო. მ. გ-ის მამა – ვ. გ-ე გარდაიცვალა 1984 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური

რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდაცვლილი მშობლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად და რეაბილიტირებულ პირად აღიარება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის განწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. გ-ე არის ვ. გ. ძე გ-ის და ე. შ. ასული გ-ის შვილი. გარდაცვალების მოწმობებით დასტურდება ვ. გ-ის გარდაცვალების ფაქტი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ 2011 წლის 15 აგვისტოს გაცემულ AA201126120-03 ცნობაზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. (კ.) ვ. ასულმა გ-ემ სურვილი გამოთქვა მუდმივად საცხოვრებლად წასულიყო და დასახლებულიყო ადიგენის რაიონში, რის გამოც იგი მისი კომლის წევრებთან, მათ შორის შვილთან ვ. გ. ძე გ-ესთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ადიგენის რაიონში. საქალაქო სასამართლომ სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის 2012 წლის 4 იანვრის ცნობაზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში გ. ე. ძე გ-ის, კ. ვ. ასული გ-ის და მათი შვილების: ქ. გ. ასული გ-ის, ა. გ. ძე გ-ის, ვ. გ. ძე გ-ის, ნ. გ. ასული გ-ის ადიგენის ტერიტორიაზე გადასახლების შესახებ ინფორმაცია დაცული არ არის.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; მე-7 მუხლის თანახმად, განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ წარადგენს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. სასამართლომ მიუთითა, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის მიხედვით, პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმები მათ შორის გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანა-

შაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი, ამომწურავი გამოკვლევითა და შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მშობლის ვ. გ-ის სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური მოტივი. სასამართლოს განმარტებით, პოლიტიკურ მსხვერპლად ასაღიარებელი პირის გადასახლება, გასახლება უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ მოტივს სასამართლოების ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი მშობელი სპეცგადასახლებაში იმყოფებოდა პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, რაც სასამართლოს მითითებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის განჩინებით მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა ვ. გ-ის მიმართ იძულების სხვადასხვა ფორმის გამოყენება პოლიტიკური მოტივით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასა-

ჩივრა მ. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მისი მშობელი – ვ. გ-ე რეპრესიების შედეგად 1944 წლიდან იმყოფებოდა სპეცდასახლებაში ადიგენის რაიონში. იმ დროისათვის „სპეცდასახლება“ შეეხებოდა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერაცხულ იყვნენ სამშობლოს მტრებად. ასევე იმ დროისათვის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ადამიანთა მიმართ რეპრესია ხორციელდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოტივით.

კასატორის მითითებით, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა მსხვერპლის მეუღლე, მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, გადასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა მისი მშობლების რეპრესიის მსხვერპლად აღიარება, რადგან თავად მისი ვ. გ-ის დედმამისშვილები აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 19... წლის 17 ივლისს დაბადებული მ. გ-ე არის ვ. გ. ძე გ-ის და ე. შ. ას გ-ის შვილი; ვ. გ. ძე გ-ე დაიბადა 19... წლის 25 მაისს და გარდაიცვალა 1984 წლის 9 სექტემბერს ქ. ქუთაისში; ვ. გ-ის მამა – გ. ე. ძე გ-ე წყალტუბოს რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ 1942 წლის 11 იანვარს განვეულ იქნა მობილიზაციით დიდ სამამულო ომში. იგი დაბრუნდა სამსამულო ომიდან და სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა გამოყენებული არ ყოფილა; საარქივო მასალის მიხედვით ე.(კ.) ვ. ასულმა გ-ემ

სურვილი გამოთქვა მუდმივად საცხოვრებლად ნასულიყო და დასახლებულიყო ადიგენის რაიონში, რის გამოც იგი მისი კომლის წევრებთან, მათ შორის შვილთან ვ. გ. ძე გ-ესთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ადიგენის რაიონში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში გ. ე. ძე გ-ის, კ. ვ. ასული გ-ის და მათი შვილების: ქ. გ. ასული გ-ის, ა. გ. ძე გ-ის, ვ. გ. ძე გ-ის, ნ. გ. ასული გ-ის ადიგენის ტერიტორიაზე გადასახლების შესახებ ინფორმაცია დაცული არ არის; გ. ე. ძე გ-ის შვილები – ა. გ. ძე გ-ე ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ხოლო ქ. გ-ე-ქ-ე და ნ. გ-ე-კ-ი წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებებით აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ვინაიდან სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია საქმეში წარდგენილი მასალებით მათი ოჯახის გადასახლების ფაქტი ადიგენის რაიონში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მ. გ-ე თავისი მშობლის – ვ. გ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოცემული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ უდავო გარემოების შეფასებას, რომ წყალტუბოსა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებებით მ. გ-ის მამის – ვ. გ-ის დედამისი შვილები, კერძოდ კი ძმა ა. გ. ძე გ-ე და დები ქ. გ-ე-ქ-ე და ნ. გ-ე-კ-ი აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ ისინი იმყოფებოდნენ დედასთან ერთად ადიგენის რაიონში გადასახლებაში. მოცემულ შემთხვევაში კი, არც პირველმა ინსტანციამ და არც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელეს მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით და არ მისცეს მათ სათანადო სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომ არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად და არასრულად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სო-

ციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-4 მუხლები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად: „პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დაწესებულების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ ნინაალმდეგობის განქვეითებთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები“. კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „ВЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად დასაბუთებულად მიიჩნია და უცვლელად დატოვა. საქალაქო სასამართლოს შეფასებით კი ვერ დადგინდა ვ. გ-ის სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური საფუძველი. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ მოხდა ვ. გ-ის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გაზიარებული საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, ვინაიდან უნდა მომხდარიყო ნორმის სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ მიიჩნევა ვ. გ-ის და მისი ოჯახის გადასახლების ფაქტი ადიგენის რაიონში მათი გამწესება სპეციალური დასახლების ადგილზე. ეს გარემოება კი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ იძულების ფორმადაა აღიარებული „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოცია-

ლური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალურ დასახლების ადგილას. მოცემულ დავაში კი მ. გ-ე ითხოვს მამის ვ. გ-ის აღიარებას პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რომელიც ოჯახთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში. თავად მისი (ვ. გ-ის) დედამამისშვილები აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასა-

მართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავ კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტის თანახმად კი, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და



## დაადგინა:

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### განჩინება

№ბს-526-517(კ-12)

4 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ს. მ-ამ 2011 წლის 9 ნოემბერს სარჩელი აღძრა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონული განყოფილების მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი ოჯახი 1951-1953 წლებში გადასახლებული იყო ყაზახეთში, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ 1953 წლამდე. ოჯახის შემადგენლობაში შედიოდნენ დედ-მამა და ექვსი შვილი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დედა-უ. და მამა-ა. ზ-ებთან ერთად გადასახლებული იყო ყაზახეთში 1951 წლიდან 1953 წლამდე, ასევე მასთან ერთად იყვნენ გადასახლებულები მისი და ბ., ა., ფ., ს. და ა. ზ-ები, რაც დასტურდება საქართველოს შ.ს.ს მიერ გაცემული 2011 წლის 3 ოქტომბრის №1219834 ცნობით გადასახლების შესახებ. მოსარჩელე მიუთითა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესა-

ხებ“ მე-7 მუხლის თანახმად არის რეპრესიის მსხვერპლი და რეაბილიტირებულ პირად აღიარება მოითხოვა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ს. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ-ა ს. ა. ყ. არის ზ-ი ა. ზ. ო. შვილი. ქორწინების მოწმობით დადგენილია, რომ ზ-ა ს. ა. ყ. და მ-ი ა. ა. ო. იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და დაქორწინების შემდეგ მიეკუთვნათ გვარები ქმარს-მ-ი და ცოლს-მ-ა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ 2011 წლის 3 ოქტომბერს გაცემულ №1219834 ცნობაზე დაყრდნობით რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ა. ზ. ო. ზ-ის 1951-1953 წლებში ყაზახეთის სსრკ-ში გადასახლების ფაქტი.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; მე-7 მუხლის თანახმად, განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ წარადგენს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის მიხედვით, პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმები მათ შორის გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი, ამომწურავი გამოკვლევეთა და შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტი-

ვით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის ა. ზ. ო. ზ-ის ყაზახეთის სსრ-ში გადასახლების პოლიტიკური მოტივი. სასამართლოს განმარტებით, პოლიტიკურ მსხვერპლად ასაღიარებელი პირის გადასახლება, გასახლება უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ მოტივს სასამართლოების ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ იგი იმყოფებოდა სპეცგადასახლებაში პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, რაც სასამართლოს მითითებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით ს. მ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა ს. მ-ას გადასახლებაში ყოფნის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. მ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, იგი რეპრესიების შედეგად 1951 წლიდან თავის ოჯახთან ერთად იმყოფებოდა სპეცდასახლებაში ყაზახეთის კომენდატურაში. კასატორის მითითებით, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტის თანახმად პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, ასევე პოლიტიკური რეპრესიის მსხვერ-

პლად მიიჩნევა მსხვერპლის მეუღლე, მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა მისი რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ 2011 წლის 3 ოქტომბერს გაცემული №1219834 ცნობით დასტურდება ა. ზ. ო. ზ-ის (ოჯახის წევრებთან ერთად სულ 8 სული) 1951-1953 წლებში ყაზახეთის სსრკ-ში გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრკ-ში მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ 1953 წლამდე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ზ-ა ს. ა. ყ. არის ზ-ი ა. ზ. ო. შვილი. ქორწინების მოწმობით დადგენილია, რომ ზ-ა ს. ა. ყ. და მ-ი ა. ა. ო. იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და დაქორწინების შემდეგ მიეკუთვნათ გვარები ქმარს – მ-ი და ცოლს-მ-ა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ს. მ-ა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოცემული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომ არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად და არასრულად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-4 მუხლები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად: „პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დაწესებულების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „ВЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი“.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად დასაბუთებულად მიიჩნია და უცვლელად დატოვა. რაიონული სასამართლოს შეფასებით კი ვერ დადგინდა ს. მ-ას სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური საფუძველი. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მოხდა ს. მ-ას პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გაზიარებული რაიონული სასამართლოს მსჯელობა, ვინაიდან უნდა მომხდარიყო ნორმის სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ მიიჩნევა ს. მ-ას და მისი ოჯახის გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში, მათი გამწესება სპეციალური და-

სახლების ადგილზე. ეს გარემოება კი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ იძულების ფორმადაა აღიარებული „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალურ დასახლების ადგილას“. მოცემულ დავაში კი, ს. მ-ა ითხოვს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას, რადგან იმყოფებოდა გადასახლებაში ოჯახთან ერთად 1951-1953 წლებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ს. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## გარდაცვლილი პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### განჩინება

№ბს-379-374(კ-12)

28 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 31 აგვისტოს ა. დ-ემ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის განყოფილების მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი ოჯახი ყოფილი სამეულის დადგენილებით 1952 წელს გადასახლებული იყო ყაზახეთში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ 1953 წლამდე.

მოსარჩელის მითითებით, როდესაც დაიწყო რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციისა და აღიარების პროცესი მამის – გ. დ-ის რეპრესიის მსხვერპლად აღიარება ვერ მოახერხა, რადგან იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო, იგი გარდაიცვალა 1987 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდაცვლილი მამის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერ-



პლად და რეაბილიტირებულ პირად აღიარება მოითხოვა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის განჩინებით არასათანადო მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის განყოფილება, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის განყოფილებით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ა. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. დ-ე არის გ. ფ. დ-ის შვილი. 1951 წლის 17 მარტს ხ. ფ. დ-ემ გამოიცვალა სახელი და გახდა გ. დ-ე. გარდაცვალების მოწმობით დასტურდება გ. დ-ის გარდაცვალების ფაქტი. ყაზახეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამხრეთ ყაზახეთის ოლქის შსს სამმართველოს 1953 წლის ივნისის №9/17-4595 ცნობის თანახმად, 1911 წელს აჭარის ასსრ-ში, ქედის რაიონში დაბადებული ხ. ფ. დ-ე და მისი ოჯახი 1952 წლის 8 იანვრიდან 1953 წლის 15 ივნისის ჩათვლით იმყოფებოდნენ სპეცდასახლებაში და სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1953 წლის 15 ივნისის დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდნენ სპეცდასახლებიდან, ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; მე-7 მუხლის თანახმად განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ წარადგენს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომ პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღ-

მდეგობის განწევასთან სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი, ამომწურავი გამოკვლევითა და შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოსარჩელის მამის სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური მოტივი. სასამართლოს განმარტებით, პოლიტიკურ მსხვერპლად ასაღიარებელი პირის გადასახლება, გასახლება უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ მოტივს სასამართლოების ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი მამა სპეცგადასახლებაში იმყოფებოდა პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, რაც სასამართლოს მითითებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და მიიჩნია, რომ გ. ფ. დ-ე გადასახლებული იყო პოლიტიკურ მოტივით. გადასახლების შესახებ გაცემულ ცნობაში მითითებული იყო 1952 წლიდან გ. დ-ისა და მისი ოჯახის ყოფნის ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში სპეცდასახლების აღრიცხვაზე. აპელანტის მითითებით, იმ დროისათვის „სპეცდასახლება“ შეეხებოდა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერაცხულ იყვნენ სამშობლოს მტრებად, რაც საკმარისი გარემოება უნდა ყოფილიყო რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის. ამასთანავე, ა. დ-ე, რომელიც მამასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, 1998 წელს აღიარებული იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინებით ა. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა გ. ფ. დ-ის მიმართ იძულების სხვადასხვა ფორმის პოლიტიკური მოტივით გამოყენების ფაქტი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-ემ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მისი ოჯახი რეპრესიების შედეგად 1952 წლიდან იმყოფებოდა სპეცდასახლებაში ყაზახეთის სსრ-ში. იმ დროისათვის „სპეცდასახლება“ შეეხებოდა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერაცხულ იყვნენ სამშობლოს მტრებად. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ საარქივო ცნობაში არ იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივი, კასატორის მითითებით, იმ დროისათვის პოლიტიკური მოტივი არ იყო გამოკვეთილი და ძირითადი დასაბუთება ემყარებოდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლზე მითითებას.

კასატორის მითითებით, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა მსხვერპლის მეუღლე, მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა მამის რეპრესიის მსხვერპლად აღიარება, რადგან ა. დ-ე, რომელიც მამასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ა. დ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ა. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყო-

ფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ყაზახეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამხრეთ ყაზახეთის ოლქის შსს სამმართველოს 1953 წლის ივნისის №9/17-4595 ცნობის თანახმად დასტურდება გ. ფ. დ-ისა და მისის ოჯახის გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრკ-ში 1952 წლის 8 იანვრიდან 1953 წლის 25 ივნისის ჩათვლით. ამავე ცნობის თანახმად, აღნიშნული პირები სპეცდასახლების აღრიცხვიდან მოიხსნენ 1953 წლის 15 ივნისის დადგენილების საუქველზე, ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს გ. ფ. დ-ის გარდაცვალების ფაქტს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქედის სამსახურის მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობით. ქედის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ა. დ-ე აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და აღდგენილ იქნა თავის უფლებებში, ვინაიდან სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია საქმეში წარმოდგენილი მასალებით ა. დ-ისა და მისი ოჯახის წევრების გადასახლების ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა. დ-ე მამის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოცემული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად. მითითებული კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიისა და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ უდავო გარემოების შეფასებას, რომ ქედის რაიონული სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილებით თავად ა. დ-ე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ მშობლებთან ერთად იმყოფებოდა ყაზახეთის სსრ-ში გადასახლებაში 1952-1953 წლებში. მოცემულ შემთხვევაში კი, არც პირველმა ინსტანციამ და არც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელეს მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით და არ მისცეს მას სათანადო სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომ არ გამოუკვლევიან საქმისათვის არსებითი მნიშვნე-

ლობის მქონე გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად და არასრულად განმარტა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-4 მუხლები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად: „პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დაწესებულების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები“. კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „ВЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახდელი, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი.“

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად დასაბუთებულად მიიჩნია და უცვლელივად დატოვა. რაიონული სასამართლოს შეფასებით კი ვერ დადგინდა ა. დ-ის მამის სპეცგადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური საფუძველი. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გ. ფ. დ-ის აღიარება არ მოხდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გაზიარებული რაიონული სასამართლოს მსჯელობა, ვინაიდან უნდა მომხდარიყო ნორმის სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ მიიჩნევა გ. დ-ისა და მისი ოჯახის გადასახ-

ლების ფაქტი ყაზახეთის სსრ-ში, მათი გამწესება სპეციალური და-სახლების ადგილზე. ეს გარემოება კი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ იძულების ფორმადაა აღიარებული, მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალურ დასახლების ადგილას“. მოცემულ დავაში კი, ა. დ-ე ითხოვს მამის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას, რომელთან ერთადაც იმყოფებოდა გადასახლებაში 1952-1953 წლებში. თავად ა. დ-ე კი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადაგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემომწმებამდე წარად-

გინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით,

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

### **გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

№ბს-737-721(კ-12)

18 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. მურუსიძე,**  
**მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ი-ამ 05.12.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე მარნეულის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ მშობლების შ. ი-ის და კ. რ-ას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი მშობლები: კ. რ-ა და შ. ი-ი სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.05.1949 წ. დადგენილების საფუძველზე გადასახლებულ იქნენ ყაზახეთში, სადაც იმყოფებოდნენ 7 წლის განმავლობაში – 1956 წლამდე. მათთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ მათი ოჯახის წევრები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი მშობლები აღიარებულ უნდა იქნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 24.02.12წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „საქართველოს მოქალაქეთა პო-



ლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.976. კანონის მე-2, მე-4 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ამომწურავი გამოკვლევით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა. საქმეზე მოპოვებული საარქივო მასალებით არ დადგინდა კ. რ-ასა და შ. ი-ის მიმართ პოლიტიკური მოტივით „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმის გამოყენების ფაქტი, რაც სავალდებულო პირობას წარმოადგენს პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისთვის. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. ი-ას მიერ, რომელმაც მოითხოვა შ. ი-ის და გ. ი-ას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.04.126. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 24.02.126. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.04.126. განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა ზ. ი-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. კასატორმა აღნიშნა, რომ შ. ი-ისა და გ. ი-ას საქართველოდან ყაზახეთში გადასახლება დადგენილად ცნო სასამართლომ და მოპასუხესაც სადავოდ არ გაუხდია დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა დასახელებული კანონის მე-3 მუხლი, რომლის მიხედვით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რო-

მელმაც უშუალოდ განიცადა რეპრესია, აგრეთვე პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.12.12წ. განჩინებით ზ. ი-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.04.12წ. განჩინება არის დაუსაბუთებელი. სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. განჩინების სამოტივაციო ნაწილი შედგება მხოლოდ ნორმების ციტირებისგან, სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს სადავო სამართალურთიერთობების მიმართ ციტირებული ნორმების გამოყენების რაიმე არგუმენტაციას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების გზით, რაც გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებასაც (სსკ-ის მუხ. 377.1).

საკასაციო საჩივრის ავტორი ზ. ი-ა შ. ი-ისა და გ. ი-ას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მე-7 მუხლი ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, ასეთად შეიძლება იყოს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. საქმის მასალებით დგინდება, რომ ზ. ი-ას მშობლები არიან შ. ი-ი და გ. ი-ა, ამდენად, მოსარჩელე მათი პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეა სკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით.

საქმეში დაცული შინაგან საქმეთა სამინისტროს 10.09.11წ. №1114591 ცნობით დასტურდება ბ. ზ-ის საქართველოდან გადასახლების ფაქტი სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.05.1949წ. №2214-85წ დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეც-

კომენდატურაში 1956 წლამდე. ამავე ცნობის თანახმად იგი მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 22.09.1956წ. №144/29 დადგენილების საფუძველზე. მასთან ერთად სპეცგადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები შ. ბ. ო. ი-ი და კ. ვ. კ. რ-ა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 10.09.11წ. №1114591 ცნობაში არ არის მოხსენიებული გ. ი-ა. საქმეში დაცული ქორწინების მოწმობის მიხედვით, შ. ი-ი 1954 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა კ. ვ. კ. რ-ასთან. პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე ზ. ი-ა სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მისი მშობლების კ. რ-ასა და შ. ი-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას, ამასთანავე, ზ. ი-ას დაბადების მოწმობის მიხედვით ზ. ი-ას დედა არის გ. ი-ა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება გ. ი-ას და კ. რ-ას პიროვნების იდენტობა. სააპელაციო სასამართლომ არ იქონია მსჯელობა ამ გარემოებაზე მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხის გარკვევას მნიშვნელობა აქვს დავის სწორად გადაწყვეტისათვის. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. ი-ას გადასახლების ფაქტი, დასადგენია შინაგან საქმეთა სამინისტროს 10.09.11წ. №1114591 ცნობაში მითითებული კ. რ-ას იდენტობა გ. ი-ასთან, სასამართლოს არ მოუთხოვია ამ გარემოების გასარკვევად დამატებითი მტკიცებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა კ. რ-ას და შ. ი-ის გადასახლების პოლიტიკური მოტივი, თუმცა თავის მხრივ არ დასტურდება ასეთი მოტივის არარსებობა, თავისი ნებით ყაზახეთში გადასახლება. საქმის მასალების თანახმად, უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს კ. რ-ასა და შ. ი-ის ყაზახეთის სს რესპუბლიკაში გადასახლება სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.05.1949წ. №2214-85წ დადგენილების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული დადგენილება საფუძველად დაედო გადასახლებას, სააპელაციო პალატამ დავა აღნიშნული დადგენილების შინაარსის ანალიზის გარეშე გადაწყვიტა. „საქართველოს, სასომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებიდან, აგრეთვე შავი ზღვის მოსაზღვრე რაიონებიდან გადასახლებულთა გადაზიდვის, განსახლების და შრომითი მოწყობის უზრუნველყოფის შესახებ“ სსრკ მინისტრთა საბჭოს 22.05.1949წ. №2214-85წ დადგენილების თანახმად, განხორციელდა დამნაკების, თურქეთის მოქალაქეების, თურქების, რომლებსაც არ ჰქონდათ მოქალაქეობა და თურქეთის ყოფილი მოქალაქეების, რომლებმაც მიიღეს სსრკ მოქალაქეობა, აგრეთვე საბერძნეთის ყოფილი ქვეშევრდომების, რომ-

ლებსაც არ ჰქონდათ სსრკ მოქალაქეობა და საბერძნეთის ყოფილი ქვეშევრდომების, რომლებმაც მიიღეს სსრკ მოქალაქეობა – გადასახლება სსრ კავშირის სხვადასხვა ოლქებში. სსრკ მინისტრათა საბჭოს 29.05.1949წ. №2214-856 დადგენილების ტექსტი არ გამოორიქხავს პოლიტიკურ მოტივს, რამდენადაც სახელმწიფო იძულების ეს ღონისძიება გადასახლებული ხალხების იზოლირებულ გარემოში მოქცევის შესაძლებლობას ქმნიდა. გადასახლების იძულებით ხასიათზე მიუთითებს ასევე გადასახლების მასშტაბები და მასიური ხასიათი. პალატა აღნიშნავს, რომ გადასახლების იძულებითი ხასიათი აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ სსრ კავშირის ნორმატიული აქტებით (სსრკ უმაღლესი საბჭოს 14.11.1989წ. დეკლარაცია).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შ. ი-ი და გ. ი-ა არიან ეროვნებით აზერბაიჯანელები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას საფუძვლად უდევს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ ფორმად გადასახლებას, გასახლებასა და სპეციალური დასახლების ადგილებში საცხოვრებლად გამწვანებას მიიჩნევს. ამასთანავე, კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდში დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებზე ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება, მათი რეაბილიტაციის წესი ცალკე განისაზღვრება. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ არ იქონია მსჯელობა ხსენებულ საკითხზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, ამ გარემოებათა დადგენის გარეშე საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სააპელაციო პალატის განჩინების კანონიერებაზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება არის შეუძლებელი, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.04.12წ. განჩინება არის დაუსაბუთებელი, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძ-

ველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.04.12წ. გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმას, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. ი-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.04.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

## განჩინება

№ბს-408-403(კ-12)

18 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიმართ და „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მოითხოვა რ. და ხ. ბ-ეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მამის მშობლები რ. და ხ. ბ-ეები 1944-1953 წწ. გადასახლებული იყვნენ ყირგიზეთში, ჯვალაბადში. გადასახლებაში იმყოფებოდა ოჯახის ათი წევრი. რ. და ხ. ბ-ეები არ არიან აღიარებული პილიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. ისინი რომ ნამდვილად იმყოფებოდნენ გადასახლებაში ამას ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 13.11.11წ. განჩინებით არასათანადო მოპასუხე – სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სამსახური, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – სოციალური მომსახურების სააგენტოს ხულოს რაიონული სამსახურით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 29.12.11წ. გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის 1-ლი, მე-2, მე-4 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის პოლიტიკურ რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის გადასახლებას საფუძველად უნდა დაედოს პოლიტიკური მოტივი. მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მისი ბებია და ბაბუა გადასახლებულები იყვნენ პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და

რომ გადასახლება დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განცევასთან სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ბ-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა რ. და ხ. ბ-ების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.12წ. განჩინებით მ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლ მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობების სფეროს. სააპელაციო პალატამ მიუთითა კანონის მე-2 მუხლზე, რომლის მიხედვით პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განცევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის ნაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი. კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა: პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა

ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება ფაქტობრივ – სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული იყო და იგი უცვლელად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო გასაჩივრა მ. ბ-ემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.03.12წ. განჩინების გაუქმება და მოთხოვნის დაკმაყოფილება – რ. და ხ. ბ-ეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება. კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი და სათანადოდ არ შეაფასა არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. საქმეში არსებული საარქივო ცნობით რ. ბ-ე გადასახლებული იყო საქართველოდან ყირგიზეთში სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 31.07.1944წ. №6279 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1953 წლამდე, მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ უმაღლესი პრეზიდიუმის 28.04.1956წ. № 135/42 დადგენილების საფუძველზე. საქმეში არსებული დოკუმენტების საფუძველზე უდავოდ დგინდება, რომ რ. და ხ. ბ-ეები ნამდვილად იყვნენ გადასახლებაში და განიცადეს პოლიტიკური რეპრესია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები, წარდგენილი დოკუმენტები და საერთაშორისო პრაქტიკა. კასატორმა მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლის მიხედვით პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება და სხვა. დოკუმენტურად დადგენილი იყო, რომ მისი ოჯახი 1952 – 1953 წწ. იმყოფებოდა სპეცგადასახლებაში. კასატორმა აღნიშნა, რომ ოჯახის შვიდი წევრიდან ყველა აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.12 წ. განჩინებით მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგ-



გად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 06.03.12წ. განჩინება არის დაუსაბუთებელი. სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეუბნით გათვალისწინებული დარღვევა, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. განჩინების სამოტივაციო ნაწილი შედგება მხოლოდ ნორმების ციტირებისგან, სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს სადავო სამართალურთიერთობების მიმართ ციტირებული ნორმების გამოყენების რაიმე არგუმენტაციას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემონიშნების გზით, რაც გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებასაც (სსკ-ის მუხ. 377.1).

საქმის მასალების თანახმად საკასაციო საჩივრის ავტორი მ. ბ-ე ბებიისა და ბაბუის, ხ. და რ. ბ-ეების, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის მე-7 მუხლი ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, ასეთად შეიძლება იყოს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. კასატორი სკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით არის რ. და ხ. ბ-ეების კანონისმიერი მემკვიდრე, შესაბამისად, კასატორი არის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტი.

საქმეში დაცული შინაგან საქმეთა სამინისტროს 12.05.1999წ. ცნობით დასტურდება რ. ბ-ის საქართველოდან გადასახლების ფაქტი სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 31.07.1944წ. №6279 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1953 წლამდე. რ. ბ-ე მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 28.04.1956წ. №135/42 დადგენილების საფუძველზე. მასთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, შესაბამისად მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა რ. და ხ. ბ-ეების გადასახლების

პოლიტიკური მოტივი, თუმცა თავის მხრივ არ დასტურდება ასეთი მოტივის არ არსებობა, თავისი ნებით ყირგიზეთში გადასახლება. საქმის მასალების თანახმად, უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს რ. და ხ. ბ-ეების გადასახლება ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში, რომელიც განხორციელდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 31.07.1944წ. №6279 დადგენილების საფუძველზე. სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 31.07.1944წ. №6279 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბოგდანოვკა და აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა) 86 ათასი თურქი, ქურთი და ხემშილი მუსულმანი მოსახლეობის გადასახლება ყაზახეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში. მოსახლეობის გადასახლება განხორციელდა იძულებით და დადგენილების თანახმად მიზნად ისახავდა სახელმწიფოს საზღვრის პირობების დაცვის გაუმჯობესებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ ფორმად გადასახლებას, გასახლებასა და სპეციალური დასახლების ადგილებში საცხოვრებლად გამწესებას მიიჩნევს. ამასთანავე, კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდში დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებზე ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება. ზემოაღნიშნულთან ერთად პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალების მიხედვით რ. ბ-ე არ განეკუთვნებოდა დადგენილებაში ხსენებულ ეთნიკურ ჯგუფებს, მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 31.07.1944წ. №6279 დადგენილების საფუძველზე, ის მაინც იქნა გადასახლებული, რაც დამატებით მიუთითებს გადასახლების რეპრესიულ ხასიათზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 31.07.1944წ. №6279 დადგენილებას, რომლის ტექსტის განსაიდუმლოება ჯერ კიდევ სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 07.03.1991წ. დადგენილებით (1პ.) მოხდა, საფუძველად დაედო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის 24.07.1944წ. მიმართვა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაკავშირებული თურქეთის სასაზღვრო რაიონების მაცხოვრებლებთან ნათესაური კავშირებით, ავლენს ემიგრანტულ განწყობებს, ეწევა კონტრაბანდას და თურქული სადაზვერვო ორგანოებისათვის წარმოადგენს ჯაშუშური ელემენტების და ბანდიტური ჯგუფების დანერგვის წყაროს. განხორციელებული გადასახლების ხსენებული საფუძ-

ვლები მითითებულია აგრეთვე სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის 28.11.1944წ. მიწერილობაშიც სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისადმი. ამდენად, 1944წ. გადასახლების რეალური მიზნებიდან იკვეთება პოლიტიკური მოტივი. მითითებული საფუძვლები ადასტურებს, რომ გადასახლება უპირატესად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც გადასახლება მათ იზოლირებულ გარემოში მოქცევის შესაძლებლობას ქმნიდა. გადასახლების იძულებით ხასიათზე მიუთითებს ასევე გადასახლების მასშტაბები და მასიური ხასიათი. პალატა აღნიშნავს, რომ გადასახლების იძულებითი ხასიათი და უკანონო ალიარებულ იქნა ჯერ კიდევ სსრ კავშირის ნორმატიული აქტებით (სსრკ უმაღლესი საბჭოს 14.11.1989წ. დეკლარაცია). სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 28.04.1956წ. №135/42 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა 1943-1944წწ. გადასახლებულთა მოხსნა სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან (28.04.1956წ. ბრძანებით სპეცდასახლების აღრიცხვიდან მოხსნის და ადმინისტრაციული ზედამხედველობიდან გადასახლებულ პირთა განთავისუფლების მიუხედავად, ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, არ იწვევდა იმ ადგილებში დაბრუნების უფლებას, საიდანაც ისინი იყვნენ გადასახლებულები, ასეთი უფლება მათ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 30.05.1968წ. დადგენილებით მიენიჭათ), ხოლო სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. №556 ბრძანებულების თანახმად 20-50-იან წლებში პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული და სხვა მოტივებით განხორციელებული რეპრესიები უკანონოდ იქნა აღიარებული.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით, პირი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე თუ იგი კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად იქნა გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი (მუხ.4.3). საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ პოლიტიკური რეპრესიის განხორციელება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე არ წარმოადგენს უპირობოდ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც, სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მიმართ იძულების გამოყენების სხვადასხვა ფორმა როგორც წესი ხორციელდებოდა სასამართლო ორგანოების გარეშე, რის თაობაზეც ხაზგასმით აღინიშნა „20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებების აღდგენის შესახებ“ სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. №556 ბრძანებულებაში.

სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ ოჯახის შვიდი წევრი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, მათ შორის რ. და ხ. ბ-ეების შვილი ნ. ბ-ძე. საქმეში დაცული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნ. ბ-ძე გა-

დასახლებულ იქნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 31.07.1944წ. დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1953 წლამდე, ხოლო სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან მოხსნილი იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 28.04.1956წ. №135/42 დადგენილების საფუძველზე. დავის სწორი გადანეციისათვის მნიშვნელობა აქვს ამ გარემოების დადგენას, რამდენადაც „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, არამედ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. ამდენად, უკეთუ შვილი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ლოგიკურად დგას მშობლების, რომელთანაც ერთად იყო ის გადასახლებული, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საკითხიც. შესაბამისად, შვილის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების გარკვევას მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადანეციისათვის. აღნიშნულის მიუხედავად ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იქონია მსჯელობა ამ გარემოებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის გარეშე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი და ვალდებული იყო თავისი ინიციატივით მიეღო ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის. საქმის მასალებით არ დასტურდება ხ. ბ-ის გადასახლების ფაქტი, სასამართლოს არ მოუთხოვია ამ გარემოების გასარკვევად დამატებითი მტკიცებულებები, არ უსჯელია ამ გარემოების დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობაზე „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, ამ გარემოებათა დადგენის გარეშე საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას

იმსჯელოს სააპელაციო პალატის განჩინების კანონიერებაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე 1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.03.12წ. განჩინება არის დაუსაბუთებელი, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახალი განხილვისას ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, ყოველმხრივ გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.03.12წ. განჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

### **განჩინება**

№ბს-438-433(კ-12)

16 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. გ-ემ 26.12.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მშობლების მ. ზ-ისა და ლ. ზ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით. მოსარჩელემ და ზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ მშობლები – მ. ზ-ე და ლ. ზ-ე სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951 №4893-2113წ. დადგენილების საფუძველზე გადასახლებულნი იყვნენ საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში. სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ 1953 წლამდე. აღრიცხვიდან მოიხსნენ სსრკ მინისტრთა საბჭოს 11.04.1953წ. №1007-430 დადგენილების საფუძველზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 17.01.12წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სა-

ქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.01.12წ. გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მ.ზ-ემ რეპრესია განიცადა პოლიტიკური მოტივით. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში დაცული მასალების მიხედვით მ.ზ-ის გადასახლების მოტივი არ დგინდება, ხოლო მოსარჩელის განმარტებით არქივში სხვა მასალები დაცული არაა. სასამართლომ სადავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ლ. ზ-ის გადასახლებაში ყოფნის ფაქტი, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილ მასალებში ლ. ზ-ის გადასახლების თაობაზე მითითებული არ იყო. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის მე-2, მე-3, მე-4 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისთვის სავალდებულოა არსებობდეს პირობათა ერთობლიობა, კერძოდ, პირი რეპრესირებული უნდა იყოს ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე; იგი უნდა იყოს ყოფილი სსრ საქართველოს მცხოვრები; რეპრესია განცდილი უნდა ჰქონდეს 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და რეპრესია განხორციელებული უნდა იყოს პოლიტიკური მოტივით, რაც უნდა უკავშირდებოდეს მის პოლიტიკურ შეხედულებას, პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგობის განევასთან მშვიდობიანი საშუალებებით ან მის მიმართ გატარებული რეპრესია დაკავშირებული უნდა იყოს სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად პირის აღიარებისთვის სავალდებულოა დადგინდეს მის მიმართ რეპრესიის გატარების პოლიტიკური მოტივი, რამდენადაც პირის მიმართ გატარებული ყველა სახის რეპრესია არ წარმოადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საფუძველს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დადგინდა მ. და ლ. ზ-ეების გადასახლებაში ყოფნის პოლიტიკური მოტივი. საჭირო იყო სპეცგადასახლების მდგომარეობაზე გადაყვანის ამსახველი დოკუმენტების გამოკვლევა და შეფასება, რაც ვერ მოხერხდა მხარეთა მიერ სსენებული დოკუმენტების სასამართლოსათვის წარმოუდგენლობის გამო. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ლ. გ-ის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.03.12წ. განჩინებით ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.01.12წ. გადაწყვეტილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. „საქართველოს მოქალაქეთა პოლი-

ტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის მე-2, მე-3, მე-4 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნევისათვის აუცილებელია პოლიტიკური მოტივის არსებობა. კანონმდებელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას უკავშირებს ადამიანის სიცოცხლის ან სხვა სიკეთის ისეთ ხელყოფას, რაც სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა მხოლოდ პოლიტიკური მოტივით. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირი მისი პოლიტიკური შეხედულების გამო უნდა გამხდარიყო რეპრესიის მსხვერპლი. სსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს, ამავე კოდექსის 103.1 მუხლის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ სახელმწიფომ ხელყოფა განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადანყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით. ამდენად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება დარჩა უცვლელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 30.03.12წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. გემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 30.03.12წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 03.10.11წ. ცნობის მიხედვით, მ. ზ-ე და მისი ოჯახი გადასახლებული იყო არა სასამართლოს განაჩენის, არამედ პოლიტიკური ორგანოს – მინისტრთა საბჭოს გადანყვეტილების საფუძველზე, 1951 წლის დადგენილების საფუძველზე ადამიანების მასობრივი გადასახლება მიუთითებს გადასახლების პოლიტიკურ მოტივზე. რეპრესიის განხორციელებისას არც ერთი ორგანო არ უთითებს მის პოლიტიკურ ხასიათს. სისხლის სამართლის საქმეშიც (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც) პოლიტიკურ მოტივზე საუბარი არ იქნებოდა. კასატორის მითითებით, საქმეში არ არის პოლიტიკური მოტივის არარსებობის გამაბათილებელი მტკიცებულებები. 29.11.1951წ. დადგენილების საფუძველზე გადასახლებული მ. ზ-ის შვილები აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველი-



ნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება და საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელე ლ. გ-ე არის მ. ზ-ისა და ლ. ზ-ის შვილი, მოსარჩელეს ამჟამად მიღებული აქვს მეუღლის გვარი. მ. ზ-ე გარდაიცვალა 27.04.1995წ., ხოლო ლ. ზ-ე 05.12.08წ. გარდაიცვალა. საკასაციო საჩივრის ავტორი ლ. გ-ე მშობლების ლ. და მ. ზ-ეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის მე-7 მუხლი ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, ასეთი შეიძლება იყოს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. კასატორი სკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით, არის მ. და ლ. ზ-ეების პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, შესაბამისად, კასატორი არის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტი.

საქმეში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 03.10.11წ. AA2011035654-03 ცნობით დასტურდება მ. ზ-ის საქართველოდან გადასახლების ფაქტი სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951 №4893-2113წ. დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1953 წლამდე. მ. ზ-ე მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს 11.04.1953წ. №1007-430 დადგენილების საფუძველზე. მასთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა მ. ზ-ის გადასახლების პოლიტიკური მოტივი, თუმცა თავის მხრივ არ დასტურდება ასეთი მოტივის არარსებობა, თავისი ნებით ყაზახეთში გადასახლება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ზ-ის გადასახლება ყაზახეთის სსრკ რესპუბლიკაში განხორციელდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს საარქივო ფონდში სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების არარსებობა და შესაბამისად მხარის მიერ ხსენებული დადგენილების ტექსტის წარმოუდგენლობა არ არის დაუსაბუთებლობის გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება-

ზე უარის თქმის საფუძველი. დადგენილებასთან დაკავშირებით გა-  
მოქვეყნებული პუბლიკაციების თანახმად, საკავშირო კპ(ბ) ცენტრა-  
ლურმა კომიტეტმა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის  
წარდგინებით 16.11.1951წ. მიიღო დადგენილება „საქართველოდან  
მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. 29.11.1951წ. იმავე სა-  
კითხზე სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო №4893-2113 დადგენილება,  
რომელიც სსრკ უშიშროების სამინისტროს ნებას რთავდა განხორ-  
ციელებინა 16.11.1951წ. აქტი. გადასახლება განხორციელდა ნაჩქა-  
რევად შედგენილი, შეუმონმბელი სიებით. ამდენად, თავად დადგე-  
ნილების სათაურში იკვეთება გადასახლების პოლიტიკური მოტივი.  
გადასახლების იძულებით ხასიათზე მიუთითებს ასევე გადასახლე-  
ბის მასშტაბები, მისი მასიური ხასიათი.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული გარემოებების გა-  
მოკვლევის გარეშე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები  
და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან  
დაკავშირებით. აღმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზი-  
ციური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი და  
ვალდებული იყო თავისი ინიციატივით მიეღო ზომები საქმის ფაქ-  
ტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის. საკასა-  
ციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრე-  
ბული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება  
იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის  
შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის  
თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. სა-  
კასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სრულ-  
ყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქ-  
მეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებ-  
რივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვა-  
ლისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების სა-  
ფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამარ-  
თლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულე-  
ბები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებე-  
ბი და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერ-  
პლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესა-  
ხებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განცხადება პო-  
ლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფ-  
ლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმი-  
ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით,

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.03.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

### **განჩინება**

№ბს-475-469(კ-12)

23 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. მურუსიძე,**  
**მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბ., მ. და ბ. ხ-ეებმა 08.07.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ კ. და ე. ხ-ეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით. მოსარჩევეებმა დაზუსტებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს მოპასუხის საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის მომსახურების ცენტრის მიმართ და მიუთითეს, რომ 1951 წელს კ. და ე. ხ-ეები გადასახლებულნი იყვნენ საქართველოდან ყაზახეთში სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2133 დადგენილების საფუძველზე, ხოლო სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან მოხსნილნი იქნენ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 11.04.1953წ. №1007-430 დადგენილების საფუძველზე, შესაბამისად, კ. და ე. ხ-ეები წარმოადგენდნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 30.12.11წ. გადაწყვეტილებით ბ., მ. და ბ. ხ-ეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის მე-2, მე-4 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, იძულება განხორციელებული უნდა იყოს სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან. პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ამომწურავი გამოკვლევა-შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე წარმოდგენილი მასალებით არ დადგინდა კ. ხ-ის მიმართ ყაზახეთის სსრ-ში გადასახლების პოლიტიკური მოტივი, რაც სავალდებულო პირობას წარმოადგენს პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებლად. ამასთან, არ დადგინდა ე. ხ-ის მიმართ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული იძულების რომელიმე ფორმის გამოყენება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ბ., მ. და ბ. ხ-ეების მიერ, რომელთაც მოითხოვეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 30.12.11წ. გადაწყვეტილების გაუქმება და კ. და ე. ხ-ეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.12წ. განჩინებით ბ., მ. და ბ. ხ-ეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 09.09.11წ. № 1110289 ცნობით კონკრეტულად არ დგინდებოდა ბრალის წაუყენებლად გადასახლეს კ. და ე. ხ-ეები თუ რაიმე ქმედების ჩადენის გამო მიესაჯათ მათ გადასახლება. პალატამ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონზე, რომლის თანახმად რეპრესირებულად პირი შეიძლება აღიარებულ იქნას შემდეგი პირობების არსებობისას, კერძოდ, პირი, რომელმაც განიცადა რეპრესია, რეპრესირებული უნდა იყოს ყოფილი საქართველოს სსრ მცხოვრები, რეპრესია განცდილი უნდა ჰქონდეს 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამასთანავე, რეპრესია პირის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული უნდა იყოს პოლიტიკური მოტივით. პირის მიმართ გატარებული ყველა სახის რეპრესია არ წარმოადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საფუძველს, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს წარმოადგენს მხოლოდ ის პირი, ვინც სხვადასხვა ფორმით რეპრესია განიცადა პოლიტიკური მოტივით. ვინაიდან მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც დაადასტურებდა საქმის მოსარჩელეთა სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას, კერძოდ იმას, რომ კ. და ე. ხ-ების გადასახლება მოხდა პოლიტიკური მოტივით. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის პრეტენზიები არ გაიზიარა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბ., მ. და ბ. ხ-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.03.12წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, სსკ-ის 249-ე და 390-ე მუხლები ადგენენ ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულებას. სააპელაციო სასამართლოს უნდა განემარტა თუ რატომ და რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს თითოეულ სააპელაციო პრეტენზიას. სასამართლომ ვერ დაასაბუთა, რატომ არ წარმოადგენს სარჩელზე თანდართული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 09.09.11წ. № 1110289 ცნობა უტყუარ მტკიცებულებას კ. და ე. ხ-ების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ასაღიარებლად. სასამართლომ არ გამოიყენა და არასწორად განმარტა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის დებულებები, კერძოდ, კანონის მე-2 მუხლი, რომლის პირველი წინადადება არ მოითხოვს გადასახლების პოლიტიკური მოტივის დადგენას, იგი ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მიიჩნევს საბჭოთა პერიოდში გადასახლებას პოლიტიკურ რეპრესიად. კასატორებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 08.10.1998წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. ხ-ე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და იგი მამასთან – კ. ხ-

ესთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში. სარჩელზე თანდართული ცნობით დგინდება, რომ კ. და ე. ხ-ეებს ბრალი წაყენებული არ ჰქონდათ. სსკ-ის 407.2 მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტორივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის თუ წაყენებული არაა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორების აზრით, წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია და საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კ. და ე. ხ-ეები არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლნი.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლომ ბ., მ. და ბ. ხ-ეების საკასაციო საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, საკასაციო საჩივრის ავტორი მ., ბ. და ბ. ხ-ეები კ. და ე. ხ-ეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვენ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის მე-7 მუხლი ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, ასეთად შეიძლება იყოს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორი მ. ხ-ე არის კ. ხ-ის შვილი, ამდენად, სსკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით, კ. ხ-ის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, ხოლო კასატორები ბ. და ბ. ხ-ეები არიან ე. ხ-ის შვილები, ე.ი. ე. ხ-ის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები (დაბადების მოწმობების ასლები). საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ე. და კ. ხ-ეები არიან გარდაცვლილები (გარდაცვალების მოწმობები) და ე. ხ-ე არის კ. ხ-ის შვილი. ამდენად, კასატორები არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტები.

საქმეში დაცული შინაგან საქმეთა სამინისტროს 09.09.11წ. №1110289 ცნობით დასტურდება კ. ხ-ის საქართველოდან გადასახლების ფაქტი სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეც-

კომენდატურაში 1953 წლამდე. კ. ხ-ე მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 11.04.1953წ. №1007-430 დადგენილების საფუძველზე. მასთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ე. ხ-ის გადასახლებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივია, სასამართლო ერთის მხრივ აღნიშნავს, რომ ე. ხ-ის გადასახლებაში ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა, ამასთანავე სასამართლო უთითებს, რომ არ დგინდება ბრალის წაუყენებლად გადასახლეს ე. და კ. ხ-ეები თუ რაიმე ქმედების ჩადენის გამო მიესაჯათ მათ გადასახლება, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს აგრეთვე, რომ არ დასტურდება მათი გადასახლების პოლიტიკური მოტივი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ შსს 09.09.11წ. №1110289 ცნობით კონკრეტულად არ დგინდება ბრალის წაუყენებლად თუ რაიმე ქმედების ჩადენის გამო მიესაჯათ ე. და ე. ხ-ეებს გადასახლება, არ დასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს. საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე დანაშაულის ჩადენის გამო ე. და ე. ხ-ეების გადასახლება, ამასთანავე პოლიტიკური რეპრესიის გატარება სასამართლო გადანყვევტილების გარეშე არ წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მიმართ იძულების გამოყენების სხვადასხვა ფორმა როგორც წესი ხორციელდებოდა სასამართლო ორგანოების აქტების გარეშე, რის თაობაზეც საზგასმით აღინიშნა „20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებების აღდგენის შესახებ“ სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. №556 ბრძანებულებაში. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის არ არის აუცილებელი მის მიმართ გამოყენებული იძულების ფორმებს საფუძველად ედოს სასამართლო გადანყვევტილება, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადანყვევტილებით.

სააპელაციო სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი 08.10.1998წ. ქუთაისის სასამართლოს გადანყვევტილება, რომლითაც დასტურდება, რომ ე. ხ-ის შვილი, კასატორი მ. ხ-ე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. დავის სწორი გადანყვევტილისათვის მნიშვნელობა აქვს ამ გარემოების შეფასებას, რამდენადაც „საქართველოს

მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, არამედ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. ამდენად, უკეთეს შვილი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ლოგიკურად დგას მასთან ერთად გადასახლებაში მყოფთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საკითხიც. შესაბამისად, მ. ხ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ფაქტის სამართლებრივ შეფასებას მნიშვნელოვან პქონდა საქმის სწორად გადანყვეტისათვის. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 266-ე მუხლზე, რომლის თანახმად გადანყვეტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადანყვეტის დამდგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. აღნიშნულის მიუხედავად ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იქონია მსჯელობა ამ გარემოებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა კ. და ე. ხ-ების გადასახლების პოლიტიკური მოტივი, თუმცა თავის მხრივ არ დასტურდება ასეთი მოტივის არარსებობა, თავისი ნებით ყაზახეთში გადასახლება. საქმის მასალების თანახმად უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს კ. ხ-ის გადასახლება ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, რომელიც განხორციელდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს საარქივო ფონდში სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების არარსებობა და შესაბამისად მხარის მიერ ხსენებული დადგენილების ტექსტის წარმოდგენლობა არ არის დაუსაბუთებლობის გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი. დადგენილებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პუბლიკაციების თანახმად, სსრ კავშირის კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარდგინებით 16.11.1951წ. მიიღო დადგენილება „საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. 29.11.1951წ. იმავე საკითხზე საკავშირო მინისტრთა საბჭომ მიიღო №4893-2113 დადგენილება, რომელიც სსრკ უშიშროების სამინისტროს ნებას



რთავდა განეხორციელებინა 16.11.1951წ. აქტი. ხალხის გადასახლება მოხდა ნაჩქარევად შედგენილი, შეუმონმებელი სიებით. ამდენად, თავად დადგენილების სათაური მიუთითებს გადასახლების პოლიტიკურ მოტივზე. გადასახლების იძულებით ხასიათზე მიუთითებს, ასევე, გადასახლების მასშტაბები და მასიური ხასიათი.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის გარეშე გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი და ვალდებული იყო თავისი ინიციატივით მიეღო ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა ა ზ ი ნ ა:**

1. ბ., მ. და ბ. ხ-ეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

### **განჩინება**

№ბს-383-378(კ-12)

23 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. მ-ემ 25.08.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ხულოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოს მოპასუხის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის სამსახურის მიმართ და მოითხოვა 23.07.1975 წ. გარდაცვლილი მ. ა. მ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ა. მ-ე ოჯახთან ერთად 1952 წლის 8 იანვრიდან 1953 წლის ივნისის ჩათვლით იმყოფებოდა გადასახლებაში. სსრკ-ს შსს 04.06.1953წ. დადგენილების საფუძველზე ა. მ-ე გათავისუფლდა სპეცდასახლებიდან. მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა ამ ფაქტის დამადასტურებელი ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 18.09.1953წ. №9/17-4311 ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო 27.12.11წ. გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის მე-2, მე-3, მე-4, მე-7 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელ-

მნიფო ორგანოს გადანყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან. პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ამომწურავი გამოკვლევა-შეფასებით დადგინდება, რომ სახელმნიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა. საქმეზე წარმოდგენილი მასალებით არ დადგინდა, რომ მოსარჩელის მამის სპეცგადასახლებაში ყოფნას საფუძვლად დაედო პოლიტიკური მოტივი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. მ-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 27.12.11წ. გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით ა. მ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.02.12წ. განჩინებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით გაიზიარა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტის მიერ წარდგენილ ხულოს რაიონული სასამართლოს 1998 წლის 27 და 30 მარტის გადანყვეტილებებში არ არის მითითებული იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის კანონის რომელი მუხლით და რა პოლიტიკური მოტივით იქნა ა. მ-ის ოჯახი გადასახლებული. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ხელყოფა სახელმნიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმნიფო ორგანოს გადანყვეტილებით, რაც დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან მშვიდობიანი საშუალებით. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის მე-2, მე-3, მე-4, მუხლებზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნევისათვის აუცილებელია პოლიტიკური მოტივის არსებობა, ანუ პირი თავისი პოლიტიკური შეხედულების გამო უნდა გამხდარიყო რეპ-

რესიის მსხვერპლი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 24.02.12წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა აღნიშნა, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, კერძოდ, ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს და ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. კასატორმა მიუთითა, რომ რეპრესიების პოლიტიკური მოტივით განხორციელება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და იგი საბჭოთა პერიოდში წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები, წარდგენილი მტკიცებულებები და საერთაშორისო პრაქტიკა. დოკუმენტებით დადგენილია, რომ მისი ოჯახი 1952-1953 წწ. იმყოფებოდა სპეცდასახლებაში და ოჯახის წევრები აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლომ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის ავტორი გ. მ-ე მ. ა. მ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის მე-7 მუხლი ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლება-

მოსილ სუბიექტებს, ასეთად შეიძლება იყოს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. კასატორი სკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით არის ა. მ-ის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, შესაბამისად, კასატორი არის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტი.

საქმეში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 17.02.126. №213262 ცნობით დასტურდება გ. მ-ის მ. ა. მ-ის საქართველოდან გადასახლების ფაქტი სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951 №4893-21136. დადგენილების საფუძველზე. ა. მ-ე მოიხსნა სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს 11.04.1953წ. №1007-430 დადგენილების საფუძველზე. მასთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები. ა. მ-ის სპეცდასახლებაში ყოფნის ფაქტი დასტურდება აგრეთვე ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 18.09.1953წ. ცნობით, რომლის მიხედვით ა. მ-ე 1953 წლის 8 იანვრიდან 1953 წლის 25 ივნისის ჩათვლით ოჯახთან ერთად (შვილები – ზ. (გ.), კ., ლ., გ., რძალი – ზ., შვილიშვილი – ზ.) იმყოფებოდა სპეცდასახლებაში და სსრკ-ის შსს 04.06.1953 წ. დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდა სპეცდასახლებიდან ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის მიერ წარდგენილ ხულოს რაიონული სასამართლოს 1998 წლის 27 და 30 მარტის გადაწყვეტილებებში არ არის მითითებული იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის კანონის რომელი მუხლით და რა პოლიტიკური მოტივით იქნა ა. მ-ის ოჯახი გადასახლებული. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს. საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე დანაშაულის ჩადენის გამო ა. მ-ის და მისი ოჯახის წევრების გადასახლება, ამასთანავე პოლიტიკური რეპრესიის გატარება სასამართლო გადაწყვეტილებების გარეშე არ წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მიმართ იძულების გამოყენების სხვადასხვა ფორმა როგორც წესი ხორციელდებოდა სასამართლო ორგანოების აქტების გარეშე, რის თაობაზეც ხაზგასმით აღინიშნა „20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებების აღდგენის შესახებ“ სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. №556 ბრძანებულებაში. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის არ არის აუცილებელი მის მიმართ გამოყენებული იძულების ფორმებს საფუძ-

ვლად ედოს სასამართლო გადაწყვეტილება, პოლიტიკურ რეპრესი-  
ად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა, რომელიც სახელმწიფომ  
განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სა-  
ხელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით. გამოძიებისა და სასამარ-  
თლო გადაწყვეტილების გარეშე გადასახლება მით უფრო ადასტუ-  
რებს გადასახლების პოლიტიკურ, რეპრესიულ ხასიათს. მოსარჩე-  
ლის მიერ წარდგენილი 1998 წლის 27 და 30 მარტის ხულოს რაიონუ-  
ლი სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილია, რომ ა. მ-ის შვი-  
ლები კ. და გ. მ-ეები, აგრეთვე რძალი – ზ., ოჯახის წევრებთან ერ-  
თად, 1951 – 1953 წლებში გადასახლებაში იმყოფებოდნენ ყაზახეთში,  
რაც საფუძვლად დაედო მათი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად  
აღიარებას. სასამართლოს მიერ პირის პოლიტიკური რეპრესიის  
მსხვერპლად აღიარება გულისხმობს იმას, რომ „საქართველოს მო-  
ქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და  
რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ-  
ლით გათვალისწინებული იძულების რომელიმე ფორმის გამოყენე-  
ბას საფუძვლად ედო პოლიტიკური მოტივი. დავის სწორი გადაწყვე-  
ტისათვის მნიშვნელობა აქვს მტკიცებულების სახით წარდგენილ 1998  
წლის 27 და 30 მარტის ხულოს რაიონული სასამართლო გადაწყვე-  
ტილებების სწორ სამართლებრივ შეფასებას, რამდენადაც „საქარ-  
თველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღი-  
არებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქარ-  
თველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიის  
მსხვერპლად მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელმაც უშუალოდ  
განიცადა პოლიტიკური რეპრესია, არამედ, პოლიტიკური რეპრე-  
სიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდა-  
პირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა  
თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლება-  
ში, სპეციალური დასახლების ადგილას. ამდენად, თუ შვილი უკვე  
აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ლოგიკურად  
დგას მასთან ერთად მყოფი მშობლების პოლიტიკური რეპრესიის  
მსხვერპლად აღიარების საკითხიც, შესაბამისად, კ. და გ. მ-ის პოლი-  
ტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ფაქტის სამართლებ-  
რივ შეფასებას მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტი-  
სათვის. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 266-ე მუხლზე, რომ-  
ლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემ-  
დეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ  
სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი  
ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა ხელვაჩაუ-  
რის რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, შესა-  
ბამისად, მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმას საფუძვლად დაუ-

დო ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა ა. მ-ის გადასახლების პოლიტიკური მოტივი, თუმცა, თავის მხრივ არ დასტურდება ასეთი მოტივის არარსებობა, თავისი ნებით ყაზახეთში გადასახლება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. მ-ის გადასახლება ყაზახეთის სს რესპუბლიკაში განხორციელდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს საარქივო ფონდში სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების არარსებობა და შესაბამისად მხარის მიერ ხსენებული დადგენილების ტექსტის წარმოუდგენლობა არ არის დაუსაბუთებლობის გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი. დადგენილებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პუბლიკაციების თანახმად, სსრ კავშირის კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარდგინებით, 16.11.1951წ. მიიღო დადგენილება „საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. 29.11.1951წ. იმავე საკითხზე სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო №4893-2113 დადგენილება, რომელიც სსრკ უშიშროების სამინისტროს ნებას რთავდა აღესრულებინა 16.11.1951წ. აქტი. გადასახლება განხორციელდა ნაჩქარევად შედგენილი, შეუმონმბეული სიებით. ამდენად, თავად დადგენილების სათაურში იკვეთება გადასახლების პოლიტიკურ მოტივი. გადასახლების იძულებით ხასიათზე მიუთითებს ასევე გადასახლების მასშტაბები და მასიური ხასიათი.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის გარეშე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი და ვალდებული იყო თავისი ინიციატივით მიეღო ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებ-

ბები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.02.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

### **განჩინება**

№ბს-698-684(კ-12)

6 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ლ-ემ 02.09.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის სოციალური მომსახურე-



ბის სააგენტოს ხელვაჩაურის სამსახურის მიმართ მშობლების შ. (ბ.) ლ-ისა და ფ. ლ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ბაბუის შქ. ლ-ის ოჯახის ცამეტი წევრი 1952 – 1953 წლებში იმყოფებოდა გადასახლებაში ყაზახეთში. გადასახლება მოხდა გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15.07.11წ. №849682 ცნობა და ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხრეთ ყაზახეთის ოლქის შსს-სამმართველოს 03.10.1953წ. №9/17-3854 ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 16.01.12წ. გადაწყვეტილებით ი. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის მე-2, მე-4 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, გადასახლება უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან. პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ამომწურავი გამოკვლევა-შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა. საქმეზე წარმოდგენილი მასალებით არ დადგინდა, რომ მოსარჩელის მამის და დედის სპეცგადასახლებაში ყოფნას საფუძლვად დაედო პოლიტიკური მოტივი. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მშობლები სპეცდასახლებაში იმყოფებოდნენ პოლიტიკური მოტივით. სსკ-ის 102.1 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნული ნორმა განამტკიცებს მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის თანაბარ გადანაწილებას – ორივე მხარე ვალდებულია დაამტკიცოს წარდგენილი სარჩელის თუ შესაგებელის საფუძვლიანობა. მტკიცების პროცესი მოიცავს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა შეგროვებას და სასამართლოში წარდგენას. ამ ვალდებულების შეუსრულებ-

ლობა პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენს დავაზე და განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს მისი მშობლების პოლიტიკური ნიშნით გადასახლებას, რაც თავისთავად გამოორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ი. ლ-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა შ. (ბ.) და ფ. ლ-ების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.12წ. განჩინებით ი. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით სრულად გაიზიარა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ლ-ემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.05.12წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა აღნიშნა, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის თანახმად მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, კერძოდ, ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. კასატორმა მიუთითა, რომ რეპრესიების პოლიტიკური მოტივით განხორციელება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. სააპელაციო სასამართლოში მის მიერ წარდგენილ იქნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, რომლებითაც თავად მოსარჩელე, მოსარჩელის ძმა და ბიძა აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ამდენად, ოჯახის მიმართ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესია დადგენილია სასამართლოს მიერ. მოსარჩელის განმარტებით, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-18, 42-ე მუხლების, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, სსკ-ის 393.2 „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძვლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.12.12წ. განჩინებით ი. ლ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი განხილულ იქნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 29.05.12წ. განჩინება არის დაუსაბუთებელი, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. განჩინების სამოტივაციო ნაწილი შედგება მხოლოდ ნორმების ციტირებისგან, სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს სადავო სამართალურ თეორიებების მიმართ ციტირებული ნორმების გამოყენების რაიმე არგუმენტაციას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების გზით, რაც გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებასაც (სსკ-ის 377.1 მუხ.).

საქმის მასალების თანახმად საკასაციო საჩივრის ავტორი ი. ლ-ე მშობლების ფ. და შ. (ხ.) ლ-ეების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ხსენებული კანონის მე-7 მუხლი ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, ასეთად შეიძლება იყოს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. საქმის მასალებით (დაბადების მოწმობის ასლი) დასტურდება, რომ ი. ლ-ე არის ხ. (შ.) ლ-ის და ფ. ლ-ის შვილი. ამდენად, კასატორი სსკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით არის შ. (ხ.) ლ-ისა და ფ. ლ-ის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, შესაბამისად, კასატორი არის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტი.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი აგრეთვე, რომ შ. ლ-ე გადასახლებაში იმყოფებოდა ხილმო ლ-ის სახელით. საქმეში დაცული გარდაცვალების მოწმობებით დასტურდება აგრეთვე, რომ შ. შ. ლ-ე ...წ., ხოლო ფ. ლ-ე ...წ. გარდაიცვალა. საქმეში დაცულია აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს 15.07.11წ. №849682 ცნობა, რომლი-

თაც დასტურდება, რომ შ. (ბ.) ღ-ის მამის შქ. ღ-ის საქართველოდან გადასახლება მოხდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951 წ. №4893-2113 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1953 წლამდე. შქ. ღ-ე მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 11.04.1953წ. №1007-430 დადგენილების საფუძველზე, ცნობის თანახმად მასთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები (ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობა ცამეტი სული). ფ. და შ. (ბ.) ღ-ეების სპეც. დასახლებაში ყოფნის ფაქტი დასტურდება ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-ყაზახეთის ოლქის შსს-ს სამმართველოს 03.10.1953წ. ცნობით, რომლის მიხედვით შქ. ღ-ე 1953 წლის 08 იანვრიდან 1953 წლის 02 ოქტომბრამდე ოჯახთან ერთად იმყოფებოდა სპეც. დასახლებაში და სსრკ-ის შსს 13.05.1953წ. დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდა სპეც. დასახლებიდან ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით, არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე გადავიდა ოჯახის ცამეტი წევრი, მათ შორის ვაჟი ხ. ღ-ე და ვაჟიშვილის ცოლი – ფ. ღ-ე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა შ. (ბ.) და ფ. ღ-ეების გადასახლების პოლიტიკური მოტივი, თუმცა, თავის მხრივ არ დასტურდება ასეთი მოტივის არარსებობა, თავისი ნებით ყაზახეთში გადასახლება. საქმის მასალების თანახმად უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს შ. (ბ.) და ფ. ღ-ეების გადასახლება ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, რომელიც განხორციელდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს საარქივო ფონდში სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების არარსებობა და შესაბამისად მხარის მიერ ხსენებული დადგენილების ტექსტის წარმოდგენლობა არ არის დაუსაბუთებლობის გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი. გამოქვეყნებული პუბლიკაციების თანახმად, სსრ კავშირის კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარდგინებით, 16.11.1951წ. მიიღო დადგენილება „საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. 29.11.1951წ. იმავე საკითხზე სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო №4893-2113 დადგენილება, რომელიც სსრკ უშიშროების სამინისტროს ნებას რთავდა აღესრულებინა 16.11.1951წ. აქტი. გადასახლება მოხდა ნაჩქარევად შედგენილი, შეუმონმბეელი სიებით. ამდენად, თავად დადგენილების სათაურში იკვეთება გადასახლების პოლიტიკური მო-

ტივი. გადასახლების იძულებით ხასიათზე მიუთითებს ასევე გადასახლების მასშტაბები და მასიური ხასიათი. პალატა აღნიშნავს, რომ გადასახლების იძულებითი ხასიათი და უკანონობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ სსრ კავშირის ნორმატიული აქტებით (მაგ. სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. №556 ბრძანებულება).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების სახით წარდგენილი კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებითაც შ. (ბ.) და ფ. ლ-ების ოჯახის წევრები გადასახლების გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად იქნენ აღიარებული, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს 13.07.1998წ., 16.07.1998წ. და 03.08.1998წ. გადაწყვეტილებებით შვილები ი., ნ. და ჯ. (ჟ.) ლ-ები აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. საქმეში დაცულია აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს 19.02.1998წ. გადაწყვეტილება, რომლითაც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ იქნა აგრეთვე ხ. ლ-ის ძმა – ნ. შ. ლ-ე. ხსენებულ გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყაზახისტანის შსს-ს 03.10.1953წ. ცნობა იმის შესახებ, რომ ოჯახის უფროსი შქ. ლ-ე 1951 წლის 2 იანვრიდან 1953 წლის 2 ოქტომბრამდე ოჯახის ცამეტ წევრთან ერთად იმყოფებოდა სპეცდასახლებაში, საიდანაც სსრკ შსს 13.05.1953წ. დადგენილების საფუძველზე გათავისუფლებულ იქნა ოჯახთან ერთად ძველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით. განსახილველი დავის სწორი გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ანალოგიურ ვითარებაში მყოფი ოჯახის წევრები აღიარებულ იქნენ რეპრესიის მსხვერპლად, ვინაიდან „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, არამედ, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას.

საკასაციო სასამართლომ საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის გარეშე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი და ვალდებული იყო თავისი ინიციატივით მიეღო ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ღ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

## ბანჩინება

№ბს-479-473(კ-12)

6 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ლ-ემ 12.08.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის სამსახურის მიმართ მშობლების შ. ლ-ისა და ე. ლ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით. მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ მამის ოჯახის 13 წევრი 1952 წლის 8 იანვრიდან 1953 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით იმყოფებოდა გადასახლებაში ყაზახეთში. გადასახლება მოხდა ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ამიტომ ოჯახის წევრების უმეტესობა აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. მამის შ. ლ-ის გადასახლებაში ყოფნის ფაქტი დგინდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 05.07.11წ. №796081 ცნობით, დედის ე. ლ-ის გადასახლების ფაქტი – ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხრეთ ყაზახეთის ოლქის შსს-ს სამმართველოს 03.10.1953წ. №9/17-3854 ცნობით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 16.01.12წ. გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 11.12.97წ. კანონის მე-2, მე-4 მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის მიმართ გამოყენებული იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის გადასახლება, უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკურ მოტივს, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან სოციალური, წოდებრივ ან რე-

ლიგიურ კუთვნილებასთან. პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ამომწურავი გამოკვლევა-შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა. საქმეზე წარმოდგენილი მასალებით არ დადგინდა, რომ მოსარჩელის მამის და დედის სპეცგადასახლებაში ყოფნას საფუძვლად დაედო პოლიტიკური მოტივი. სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმა განამტკიცებს მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის თანაბარ განაწილებას. მტკიცების პროცესი მოიცავს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა შეგროვებას და სასამართლოში წარდგენას. მხარე უფლებამოსილი და ვალდებულია თვითონვე დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოებები. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა პირდაპირ და არსებით გავლენას ახდენს დავაზე და შესაბამისად, განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე სარწმუნოდ ვერ ადასტურებს მისი მშობლების პოლიტიკური ნიშნით გადასახლებას, რაც თავისთავად გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ნ. ლ-ის მიერ, რომელმაც შ. და ე. ლ-ების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.04.12წ. განჩინებით ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილება შსს არქივში დაცული არ არის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 05.07.11წ. №796081 ცნობით კონკრეტულად არ დგინდებოდა ბრალის წაუყენებლად გადასახლეს შ. ლ-ე და მისი ოჯახის წევრები, თუ რაიმე ქმედების ჩადენის გამო მიესაჯათ მათ გადასახლება. პალატამ მიუთითა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის თანახმად რეპრესირებულად შეიძლება აღიარებულ იქნას პირი, რომელმაც განიცადა რეპრესია ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე, რეპრესირებული უნდა იყოს ყოფილი საქართველოს სსრკ მცხოვრები, რეპრესია განცდილი უნდა ჰქონდეს 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომ-



ბრამდე. რეპრესია პირის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული უნდა იყოს პოლიტიკური მოტივით. პირის მიმართ გატარებული ყველა სახის რეპრესია არ წარმოადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საფუძველს. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს წარმოადგენს მხოლოდ ის პირი, ვინც სხვადასხვა ფორმით რეპრესია განიცადა სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოს მიერ პოლიტიკური მოტივით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც დაადასტურებდა საქმის მოსარჩელეთა სასარგებლოდ გადანყვეტიისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას, კერძოდ იმას, რომ შ. და ე. ლ-ეების გადასახლება მოხდა პოლიტიკური მოტივით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-ემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 05.04.12წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა მიუთითა, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის თანახმად მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, კერძოდ, ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. კასატორმა აღნიშნა, რომ რეპრესიების პოლიტიკური მოტივით განხორციელება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მოსახლეობის გადასახლება და გადასახლებიდან დაბრუნება მოხდა პოლიტიკური მიზეზით, რაც აღწერილია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, აღიარებულია „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონით, ამას ადასტურებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. საქართველოდან პოლიტიკური მოტივით ყაზახეთსა და შუა აზიაში რამოდენიმე ათასი კაცის გადასახლების დასადასტურებლად კასატორი მაგალითისათვის უთითებს 2001წ. გამოცემული მე-9 კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად დააკისრა მტკიცების ტვირთი, ვერც სასამართლომ და ვერც მოსარჩელემ 1951 წლის დადგენილება ვერ მოიძია, რადგან ეს აქტი დღემდე არ არის განსაიდუმლოებული, რაც დამატებით ადასტურებს გადასახლების პოლიტიკურ მოტივს. გადასახლება მოხდა კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად, მიუხედავად ამისა სასამართლომ ვერ დაადგინა გადასახლების პოლიტიკური მოტივი. სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, რომლებითაც მოსარჩელის ოჯახის წევრები აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. ამით დადასტურდა, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რადგან ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, დამტკიცებას არ საჭიროებს. მოსარჩელის განმარტებით, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-18, 42-ე მუხლების, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, სსკ-ის 393.2 „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძვლები.

საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას კასატორის გარდაცვალების გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებით ნ. ლ-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ნ. ლ-ის მეუღლე – ნარ. ლ-ე და კასატორის შვილი – ჯ. ლ-ე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. ლ-ე არის შ. და ე. ლ-ის შვილი (დაბადების მონომობის ასლი). შ. ლ-ე .....ნ. გარდაიცვალა (გარდაცვალების მონომობის ასლი), ხოლო ე. ლ-ე – .....ნ. (გარდაცვალების მონომობის ასლი). ნ. ლ-ემ 12.08.11წ. სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა მისი მშობლების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-4, მე-6, მე-7 მუხლების საფუძველზე. პირველი ინსტანციის 16.01.12წ. გადაწყვეტილებით და სააპელაციო სასამართლოს 05.04.12წ. განჩინებით ნ. ლ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივრის წარდგენის შემდეგ ნ. ლ-ე 31.05.12წ. გარდაიცვალა (გარდაცვალების მონომობის ასლი). საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს კასატორ ნ. ლ-ის გარდაცვალების გამო საქმეში მის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ნ. ლ-ის მეუღლე ნარ. ლ-ე და შვილი ჯ. ლ-ე. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერ-

პლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, ასეთად შეიძლება იყოს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, ნ. ლ-ე არ წარმოადგენს ე. და შ. ლ-ეების კანონისმიერ მემკვიდრეს, მაგრამ მითითებული კანონის მე-7 მუხლის მიზნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ასაღიარებელი პირის კანონისმიერი მემკვიდრის მიერ. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სარჩელი, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები წარდგენილ იქნა სწორედ ნ. ლ-ის მიერ, რომელიც სკ-ის 1336-ე მუხლის მიხედვით, ე. და შ. ლ-ეების პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე იყო. ვინაიდან ნ. ლ-ემ განახორციელა კანონისმიერი უფლება და მიმართა სასამართლოს მისი კანონით მამკვიდრებლების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ, საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის ეტაპზე მისი გარდაცვალება არის საპროცესო უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძველი, გარდაცვალება სსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, ინვეს პირის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით, უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. იმის გათვალისწინებით, რომ რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას უპირველეს ყოვლისა ჰუმანობა, ზნეობრივი დატვირთვა აქვს, საკასაციო პალატა დასაშვებად თვლის მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობას. რაც შეეხება ან გარდაცვლილი ნ. ლ-ის შვილს – ჯ. ლ-ეს, ის არის შ. და ე. ლ-ეების შვილიშვილი, კანონისმიერი მემკვიდრე, რის გამოც შესაძლებლად უნდა იქნას მიჩნეული კასატორის ნ. ლ-ის გარდაცვალების გამო მისი უფლებამონაცვლედ ჩართვა.

საქმეში დაცული შინაგან საქმეთა სამინისტროს 05.07.11წ. №796081 ცნობით დასტურდება შ. ლ-ის საქართველოდან გადასახლების ფაქტი სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951 №4893-2113წ. დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1953 წლამდე. შ. ლ-ე მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 11.04.1953წ. №1007-430 დადგენილების საფუძველზე. მასთან ერთად გადასახლებულნი იყვნენ და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები (ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობა – ცამეტი სული). ნარ. ლ-ის სპეც. დასახლებაში ყოფნის ფაქტი დასტურდება ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-ყაზახეთის ოლქის შსს-ს სამმართველოს 03.10.53წ. ცნობით, რომლის მიხედვით შ. ლ-ე 1953 წლის 8 იანვრიდან 1953 წლის 2 ოქტომბრამდე ოჯახთან ერთად იმყოფებოდა სპეც. დასახლებაში და სსრკ-ის შსს 13.05.1953

ნ. დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდა სპეც. დასახლები-დან ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით, არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე გადავიდა ოჯახის ცამეტი წევრი, მათ შორის მეუღლე ე. ლ-ე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, შესაბამისად მოსარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა შ. და ე. ლ-ეების გადასახლების პოლიტიკური მოტივი, თუმცა თავის მხრივ არ დასტურდება ასეთი მოტივის არარსებობა, თავისი ნებით ყაზახეთში გადასახლება. საქმის მასალების თანახმად უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს შ. და ე. ლ-ეების გადასახლება ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, რომელიც განხორციელდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს საარქივო ფონდში სსრკ მინისტრთა საბჭოს 29.11.1951წ. №4893-2113 დადგენილების არ არსებობა და შესაბამისად მხარის მიერ ხსენებული დადგენილების ტექსტის წარმოუდგენლობა არ არის დაუსაბუთებლობის გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი. დადგენილებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პუბლიკაციების თანახმად, საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წარდგინებით, 16.11.1951წ. მიიღო დადგენილება „საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“. იმავე საკითხზე 29.11.1951წ. სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო №4893-2113 დადგენილება, რომელიც სსრკ უშიშროების სამინისტროს ნებას რთავდა აღესრულებინა 16.11.1951წ. აქტი. გადასახლება მოხდა ნაჩქარევად შედგენილი, შეუმონწმებელი სიებით. ამდენად, თავად დადგენილების სათაურში იკვეთება გადასახლების პოლიტიკური მოტივი. გადასახლების იძულებით ხასიათზე მიუთითებს ასევე გადასახლების მასშტაბები და მასიური ხასიათი. პალატა აღნიშნავს, რომ გადასახლების იძულებითი ხასიათი და უკანონობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ სსრ კავშირის ნორმატიული აქტებით (მაგ. სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. №556 ბრძანებულება).

სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ მსს 05.07.11წ. №796081 ცნობით კონკრეტულად არ დგინდება ბრალის წაუყენებლად თუ რაიმე ქმედების ჩადენის გამო მიესაჯათ შ. ლ-ეს და მისი ოჯახის წევრებს გადასახლება, არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს. საქმის მასალებით არ დასტურდება დანაშაულის ჩადენის გამო შ. ლ-ისათვის და მისი ოჯახის წევრების გადასახლება, ამასთანავე პოლიტიკური რეპრესიის გატარება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე არ წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც, სახელმწიფოს

მხრიდან მოსახლეობის მიმართ იძულების გამოყენების სხვადასხვა ფორმა როგორც წესი ხორციელდებოდა სასამართლო ორგანოების აქტების გარეშე, რის თაობაზეც ხაზგასმით აღინიშნა „20-50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის უფლებების აღდგენის შესახებ“ სსრკ პრეზიდენტის 13.08.1990წ. №556 ბრძანებულებაში. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის დეფინიცია მოცემულია „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-3, მე-4, მე-5 მუხლებში. ამდენად, პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისათვის არ არის აუცილებელი მის მიმართ გამოყენებულ იძულების ფორმებს საფუძვლად ედოს სასამართლო გადანყვეტილება. გამოძიებისა და სასამართლო გადანყვეტილებების გარეშე გადასახლება მით უფრო ადასტურებს გადასახლების პოლიტიკურ, რეპრესიულ ხასიათს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი სასამართლო გადანყვეტილებები. 19.02.1998წ. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილებით დასტურდება, რომ შ. ლ-ის და ე. ლ-ის შვილი – ნ. ლ-ე აღიარებული იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. გადანყვეტილებას საფუძვლად დაედო ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყაზახისტანის შსს-ს 03.10.1953წ. ცნობა, რომ ნ. ლ-ე 1952 წლის 2 იანვრიდან 1953 წლის 2 ოქტომბრამდე ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა სპეც. დასახლებაში ყაზახეთის სსრ სამხრეთ ყაზახისტანის ოლქის პახტარალის რაიონში, საიდანაც სსრკ შსს 13.05.1953წ. დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდა ოჯახთან ერთად ძველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებით. სასამართლომ აღნიშნული ცნობისა და განმცხადებლის განმარტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ განმცხადებელმა განიცადა პოლიტიკური რეპრესია – გამოძიებისა და სასამართლო გადანყვეტილების გარეშე 26.12.1952წ. გასახლებულ იქნა საქართველოდან და 1953 წლის 2 ოქტომბრამდე იმყოფებოდა სპეც. დასახლებაში. კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადანყვეტილებებით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულნი არიან აგრეთვე ნ. ლ-ის ნათესავები ნრ. და ჯვ. ლ-ეები, ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს 16.07.1998წ. და 03.08.1998 წ. გადანყვეტილებებს საფუძველად დაედო ყაზახეთის სსრ სამხრეთ ყაზახისტანის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს 02.10.1953წ. ცნობა, რომლის მიხედვით, განმცხადებლების მშობლები, ოჯახის წევრები და თვით ნრ. და ჯვ. ლ-ეები 1952 წლის 8 იანვრიდან 1953 წლის 2 ოქტომბრამდე იმყოფებოდნენ გადასახლებაში, საიდანაც გათავისუფლებულ იქნენ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს 13.05.1953წ. დადგენილების საფუძველზე. ქუთაისის სააპელაციო სა-

სამართლომ საერთოდ არ იქონია მსჯელობა ამ გარემოებაზე. დავის სწორი გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს ამ გარემოების დადგენას, რამდენადაც „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, არამედ, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. ამდენად, უკეთეს შვილი აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ლოგიკურად დგას მასთან ერთად მყოფი მშობლების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საკითხიც. ნ. ლ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ფაქტის სამართლებრივ შეფასებას მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. სსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. სააპელაციო სასამართლოს წარედგინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია, რომ ნ. ლ-ე ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში და განიცადა პოლიტიკური რეპრესია, შესაბამისად, მოსარჩელე აღიარებული იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებდა შ. და ე. ლ-ეების გადასახლების პოლიტიკურ მოტივს, არ არის დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის გარეშე გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. აღმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილი და ვალდებული იყო თავისი ინიციატივით მიეღო ზომები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“<sup>14</sup> ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამარ-

თლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ლ-ის საპროცესო უფლებამონაცვლეების ნარ. ლ-ისა და ჯ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.04.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

## განჩინება

№ბს-750-734(კ-12)

20 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 7 მაისს ვ. მ-ემ სარჩელი აღძრა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე სოციალური მომსახურების სააგენტოს ბოლნისის რაიონული განყოფილების მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1941 წლის 8 ოქტომბრის სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის №744 დადგენილების საფუძველზე მისი მშობლები გადასახლებულნი იყვნენ ბამკირეთის ასს-ში. ვ. მ-ე დაიბადა 1947 წელს გადასახლებაში ყოფნის პერიოდში. მოსარჩელის ოჯახი გადასახლებაში იმყოფებოდა 1955 წლის 13 დეკემბრამდე, ხოლო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 13 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე ისინი მოიხსნენ სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან.

მოსარჩელის განმარტებით, იგი რეაბილიტირებულია „პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესახებ“ რუსეთის ფედერაციის 1991 წლის 18 ოქტომბრის კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე (2003 წლის 9 თებერვლის რედაქცია).

ამდენად, მოსარჩელემ „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება მოითხოვა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის განწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მამა – ა. ა. დ-ი, დაბადებული 1912 წელს, სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 1941 წლის 8 ოქტომბრის №744 დადგენილების საფუძველზე გადასახლებული იყო საქართველოს სსრ-დან ბამკირეთის სსრ-ში, სადაც სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იყო-



ფებოდა 1955 წლამდე. მასთან ერთად სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ მისი ოჯახის წევრები, სულ 4 წევრი. რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვ. მ-ე პოლიტიკური მოტივით ადმინისტრაციული წესით იქნა აყვანილი სპეცგადასახლების აღრიცხვაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – დავლეკანოვსკის რაიონში, ბაშკირეთის სსრ-ში. ოჯახი კი აღრიცხვიდან მოიხსნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 13 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე. ვ. მ-ე რეაბილიტირებულია „პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესახებ“ რუსეთის ფედერაციის კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. მ-ე არის საქართველოს მოქალაქე.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მიერ თავისუფალი საქართველოს შექმნაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 11 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა პოლიტიკური რეპრესიისა და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებები, დადგინდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესი და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტი.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოქალაქის მიმართ განხორციელებული ყველა სახის რეპრესია არ წარმოშობს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა აღიარებისა და მსხვერპლთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მისი მსხვერპლად აღიარების წინაპირობას. აღნიშნული კანონის მიზნებისათვის რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ფორმით დაისაჯნენ პოლიტიკური მოტივით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავი-

სუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაქცევა, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დაწესებულების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. ამავე კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: ა) ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია და პროპაგანდა, კონტრრევოლუციური და მმართველობის წესის საწინააღმდეგო სსრ კავშირისათვის საშიში სხვა დანაშაული; ბ) სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონის დარღვევა; გ) წინასწარი შეცნობით სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი წყობის სახელის გამტეხი ცრუ მონაჭორის გავრცელება; დ) შრომა-გასწორების, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილიდან გაქცევა, თუ პირი იქ იმყოფებოდა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად; ე) რელიგიური წესის აღსრულების მოტივით ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ხელყოფა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „ВЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის ნაუყენებლად გადასახდელი, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი. მოცემული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ წარადგენს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი.

რაიონულმა სასამართლომ ზემოაღნიშნული ნორმების შეფასების საფუძველზე განმარტა, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი

ფილი და ამომწურავი გამოკვლევა-შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილი მასალებით მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ბაშკირეთის სსრ-ში გადასახლების პოლიტიკური მოტივი, რაც პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინებით ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა ვ. მ-ის მიმართ იძულების რომელიმე ფორმის გამოყენება პოლიტიკური მოტივით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-ემ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იხელმძღვანელა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და მსხვერპლთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით, რომლის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა: ა) პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; ბ) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. აღნიშნული მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შვილი იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ იგი მშობელთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში. ამდენად, მშობელთან ერთად შვილი მხოლოდ მაშინ ითვლება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ

მშობელს ბავშვის დაბადების მომენტისათვის ეკრძალებოდათ მიეტოვებინათ გადასახლების ადგილი და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. ვ. მ-ე დაიბადა მშობლების სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან მოხსნამდე, ანუ მის მშობლებს ეკრძალებოდათ მიეტოვებინათ გადასახლების ადგილი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სახეზეა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და მსხვერპლთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1941 წლის 8 ოქტომბრის სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის №744 დადგენილების საფუძველზე ვ. მ-ის მშობლები გადასახლებულ იყვნენ საქართველოს სსრ-დან ბაშკირეთის ასს-ში იმის გამო, რომ მოსარჩელის მამა გახლდათ გერმანელი. ვ. მ-ე დაიბადა გადასახლებაში ყოფნის პერიოდში – 1947 წელს დაბა კომსომოლსკიში, დავლეკანოვსკის რაიონში. ოჯახი გადასახლებაში იმყოფებოდა 1955 წლის 13 დეკემბრამდე. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 13 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე ისინი მოხსნილ იქნენ სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან. მოსარჩელე რეაბილიტირებულია „პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესახებ“ რუსეთის ფედერაციის კანონის მუხლის 1.1 საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვ. მ-ე პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებას ითხოვს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოცემული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

„მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-4 მუხლის თანახმად: „პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა – სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახ-

ლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დაწესებულების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის განევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, ნოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები“. კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „ВЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახდელი, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ეს კანონი არ ვრცელდება 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდში დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებზე, რომელთა რეაბილიტაციის წესი ცალკე განისაზღვრება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიათ და არ უმსჯელიათ, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე წარმოადგენდა თუ არა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტს და მათი მსჯელობა შემოიფარგლა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ვ. მ-ის ოჯახის გადასახლებისას არ იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივი.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დგინდება ვ. მ-ის გადასახლების ფაქტი ბაშკირეთის სსრ-ში, მისი გამწესება სპეციალური დასახლების ადგილზე. ეს გარემოება კი პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ იძულების ფორმადაა აღიარებული საქართველოს კანონის მე-2 მუხლით „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიე-

ბის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“. თუმცა მოცემული დავის შემთხვევაში უმთავრესია, რომ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები შეფასებულ იქნას არა გადასახლების პოლიტიკური მოტივის არსებობა-არარსებობის მხრივ, არამედ რა ნიშნით მოხდა ვ. მ-ის ოჯახის გადასახლება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მისი ოჯახი გადასახლებული იყო ბაშკირეთის ასსრ-ში იმის გამო, რომ მამამისი – ა. ა. დ-ი – ეთნიკურად გახლდათ გერმანელი. დამატებითი მონაცემები ან რაიმე დადგენილება მტკიცებულების სახით, მოსარჩელის მითითებით, შსს-ს არქივში არ ინახება, ვინაიდან აღნიშნული მონაცემები განადგურებულია.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში მოცემული მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების შემდეგ, მათი ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საფუძველზე უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. კერძოდ, კასატორის მშობლები გადასახლებულ იყვნენ თუ არა საცხოვრებელი ადგილიდან ეთნიკური ჯგუფისათვის კუთვნილების საფუძველზე, რამდენადაც აღნიშნული გარემოების გამო მათი საქართველოს ტერიტორიიდან გასახლების შემთხვევაში მათზე ვერ გავრცელდება კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს პოლიტიკური მოტივის არარსებობის შესახებ ფაქტის დადგენამდე, უნდა ემსჯელა მოსარჩელის გადასახლების თაობაზე ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, ის ფაქტი რომ ვ. მ-ე რეაბილიტირებულია „პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესახებ“ რუსეთის ფედერაციის კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, არ ქმნის საკმარის ნინაპირობას მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, რამდენადაც რუსეთის ფედერაციის კანონი „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის შესახებ“ პირის რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ერთ-ერთ საფუძველად განიხილავს ეთნიკური ნიშნით გადასახლებასაც, განსხვავებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისაგან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოე-

ბები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გა-

უქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## საკიბელო

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დარღვევა	
დეენილის სტატუსის მინიჭების შესახებ .....	3
დეენილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კომპენსაციის გაცემის წესი	
იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კომპენსაციის გაცემის პირობები .....	16
იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კომპენსაციის გაცემის პირობები .....	27
უსახლკაროდ დარჩენილ ლტოლვილთა ოჯახების კომპენსაციით უზრუნველყოფა .....	39
დეენილებისათვის საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება .....	54
კომპენსაციის თანხის ჩარიცხვის თაობაზე	
დეენილების ინფორმირება .....	71
იძულებით გადაადგილებული პირების	
საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა .....	81
იძულებით გადაადგილებული პირების	
საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა .....	89
დეენილების კომპაქტური განსახლების	
ობიექტიდან გამოსახლების საფუძველი .....	98
დეენილების დროებითი საცხოვრებელი	
ადგილიდან გამოსახლების წესი და საფუძველი .....	113
ზიანის ანაზღაურება	
ზიანის ანაზღაურება დეენილის უფლების დარღვევის გამო .....	136
პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად	
აღიარებული პირის უფლებების დარღვევა .....	146
პოლიტიკური რეპრესიის	
მსხვერპლად აღიარება .....	153; 161; 169; 177; 192; 198; 206; 211; 218; 224; 231; 240
გარდაცვლილი პირის პოლიტიკური	
რეპრესიის მსხვერპლად აღიარება .....	184

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 98 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)